



კავკასიის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ავტორი: ნაზიბროლა ჯანეზაშვილი

სქესობრივი დანაშაულები საქართველოში: სისხლისსამართლებრივი და
კრიმინოლოგიური ანალიზი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: უშანგი ბახტაძე
სამართლის დოქტორი

ქ. თბილისი,
საქართველო
2023

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნაზიბროლა ჯანუაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „სქესობრივი დანაშაულები საქართველოში: სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ანალიზი“ და ვაძლევთ რეკომენდაციას კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ავტორის გვარი, სახელი - ნაზიბროლა ჯანეზაშვილი

თემის დასახელება - „სქესობრივი დანაშაულები საქართველოში:

სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ანალიზი“

სამართლის სკოლა

სამიუნივერსიტეტო აკადემიური ხარისხი - სამართლის დოქტორი

სხდომის ჩატარების თარიღი - 2023 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოაღნიშნული დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის უნივერსიტეტს და ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საავტორო მომიჯნავე უფლებებს. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიკურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ნაშრომი შედგება ხუთი ძირითადი თავისგან:

პირველი თავი მოიცავს ქართულ ჩვეულებით სამართალს სქესობრივი დანაშაულებთან დაკავშირებით, ასევე, სისხლის სამართლის მიდგომებს სქესობრივ დანაშაულებთან 1920-იან და 1960-იან წლებში;

მეორე თავში განხილულია სქესობრივი დანაშაულის შესახებ სისხლისსამართლებრივი მიდგომები თანამედროვე საქართველოში. კერძოდ, სქესობრივი დანაშაულის ცნება და ცალკეული დანაშაულები (გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება და პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. ამავე თავში გაანალიზებულია საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა სქესობრივი დანაშაულების შესახებ, რომლებიც უკავშირდება საპროცესო შეთანხმებას და სასჯელის განსაზღვრას სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე, ასევე, დანაშაულის კვალიფიკაციასა და განაჩენის დასაბუთების სტანდარტს.

მესამე თავი ეთმობა სქესობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიურ ანალიზს, რაც გულისხმობს სქესობრივ დანაშაულის კრიმინოლოგიურ დახასიათებას და დამნაშავის პიროვნების ზოგად აღწერას; ასევე, განხილულია საქართველოში არსებული მდგომარეობა და დინამიკა. ამავე თავის ბოლოს წარმოდგენილია სადისერტაციო თემის ავტორის მიერ ჩატარებული საზოგადოების აზრის გამოკითხვის შედეგები.

მეოთხე თავი ეთმობა საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ, კონვენციებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზს. ნაშრომში დეტალურად არის გაანალიზებული ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას (მათ შორის თანხმობის დეფინიციას), ასევე, არაეფექტიან გამოძიებას, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს (ადამიანის წამების, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯის ან ასეთი

მოპყრობის დაუშვებლობა) და სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლებას.

ბოლო, მუხუთე თავი კი აერთიანებს სქესობრივ დანაშაულებთან ბრძოლის მექანიზმებს და პრაქტიკას სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე (დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა). ნაშრომის დასასრულს ავტორი მსჯელობს თანხმობის კონცეფციის მნიშვნელობაზე, სქესობრივი დანაშაულების შემთხვევებში და წარმოადგენს საკუთარ რეკომენდაციებს.

Resume

The research is structured into five main chapters. The first chapter includes issues such as sex crimes in Georgian customary law; criminal justice approaches in relation to the sexual offenses since the 1920s and 1960s.

The second chapter represents the description of sexual crimes in Georgia. The concept of the sexual crime is discussed in the dissertation paper as well as particular crimes provided by the Criminal Code of Georgia, such as rape; another action of a sexual nature; coercion into penetration of a sexual nature into the body of a person, or into another action of a sexual nature. The practice of the Common Courts of Georgia concerning sexual crimes is analyzed in the same chapter. The mentioned judgements are covering plea bargaining and punishment of offenders in sex crime cases, as well as definition of sex crime by the courts and the standard of reasoning of the judgements.

The third chapter includes the criminological analysis of sexual crimes, primarily the criminological characterization of sexual crimes, as well as a general description of the offender. In addition, overview and dynamics of the current situation in Georgia regarding sexual crimes is presented. At the end of the same chapter, the results of the public survey conducted by the author of the dissertation paper is presented.

The fourth chapter is composed by the international standards concerning sexual crimes, in particular, conventions and the study of the judgements of the European Court of Human Rights. The judgements of the European Court of Human Rights regarding the right to respect for private life in the cases of sexual crimes (including the definition of consent), ineffective investigation, Article 3 of the European Convention on Human Rights (prohibition of torture, inhuman or degrading treatment or punishment) and the right to an effective remedy is considered in the same part of the paper.

The final chapter brings together the experience of fighting against sexual crimes in different countries (UK, USA, Canada). The importance of the concept of consent in the sexual

crime cases is discussed in this chapter. At the end of the dissertation paper, the author intrudiuces the recommendations prepared on the basis of the conducted study.

შინაარსი

შესავალი.....	11
თავი I. სქესობრივი დანაშაულის ცნება, ისტორიული ეტაპები და ზოგადი მიმოხილვა	16
1.1 სქესობრივი დანაშაულის ევოლუცია	16
1.2 სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის ძირითადი ეტაპები: ისტორიული მიმოხილვა.....	19
1.2.1 სქესობრივი დანაშაული და ჩვეულებითი სამართალი საქართველოში	20
1.2.1.2 „უკანონო, დაუშვებელი სქესობრივი კავშირი “	24
1.2.1.3 ძალადობრივი სქესობრივი კავშირი	25
1.2.2 სისხლის სამართლის მიდგომა სქესობრივი დანაშაულების მიმართ 1920-იანი წლებიდან	27
1.2.3 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 60-იანი წლებიდან	33
თავი II. სქესობრივი დანაშაულის შესახებ სისხლისსამართლებრივი მიდგომები თანამედროვე საქართველოში	36
2.1 სქესობრივი დანაშაულის განმარტება	36
2.2 გაუპატიურება (სსკ-ის 137-ე მუხლი).....	39
2.3 სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება (სსკ-ის 138-ე მუხლი)	46
2.4 პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება (სსკ-ის 139-ე მუხლი)	48
2.5 საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა სსკ-ის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე	50
2.5.1 საპროცესო შეთანხმება სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე	53
2.5.2 სასჯელი სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე	60
2.5.3 დანაშაულის კვალიფიკაცია	65
2.5.4 გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთება	69
თავი III. სქესობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიური ანალიზი.....	72
3.1 ზოგადი მიმოხილვა	72
3.2 სქესობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათება.....	80
3.3 სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პიროვნების ზოგადი დახასიათება	83
3.4. საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და დინამიკა	88
3.4.1 სტატისტიკური მონაცემები.....	91
3.5. საზოგადოებრივი აზრი სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით	92
თავი IV. საერთაშორისო სტანდარტები - კონვენციები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი	108
4.1 ზოგადი რეკომენდაცია #19 - ქალთა მიმართ ძალადობა.....	108
4.2 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია.....	109
4.3 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია	111
4.3.1 პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება	112

4.3.2 „თანხმოვა“, როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.....	115
4.3.3 არაეფექტიანი გამოძიება სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე.....	119
4.3.4 სქესობრივი დანაშაული და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი	122
4.3.5 სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება.....	126
თავი V. სქესობრივ დანაშაულებთან ბრძოლის გამოცდილება	129
5.1. დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა	129
დასკვნა	136
ბიბლიოგრაფია.....	141

გამოყენებული შემოკლებანი:

ა. შ. --- ასე შემდეგ

აშშ --- ამერიკის შეერთებული შტატები

მაგ. --- მაგალითად

სსკ --- სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ --- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სხვ. --- სხვა

წ. --- წელი

ე.ი. --- ესე იგი

ე.წ. --- ეგრეთ წოდებული

იხ. --- იხილეთ

v. --- წინააღმდეგ

ევროსასამართლო --- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

შესავალი

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ სქესობრივი დანაშაულები კვლავ რჩება საერთაშორისო დონეზე ფართოდ გავრცელებულ პრობლემად 21-ე საუკუნეში.¹ საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი არ არის, რაზეც პირდაპირ მიუთითებს სისხლის სამართლის კოდექსის და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკის შესაბამისობის პრობლემა საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე, დანაშაულის სტატისტიკა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების და სხვადასხვა სახის ინიციატივების მიუხედავად, კვლავ სათანადოდ არ არის დაცული ადამიანის სექსუალური თავისუფლება და ხელშეუხებლობა. სწორედ ამიტომ სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია არა მხოლოდ იმ სქესობრივი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ანალიზი, რომლებიც ძალადობისა და იძულების ელემენტებს შეიცავს, არამედ სქესობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიური ასპექტებიც. ნაშრომი, თავისი მრავალფეროვანი შინაარსის გამო, რაშიც ნაშრომში წარმოდგენილი სქესობრივი დანაშაულების არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი, არამედ კრიმინოლოგიურ ანალიზი იგულისხმება, სქესობრივი დანაშაულის პრევენციის მექანიზმებზე კომპლექსური მსჯელობის საშუალებას იძლევა, რაც სადისერტაციო თემის მთავარი ამოცანებია.

სქესობრივი დანაშაული გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ ამ ტიპის დანაშაულზე, როგორც წესი, შეტყობინების მაჩვენებელი დაბალია, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით მთლიანად მართლმსაჯულების სისტემის არაეფექტიანობით. გამოძიების ეტაპზე არსებული გამოწვევების გარდა, არანაკლებ რთულია მოსამართლის დარწმუნება, რომ დაზარალებული ნამდვილად არის სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლი. ხოლო თუ საქმეზე მოსამართლე მაინც გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს, დღის წესრიგში დგება განაჩენის დასაბუთების საკითხი და განსაზღვრავს თუ არა მოსამართლე

¹ *Westmarland N. and Gangoli G.*, International Approaches to Rape, University of Bristol, UK, The Policy Press, 2011, 1.

სქესობრივ დანაშაულში მსჯავრდებული პირის მიმართ სათანადო სასჯელს. არსებული ბარიერები, რომლებიც უნდა გადაილახოს, გავლენას ახდენს მსხვერპლის გადაწყვეტილებაზე, სქესობრივი დანაშაულის შემთხვევაში მიმართოს თუ არა სამართალდამცავ ორგანოებს და დაიცვას თუ არა საკუთარი უფლებები სამართლებრივი გზებით. ამდენად, სქესობრივ დანაშაულებზე შეტყობინების დაბალი მაჩვენებელი, პირველ რიგში, გამოწვეულია სისტემის არაადეკვატური მხარდაჭერით და სირცხვილით, რომელსაც მსხვერპლი განიცდის, ასევე, შურისძიების, დადანიშნულების, არასათანადო მოპყრობისა და სოციუმიდან გარიყვის შიშით.² აღნიშნული ფაქტორები საბოლოოდ დანაშაულის შეტყობინების მაჩვენებელზე ახდენს გავლენას. ვინაიდან სექსუალური ძალადობის შესახებ პოლიციის შეტყობინება მცირე შემთხვევებში ხდება, არსებული სტატისტიკური მონაცემები სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით სრულ და რეალურ სურათს არ ასახავს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, სექსუალური ძალადობის პრევალენტობის დასადგენად საუკეთესო საშუალება მოსახლეობის გამოკითხვაა.

ზოგადად სქესობრივი დანაშაულები მოიცავს სექსუალური სახის სხვადასხვა დანაშაულს, მათ შორის სექსუალურ ძალადობას, სექსუალურ შევიწროებას, პირის იძულებას, რომ უყუროს პორნოგრაფიას, სექსუალურ ბულინგს, სექსუალურ კონტაქტის სხვა ფორმებს თანხმობის გარეშე; გაუპატიურებაც სწორედ იმ ფართო ქოლგის ქვეშ ექცევა, რომელიც სექსუალურ ძალადობას გულისხმობს.³ რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს, ის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ხუთი სახის დანაშაულს ითვალისწინებს, ესენია: გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში და გარყვნილი ქმედება. მართალია, სქესობრივ

² Understanding and addressing violence against women <https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/77434/WHO_RHR_12.37_eng.pdf;jsessionid=EDC6BB6952951560DB11C30157EFC51B?sequence=1> [04.14.2023].

³ *Westmarland N. and Gangoli G.*, International Approaches to Rape, University of Bristol, UK, The Policy Press, 2011, 1.

დანაშაულები გენდერულად ნეიტრალურია⁴, ეს არის დანაშაულის ისეთი სახე, რომლის დროსაც, როგორც წესი, ქალები ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, რაც ცხადია მათ სხვადასხვა სახის ტრავმებს უტოვებს და აყენებს გამოუსწორებელ ზიანს⁵ და გამოწვეულია ე.წ. კულტურულად ლეგიტიმური მსხვერპლის კონცეფციით. აღნიშნული მიდგომა პირველად 1973 წელს გამოიყენეს გაუპატიურების მსხვერპლთა აღსაწერად: *“სოციალიზაცია და განსაკუთრებით გენდერული როლების სწავლება ... წარმოქმნის მსხვერპლსა და დამნაშავეს. კაცების მიერ დომინირებული საზოგადოება, რომელშიც ძალაუფლებისა და გავლენის პოზიციები დაკავებულია კაცების მიერ, მიდრეკილია ქალის, როგორც ვიქტიმიზაციის ლეგიტიმური ობიექტის ჩამოყალიბებისა და პერმანენტაციისკენ. ასეთ საზოგადოებაში სოციალური პროცესები ამზადებს ქალს პოტენციური მსხვერპლის როლისთვის.”*⁶

გენდერული თანასწორობის კუთხით საერთაშორისო დონეზე არსებული მიღწევების მიუხედავად, ქალზე ძალადობა გრძელდება, რაზეც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაც მიუთითებს - ყოველი სამი ქალიდან თავისი ცხოვრების განმავლობაში ყოფილა ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.⁷ ეს მონაცემები, ძირითადად, უცვლელი რჩება წლების განმავლობაში.

გამომდინარე აქედან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადისერტაციო ნაშრომის მიზანია სექსობრივი დანაშაულების შესახებ არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი, არამედ კრიმინოლოგიური დახასიათებაც, რადგან კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, იმის გათვალისწინებით, რომ კრიმინალური პოლიტიკის პრიორიტეტებია: ადამიანი, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტი;

⁴ *Adoch C.*, Defining Rape: The Problem with Consent, Human Rights and Peace Center, School of Law, Makerere University, Kampala, Uganda, 72.

⁵ *Yebisi O., Balogun V.*, Marital Rape: A Tale Of Twolegal Systems, School of Law, University of KwaZulu-Natal, Pietermaritzburg, 2017, 540.

⁶ *Ezzat A.*, Criminology: Past, Present and Future, A Critical Overview, Fattah School of Criminology Simon Fraser University British Columbia, Canada, 1997, 158.

⁷ Devastatingly pervasive: 1 in 3 women globally experience violence <<https://www.who.int/news/item/09-03-2021-devastatingly-pervasive-1-in-3-women-globally-experience-violence>> [05.03.2023].

ადამიანის პატივი და ღირსება; ჰუმანურობა; პლურალიზმი და ტოლერანტობა; სუბსიდირების პრინციპი; რაციონალობა, გონივრულობა, პრაქტიკულობა და ეფექტიანობა.⁸

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულებს, როგორც არის: (1) გაუპატიურება, (2) სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება და (3) პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება. ამასთანავე, ავტორმა, მითითებული ნორმების ანალიზის გარდა, შეისწავლა საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა ბოლო წლების განმავლობაში, რათა გამოეკვლია, როგორ განმარტავენ საერთო სასამართლოები მითითებულ ნორმებს და როგორი ტენდენციებია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ საქმეებზე სასამართლოებში. ამავე დროს, ნაშრომში გარდა იმისა, რომ მოცემულია პრობლემური პრაქტიკა, ასახულია საქართველოს პირველი ინსტანციის ერთ-ერთი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც დასაბუთების მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ვინაიდან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და სხვა სტანდარტები გავლენას ახდენს სქესობრივი დანაშაულების განმარტების ჩამოყალიბებაზე, შესაბამისად ნაშრომში დეტალურად არის განხილული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სქესობრივი დანაშაულის ისეთ დეფინიციას და მიდგომის ჩამოყალიბებას, რომელიც გულისხმობს სქესობრივი დანაშაულის საქმის განხილვას ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან.

გარდა ამისა, ნაშრომი გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ ავტორმა ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელშიც 300-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და წინასწარ შედგენილ კითხვარს უპასუხა. შესაბამისად, სხვადასხვა გამოცდილების, პროფესიის და ასაკის ადამიანების თვალსაზრისის გაცნობა

⁸ შალიკაშვილი მ, კრიმინოლოგია, თბილისი, 2017, 5.

საშუალებას გვაძლევს, გავაანალიზოთ, რა სახის მცდარი ან არამცდარი წარმოდგენები არსებობს საზოგადოებაში სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით.

თავი I. სქესობრივი დანაშაულის ცნება, ისტორიული ეტაპები და ზოგადი მიმოხილვა

1.1 სქესობრივი დანაშაულის ევოლუცია

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 36-ე მუხლის⁹ თანახმად, სექსუალური ძალადობის, მათ შორის, გაუპატიურების დეფინიცია შემდეგია: (ა) სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით; (ბ) ადამიანთან სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება, მისი თანხმობის გარეშე; (გ) სხვა ადამიანის იძულება, მესამე პირთან განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები, მისი თანხმობის გარეშე. კონვენციის ამავე მუხლის მიხედვით, თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით. ხელმომწერი სახელმწიფოები, რომელთა შორისაა საქართველო 2017 წლიდან, ვალდებული არიან, გაატარონ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ან მიიღონ სხვა ზომები, რათა ეს „დებულებები ასევე გამოიყენებოდეს იმ აქტების შემთხვევაშიც, რომლებიც ჩადენილია ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლეების ან პარტნიორების მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობის საფუძველზე“¹⁰.

სქესობრივი დანაშაულს ხშირად მიიჩნევენ ისეთ დანაშაულად, რომელიც განსხვავებულია დანაშაულის სხვა ფორმებისგან თავისი სპეციფიკურობის გათვალისწინებით. ის განიხილება, როგორც განსაკუთრებით ინვაზიური და ინტრუზიული დანაშაული, რომელიც საზოგადოების ფართო ყურადღებას იპყრობს.

⁹ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 36-ე მუხლი, მე-3 პუნქტი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> 29.08.2017.

¹⁰ იქვე.

გაუპატიურება სქესობრივი დანაშაულის ერთ-ერთი სახეა, რომლის დეფინიციის დროს უმნიშვნელოვანესი ასპექტია, თუ რამდენად თანხვედბა მისი განმარტება ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ სტანდარტებს.

გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის დეფინიციის მასშტაბი ინტენსიური მეცნიერული ყურადღების საგანი მაშინ გახდა, როდესაც გაეროს ქარტიის მე-7 თავის საფუძველზე, უსაფრთხოების საბჭოს მიერ, 1993-1994 წლებში შეიქმნა *ad hoc* სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები (ყოფილი იუგოსლავია და რუანდა). „მასობრივი ხოცვა-ჟლეტა კლავს სხეულს, გაუპატიურება კი კლავს სულს“¹¹ - ამ სიტყვებით იქნა აღწერილი რუანდის შემთხვევა იმის ასახსნელად, თუ რატომ შეიძლება იყოს მასობრივი გაუპატიურება მასობრივ მკვლევლობებზე ბევრად უარესი.¹² სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (იუგოსლავია) მიზანს გენოციდის, ომის დანაშაულების და სხვა დარღვევების შესახებ გამომიების წარმოება წარმოადგენდა¹³, რომლისთვისაც ერთ-ერთი გამოწვევა გაუპატიურებისა და სქესობრივი დანაშაულის განმარტება იყო; კერძოდ, სქესობრივი დანაშაულის დეფინიცია უნდა დაფუძნებულიყო (ა) მსხვერპლის თანხმობის არარსებობას, (ბ) დამნაშავის მიერ ძალადობას ან ძალადობის მუქარას, თუ (გ) ისეთ გარემოებებს, რომლებითაც დამნაშავემ ისარგებლა?¹⁴ მართალია ტრიბუნალს, გაუპატიურებაზე (სქესობრივ დანაშაულებზე), როგორც ცალკე მდგომ დანაშაულზე, იურისდიქცია არ გააჩნდა, მაგრამ ჟენევის კონვენციების დარღვევების, ომის დანაშაულებისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამო, მათ იურისდიქციაში მოექცა. ტრიბუნალებმა შეძლეს და გაუპატიურება განმარტეს, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი იქამდე გაუპატიურების ასეთ დეფინიციას არ იცნობდა.¹⁵ რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის პრეზიდენტმა ვაგნ იოენსენმა განაცხადა, რომ „სასამართლომ

¹¹ *Nowrojee B.*, Your Justice is Too Slow: Will the ICTR Fail Rwanda's Rape Victims?, Boston Consortium on Gender, Security and Human Rights, 2003, 3.

¹² იქვე.

¹³ *Londras F.*, Prosecuting Sexual Violence in the Ad Hoc International Criminal Tribunals for Rwanda and the Former Yugoslavia, University College Dublin Law Research Paper No. 06, 2009, 1.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე, 6.

მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საერთაშორისო სამართლის ევოლუციაზე, ... გარდა ამისა, ეს არის მსჯავრდების პირველი შემთხვევა გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობისთვის, როგორც გენოციდის [ერთ-ერთი] ფორმისთვის.“¹⁶ ამით უარი ითქვა 1998 წელს საერთაშორისო სამართალში Akayesu-ს საქმეზე დადგენილ განმარტებაზე¹⁷ და გაუპატიურებად განსაზღვრეს ისეთი ქმედება, რომელიც გულისხმობს *სექსუალურ პენეტრაციას ნებისმიერი საშუალებით, მსხვერპლის თანხმობის გარეშე*. რაც შეეხება თანხმობის დეფინიციას, ის განიმარტა შემდეგნაირად: ნებაყოფლობით მიცემული თანხმობა მსხვერპლის მიერ, რომლის დროსაც უნდა შეფასდეს „გარეშე ფაქტორების კონტექსტი“.¹⁸

მნიშვნელობა არ აქვს, სექსუალური კონტაქტი მოიცავს პენეტრაციას თუ არა, ძალის გამოყენება ან იძულების მუქარა მსხვერპლისთვის შეუძლებელს ხდის, დაიცვას თავისი სექსუალური ავტონომია¹⁹, რაშიც იგულისხმება უნარიანობა, იყო დამოუკიდებელი პიროვნება, იცხოვრო საკუთარი ცხოვრებით, საკუთარი არგუმენტების და მოტივების მიხედვით, და არ იყო მანიპულაციური იძულების პროდუქტი.²⁰

სწორედ ამიტომ ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი, რომელიც გაუპატიურების საქმეების გამოძიებას შეეხება, მიუთითებს, რომ სექსუალური კონტაქტის ლეგალურობა გულისხმობს ნებაყოფლობით თანხმობას, რომელიც გამოვლენილია პირის თავისუფალი ნების შედეგად გარეშე ფაქტორების გათვალისწინებით²¹, ანუ რამდენად შეეძლო და არსებობდა ისეთი პირობები იმისთვის, რომ მსხვერპლს გამოეხატა თავისი ნამდვილი ნება, ასევე, რამდენად იყო

¹⁶ As Tribunals for Rwanda, Former Yugoslavia Prepare to Formally Complete Mandates, Presidents, Prosecutors Brief Security Council on Achievements, Challenges <<https://press.un.org/en/2015/sc12150.doc.htm>> [05.03.2023]

¹⁷ The Prosecutor v. Jean-Paul Akayesu <<https://www.internationalcrimesdatabase.org/Case/50/Akayesu/>> [05.03.2023].

¹⁸ *Londras F.*, Prosecuting Sexual Violence in the Ad Hoc International Criminal Tribunals for Rwanda and the Former Yugoslavia, University College Dublin Law Research Paper No. 06, 2009, 1.

¹⁹ *Adoch C.*, Defining Rape: The Problem with Consent, Human Rights and Peace Center, School of Law, Makerere University, Kampala, Uganda, 74.

²⁰ *Christman J.*, Autonomy in moral and political philosophy, The Stanford Encyclopedia of Philosophy, 2018, 1.

²¹ *M.C. v Bulgaria*, [2003] ECHR] 163.

უზრუნველყოფილი თანასწორობა.²² ხოლო, როდესაც დამნაშავე მიმართავს ძალადობას, ძალადობის მუქარას ან იძულებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ქალი დაქვემდებარებულია კონტროლს და შეუძლებელია, თანხმობა იყოს ნამდვილი. აღქმა იმისა, რომ თუნდაც ასეთ დროს, ქალს შეუძლია გამოხატოს თავისუფალი ნება და დათანხმდეს სექსუალურ კონტაქტს, როდესაც მასზე ხორციელდება ძალადობა ან იძულების მუქარა (არ აქვს მნიშვნელობა, ეს კონტაქტი მოიცავს თუ არა პენეტრაციას), არასწორია; ეს არის სტერეოტიპი, რომელიც ძირს უთხრის ქალის თანასწორუფლებიანობას და სექსუალურ ავტონომიას, რომელიც ინდივიდის ფიზიკური და მენტალური მთლიანობის ასპექტია, რაც სექსუალური ძალადობის კრიმინალიზაციით დაცული სიკეთეა. სამწუხაროდ, სექსუალური ავტონომია ხშირად დაკავშირებულია თანხმობის ვიწრო გაგებასთან, რაც გავლენას ახდენს დანაშაულის შეტყობინებაზე, სისხლისსამართლებრივ გამოძიებაზე, დევნასა და მსჯავრდებაზე.

1.2 სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის ძირითადი ეტაპები: ისტორიული მიმოხილვა

„მეცნიერებისთვის აუცილებელია წარსულის კრიტიკული აღქმა. სწორედ აღქმა და არა იარლიყური უარყოფა, რამეთუ არის თეორიები, რომლებიც დღესაც პერსპექტიულია ამა თუ იმ მოვლენის არსის შემეცნების თვალსაზრისით.“²³

ნაშრომის წინამდებარე თავში მოცემულია სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის ისტორიული ასპექტები და ძირითადი ეტაპები. შესაბამისად, თავდაპირველად განხილულია ჩვეულებითი სამართალი სქესობრივი დანაშაულები და სასჯელები. დეტალურად არის აღწერილი ძირითადი განსხვავებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ასევე, რა ფაქტორები ახდენდა გავლენას მის განვითარებაზე და როგორი იყო მსხვერპლის მიმართ დამოკიდებულება. მომდევნო ნაწილში კი განხილულია სისხლის სამართლის მიდგომები სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით 1920-იანი

²² *Adoch C.*, *Defining Rape: The Problem with Consent*, Human Rights and Peace Center, School of Law, Makerere University, Kampala, Uganda, 81.

²³ *წულაია ზ.*, კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), გამომცემლობა „ინტელექტი“, 2003, 8.

წლებიდან. კერძოდ, რა კატეგორიებად იყოფოდა სქესობრივი დანაშაული, როგორი იყო გაუპატიურების დეფინიცია და სასჯელი; რამდენად იყო დაცული ქალის სქესობრივი თავისუფლება; ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო დანაშაულის სუბიექტი და პოტენციური მსხვერპლი; რა დატვირთვა ჰქონდა ძალადობას და თანხმობის ელემენტს. შემდგომში კი ავტორი მსჯელობს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის (1960-იანი წლები) შესახებ სქესობრივი დანაშაულების სახეებისა და გაუპატიურების დეფინიციის თვალსაზრისით; ასევე იმის შესახებმ თუ რამდენად ავალდებულებდა სისხლის სამართალი ქალს მოძალადისთვის წინააღმდეგობის გაწევას, რათა ქმედება სქესობრივ დანაშაულად დაკვალიფიცირებულიყო.

1.2.1 სქესობრივი დანაშაული და ჩვეულებითი სამართალი საქართველოში

ჩვეულებითი სამართალი სოციალურ ურთიერთობების მოწესრიგების ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე დიდწილად პოზიტიური სამართლის ფუნქციებსაც ითავსებდა, რაც საბოლოოდ „მიწისქვეშა მდინარეს დაემსგავსა, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს, მაგრამ არსებობას კვლავ განაგრძობს“²⁴. „ეს სფერო ცხოვრების მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სიმართლეზე და რომ ამით შეიძლება ყოველმხრივ შევიცნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმის წარსული, საჭიროება“, - წერდა ილია ჭავჭავაძე ხალხური (ჩვეულებითი) სამართლის შესახებ, გაზეთ „ივერიის“ 1887 წლის #270-ში.²⁵

²⁴ დავითაშვილი გ., ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოხსენებითი ანგარიში, თავი III, *ონიანი ს.* თავი I, II, IV, V, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართლის, რომანტიკისა და სამართლის ისტორიის ინტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 5.

²⁵ ჯალაბაძე დ., გიორგი ჟორდანია - ქართული ხალხური სამართლის მკვლევარი, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, Volume 1, Issue 1, 04.06.2021, 135.

ქართული ჩვეულებითი სამართლის სრულყოფილი შესწავლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტის კვლევას, რადროსაც ძირითადად ეყრდნობიან XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის ეთნოგრაფიულ მასალებს.²⁶ ქართული ჩვეულებითი სამართალი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, არსებითად განსხვავებულია. მაგალითად, საქართველოს მთის რეგიონებში, განსაკუთრებით - ზემო სვანეთსა და ხევსურეთში, სადაც უფრო ხანგრძლივად შემორჩა, ჩვეულებითი სამართლის გამოყენება უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე სხვაგან ბარში. ხოლო სხვა მაღალმთიან რეგიონებში, სადაც სახელმწიფო ორგანოებს უფრო მეტი გავლენა ჰქონდათ, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება სისხლის სამართლის დანაშაულებზე გამოიყენებოდა, თუმცა - არა სრულყოფილი ფორმით.²⁷ ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფშავში ჩვეულებითი სამართლის განვითარებაზე გავლენა ჰქონდა გეოგრაფიული მდებარეობას, რადგანაც ამ რეგიონს მიგრაცია და სხვა თავისებურებები ახასიათებდა.²⁸ ხალხური სამართალი ზემოქმედებას ახდენდა სოციალურ ურთიერთობებზეც, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტით, მკაცრი კლიმატით, კუთხური კარჩაკეტილობით (განსაკუთრებით საქართველოს მთიან ნაწილში) და სხვ.²⁹

რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ჩვეულებითი სამართლის მნიშვნელობა არ შემცირებულა, რასაც ხელი შეუწყო, მოსახლეობის უმრავლესობისათვის, სამართალწარმოების ოფიციალურ ენად რუსული ენის დამკვიდრებამ; როგორც მასალებიდან ირკვევა, სვანეთში რუსულ ენას ისე აღიქვამდნენ, როგორც მტრის მიერ თავსმოხვეულ მოვლენას, სწორედ ამან

²⁶ დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, ივ. ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართალს, რომანტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 7.

²⁷ იქვე, 9-10.

²⁸ ჯალაბაძე დ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, ფშავის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, თბილისი, 2003, 122-123.

²⁹ დავითაშვილი გ., ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოხსენებითი ანგარიში, თავი III, *ონიანი ს.* თავი I, II, IV, V, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართლის, რომანტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 4.

განაპირობა, ჩამოყალიბებულიყო ე.წ. გაუთქმელობის პრინციპი³⁰, კერძოდ, მოწმეები და დაზარალებულები ჩვენებას ისეთი ფორმით აძლევდნენ, რომ დამნაშავე რუსული კანონის ფარგლებში არ დასჯილიყო, რათა საკითხი ჩვეულებითი სამართლით, სვანური ადათით გადაწყვეტილიყო. საინტერესოა ისიც, რომ საბჭოთა ციხეში მოხვედრით დამნაშავე ხალხური სამართლით დადგენილი პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდებოდა და სასჯელის მოხდის შემდგომ, თუ დაზარალებულის ოჯახთან არ შერიგდებოდა, ეს შურისძიების საფუძველიც კი შეიძლებოდა გამხდარიყო.³¹ ჩვეულებითი სამართლის გამოყენება დანაშაულთან ბრძოლის და რეაგირების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო იმიტომაც არის, რომ ეს უკავშირდება საზოგადოების სამართლებრივ ცოდნას სისხლის და სამოქალაქო სამართალს ერთმანეთისგან განსხვავების თაობაზე, როგორც ეს ერთ-ერთ ნაშრომშია მითითებული: „როდესაც ხალხის იურიდიული აზრი დაბლა სდგას, განუვითარებელია, მაშინ სამოქალაქო და სისხლის სამართალს შორის თითქმის განსხვავება აღარ არის, მაშინ მთელი სამართალი სისხლის სამართალია“³² („სისხლი“ ძველ ქართულ იურიდიულ მწერლობაში სისხლის სამართლის დანაშაულებისათვის დაწესებულ სასჯელს ეწოდებოდა³³).

დანაშაულის არსის შესახებ ქართულ ჩვეულებით სამართლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოებაში, სადაც ჩვეულებითი სამართალი მოქმედებს, დანაშაულად აღიქმება ისეთი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ თუ კერძოსამართლებრივ ინტერესს. და თუ ქართულ ჩვეულებით სამართალს დავეყრდნობით, დანაშაულებრივი ხელყოფის უშუალო ობიექტი შეიძლება იყოს პიროვნება, მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება,

³⁰ იქვე. 5.

³¹ იქვე. 6.

³² *ხიზანიშვილი ნ.*, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის II, ეთნოგრაფიული ნაწერები, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, თბილისი, 1940, 46.

³³ *ჯავახიშვილი ი.*, ქართული სამართლის ისტორია. წიგნი პირველი, თბილისი, 1928, 74.

საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობის ნორმები, სარწმუნოებრივ-რელიგიური წესები და სხვა.³⁴

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია განვიხილოთ ჩვეულებითი სამართალი უშუალოდ სექსობრივ დანაშაულებთან მიმართებით. სვანური ჩვეულებითი სამართალი გაუპატიურებას უმძიმეს დანაშაულთა რიცხვს მიაკუთვნებდა, რომელიც სიმძიმის თვალსაზრისით მკვლელობასთან არის გათანაბრებული. ამ დანაშაულისთვის სასჯელის ზომა მკაცრი იყო, ვინაიდან გაუპატიურების შემთხვევაში ქალის ოჯახის მხრიდან დამნაშავის მკვლელობას ექნებოდა ადგილი; განსაკუთრებით მაშინ, თუ გაუპატიურება ჩადენილი იყო ქორწინებაში მყოფი ქალის მიმართ. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ქალი დაქორწინებული არ იყო, გაუპატიურების შემდგომი სასჯელის, მკვლელობის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება დამნაშავისა და დაზარალებულის ქორწინება იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუპატიურების მსხვერპლი ქალი საერთოდ ვეღარ დაქორწინდებოდა. ასეთ დროს ქალი იძულებული ხდებოდა, დათანხმებულიყო დამნაშავეზე ქორწინებას.³⁵ კვლევაში, რომელიც სვანეთში ჩვეულებითი სამართლის გამოყენებას შეეხება, აღნიშნულია, რომ არსებობდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალის გაუპატიურების გამო დამნაშავე მოკლეს. ქალწულის გაუპატიურება ასევე მძიმე დანაშაულად მიიჩნეოდა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს მორვები³⁶ მხედველობაში იღებდნენ იმ ფაქტს, იყო თუ არა დაზარალებული ქალწული. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ქალის მხრიდან მასზე სექსუალური ძალადობის დაბრალების შემთხვევაში, როდესაც ის სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მორვები შეაფასებდნენ

³⁴ დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, ივ. ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართლის, რომანტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 11.

³⁵ დავითაშვილი გ., ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოხსენებითი ანგარიში, თავი III, *ონიანი ს.* თავი I, II, IV, V, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართლის, რომანტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 116.

³⁶ მორვები - მოსამართლეები.

ქალის პიროვნებას და ამოწმებდნენ, თუ რამდენად ჰქონდა ადგილი თვალთმაქცობას.³⁷

1.2.1.2 „უკანონო, დაუშვებელი სქესობრივი კავშირი“

ქართულ ჩვეულებით სამართალში, საჯარო სამართალდარღვევად მიიჩნევა „ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები“³⁸, როგორცაა „უკანონო, დაუშვებელი სქესობრივი კავშირი“³⁹ (მაგალითად, ქორწინების გარეშე შვილის გაჩენა), ასევე, „უკანონო ქორწინება“⁴⁰ (მაგალითად, „ნათელ-მრონის გატეხა“). ჩვეულებითი სამართლის მასალებიდან ირკვევა, რომ საზოგადოებას, ზოგადად ქალის მიმართ ძალზედ მკაცრი დამოკიდებულება ჰქონდა: „საზოგადოება არ ურიგდებოდა სოფელში ვინმეს უპატიოსნო ცხოვრებას, უკანონო შვილის გაჩენას, როდესაც ისჯებოდა ბავშვის დედა (ან მისი ოჯახი), იმისდა მიუხედავად, ხდებოდა თუ არა უკანონო ბავშვის მამის დასჯა იმავე საზოგადოების მიერ“⁴¹. მაგალითად, ფშავში ასეთ დროს ქალი შესაძლოა, სოფლიდან გაემეგებინათ, იმერეთში კი, ქალს სჯიდნენ რამდენიმე დღით სამარცხვინო ბოძზე გაკვრით.⁴²

სქესობრივი კავშირი, რომელიც არ იყო დაკავშირებული ნათესავეებს შორის ურთიერთობასთან, სვანეთში ძირითადად, ქალის ოჯახის ღირსების შელახვად მიიჩნეოდა და არ ითვლებოდა მძიმე დანაშაულად. უკანონო სქესობრივ კავშირში

³⁷ დავითაშვილი გ., ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოხსენებითი ანგარიში, თავი III, *ონიანი ს.* თავი I, II, IV, V, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართლის, რომანტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 116.

³⁸ დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, ივ. ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართალს, რომანტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 27.

³⁹ იქვე.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ იქვე.

⁴² იქვე. 28.

იგულისხმებოდა ცოლის მიერ ქმრის „ღალატიც“, რაც „ქმრის მიერ ცოლის გაგდების ლეგალურ საფუძველს წარმოადგენდა“, და ასეთ შემთხვევაში ქმრის მიერ ცოლის მიტოვება დანაშაულად არ ჩაითვლებოდა.⁴³

1.2.1.3 ძალადობრივი სქესობრივი კავშირი

ივანე ჯავახიშვილი გაუპატიურებას „სქესობრივი ზნეობის დამრღვევ დანაშაულად“ მოიხსენიებდა. ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ძალადობა, რომელიც ქალის სქესობრივ ხელშეუხებლობას ლახავდა, გაუმართლებელ, დასჯად ქმედებას წარმოადგენდა ფშავში. ქალის ნების საწინააღმდეგო სქესობრივი კავშირი, მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და ქალის ახლობლები უფლებამოსილნი იყვნენ შური ეძიათ დამნაშავეზე⁴⁴, რაშიც მისი მოკვლა იგულისხმებოდა.

უცნობია ზუსტად რა ტერმინი გამოიყენებოდა ფშავში ძალადობრივი სქესობრივი კავშირთან დაკავშირებით, თუმცა ამ სახის დანაშაული შინაარსობრივად მეტ-ნაკლებად ახლოს იდგა ისეთ ტერმინებთან, როგორცაა „გაბმა“ და „შეგმანვა“.⁴⁵ ფშავური სამართლით, ძალადობით გაუპატიურება მკვლევლობით ანუ სისხლის აღებით დამთავრდებოდა და მკვლელს სასჯელი არ დაეკისრებოდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ხალხური სამართალი გაუპატიურებას მძიმე დანაშაულად მიიჩნევდა. აგრეთვე, ცნობებით დადასტურებულია, რომ „გაბიჭიანების“⁴⁶ (ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირი, რასაც ორსულობა მოჰყვება) დროს მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვის მიუძღოდა ბრალი. ფშავური სამართლით, ქალის მიმართ ძალადობით

⁴³ დავითაშვილი გ., ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოხსენებითი ანგარიში, თავი III, *ონიანი ს.* თავი I, II, IV, V, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართლის, რომანტიკისა და სამართლის ისტორიის ინტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 117.

⁴⁴ *ჯალაბაძე დ.*, დანაშული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, ფშავის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, თბილისი, 2003, 123.

⁴⁵ იქვე. 52.

⁴⁶ იქვე.

სქესობრივი კავშირის დამყარება განსხვავდებოდა იმ დანაშაულისგან, რომელშიც ისეთი სქესობრივი კავშირი იგულისხმება, როდესაც ქალი და კაცი არ იმყოფებოდნენ ქორწინებაში - ასეთ დროს მიიჩნეოდა ბრალი მიუძღოდა ქალსაც და კაცსაც, რადგან მათი აზრით ეს ლახავდა მთელი თემის და საზოგადოების ინტერესებს. ორივე შემთხვევაში გამოიყენებოდა ისეთი მკაცრი სასჯელები, როგორცაა ჩაქოლვა და მოკვება.⁴⁷

ამრიგად, ქართული ჩვეულებითი სამართალი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რაც გეოგრაფიული მდებარეობის გავლენით იყო განპირობებული. როგორც ირკვევა, სვანური ჩვეულებითი სამართალი გაუპატიურებას უმძიმეს დანაშაულად მიიჩნევდა, რომელიც სიმძიმის თვალსაზრისით მკვლელობასთან იყო გათანაბრებული, ხოლო სასჯელად ისეთი მკაცრი ზომაც კი გამოიყენებოდა, როგორცაა დამნაშავის მოკვლა დაზარალებულის ოჯახის წევრების მიერ. ამავდროულად დაუქორწინებელი ქალის გაუპატიურების შემთხვევაში, დამნაშავე არ ისჯებოდა, თუ ის დაზარალებულზე დაქორწინდებოდა. *შესაბამისად, ქალი ფაქტობრივად ორჯერ ხდებოდა მსხვერპლი, პირველად - გაუპატიურებისას, ხოლო მეორედ, დამნაშავეზე თავისი ნების საწინააღმდეგოდ ქორწინებისას.* ამკარაა, რომ ჩვეულებითი სამართალი მკაცრ წესებს ადგენდა ქალის მიმართ, ამას მოწმობს ქორწინების გარეშე შვილის გაჩენის გამო ქალის დასჯა. ასეთ შემთხვევაში, რომელიც დაუშვებელ სქესობრივ კავშირად მიიჩნეოდა, ქალის დასჯის ისეთი ფორმები გამოიყენებოდა, როგორცაა სოფლიდან გამევეება ან სამარცხვინო ბოძზე გაკვრა. ფშავური ჩვეულებითი სამართლით, ქმედება ქალის სქესობრივ ხელშეუხებლობას ლახავდა, თუ ის ჩადენილი იყო ქალის ნების საწინააღმდეგოდ, რაც ისეთ სასჯელს ითვალისწინებდა, როგორცაა დამნაშავის მოკვლა. გარდა ამისა, სქესობრივ დანაშაულად მიიჩნეოდა ისეთი ნებაყოფლობითი სქესობრივი აქტი, როდესაც ქალი და კაცი არ იმყოფებოდნენ ქორწინებაში, ასეთ შემთხვევაში ორივე პირის მიმართ გამოიყენებოდა მკაცრი სასჯელები. ქართული ჩვეულებითი სამართლის ზოგადი მიმოხილვა წარმოდგენას ქმნის იმის შესახებ, თუ როგორი იყო დამოკიდებულება ზოგადად ქალის უფლებების და სექსუალური

⁴⁷ იქვე.

ავტონომიის მიმართ. როგორც აღმოჩნდა, ჩვეულებითი სამართალი, ერთის მხრივ, მკაცრად სჯიდა დამნაშავეს, ხოლო, მეორე მხრივ უგულებელყოფდა ქალის უფლებებს, რაც დამნაშავეზე იძულებით ქორწინებაში გამოიხატებოდა.

1.2.2 სისხლის სამართლის მიდგომა სქესობრივი დანაშაულების მიმართ 1920-იანი წლებიდან

1920-იან წლებში რსფსრ-ში (რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა) სქესობრივი დანაშაული სამ ჯგუფად იყოფოდა: (1) სქესობრივი დანაშაული, რომლის უშუალო ობიექტია სქესობრივად მომწიფებული პირების სქესობრივი თავისუფლება (მაგალითად, ძალადობა); (2) სქესობრივი დანაშაული, რომლის ობიექტია არასრულწლოვანთა ნორმალური განვითარება (მაგალითად, არასრულწლოვანის გარყვნა); (3) სქესობრივი დანაშაული, რომლის უშუალო ობიექტია სქესობრივ ურთიერთობათა არსებული წყობა (მაგალითად, მაჭანკლობა).⁴⁸

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სქესობრივ დანაშაულთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა „იცავს რა პიროვნების ინტერესებს, ხელს უწყობს სოციალისტური ზნეობის გამაგრებას სქესობრივ ურთიერთობათა დარგში. ხელს უწყობს სქესობრივი ცხოვრების ჯანსაღი განვითარების განმტკიცებას, რომელიც განთავისუფლებულია ბურჟუაზიული პირმოთნეობისაგან“⁴⁹ . *თუმცა არსებობდა განსხვავებული მოსაზრებაც, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის დაცვის ობიექტს წარმოადგენდა არა პიროვნება, არამედ სახელმწიფო და მის მიერ დადგენილი*

⁴⁸ პიონტოვსკი ა., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი, 1940, 127.

⁴⁹ იქვე. 128.

*სამართლებრივი წესრიგი. პირი დაცული იყო იმდენად, რამდენადაც ეს შედიოდა მუშათა კლასის და არსებული წესრიგის ინტერესში.*⁵⁰

რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსი „სქესობრივი დანაშაულნი ასაკოვან პირთა სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ (სქესობრივი ძალადობა)“⁵¹ მოიაზრებდა სქესობრივ ძალადობას პიროვნების სქესობრივ თავისუფლებაზე. ამავე კოდექსის 153-ე მუხლის პირველი პუნქტი გაუპატიურებას განსაზღვრავდა, როგორც სქესობრივ კავშირს ფიზიკური ძალადობით, მუქართა და დაშინებით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებითა და მოტყუების გზით. აღნიშნული დანაშაულის ობიექტს წარმოადგენდა ქალის სქესობრივი თავისუფლება.⁵²

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში კაცის სასარგებლოდ წყდებოდა საკითხი ქმრის მიერ ცოლის გაუპატიურების შემთხვევაში. ვინაიდან, მიიჩნეოდა, რომ გაუპატიურების ობიექტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ცოლი ან ის ქალი, რომელიც ხანგრძლივ სქესობრივ კავშირში იყო დამნაშავესთან და მხოლოდ ძალადობით დამყარებული სქესობრივი კავშირისთვის შეიძლებოდა პირის დასჯა.⁵³ „საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, ქორწინება წარმოადგენდა მამაკაცისა და დედაკაცის თავისუფალ თანაცხოვრებას და არა ხელშეკრულებაზე დამყარებულ ქმრის უფლებას სქესობრივი კავშირის დაჭერისას და დედაკაცის ვალდებულებას, თავისი სხეული მიაწოდოს ქმარს სქესობრივი გრძნობის დასაკმაყოფილებლად. გამოვდივართ რა ჩვენი სამართლის შეხედულებიდან ქორწინებაზე, არ შეიძლება არავითარი ეჭვიც აღიძრას იმის შესახებ, რომ ცოლი შეიძლება იყოს ობიექტი გაუპატიურებისა თავისი ქმრის სახით“⁵⁴.

⁵⁰ Starosolsky G. V., Basic Principles of Soviet Criminal Law, North Caroline Law Review, V28, USA, 1950, 361.

⁵¹ *პიონტოვსკი ა.*, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი, 1940, 132.

⁵² იქვე.

⁵³ იქვე. 146.

⁵⁴ იქვე. 132.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სისხლის სამართალი ამ მხრივ გამონაკლისი არ იყო. ისტორიულად ქალის სექსუალურ ავტონომიაზე უფლება მის ქმარს ჰქონდა. ადრეულ ეტაპზე კანონები გაუპატიურების მსხვერპლად განსაზღვრავდა არა ქალს, არამედ კაცს, რომელსაც დაერღვა საკუთრების უფლება, რაც ფაქტობრივად ქონებრივ დანაშაულს წარმოადგენდა. *როგორც 1970-იან წლებში მკვლევრები მიუთითებენ, კანონები აძლიერებდა კაცის ექსკლუზიურ მფლობელობას სექსუალურ ობიექტზე, როგორც ნივთზე, რაც ავითარებდა შემდეგ პრინციპს „კაცს არ შეუძლია მოიპაროს ის, რასაც უკვე ფლობს“⁵⁵. სამწუხაროდ, დღესაც ქალის სხეული რეგულირების, კონტროლისა და თავდასხმის სამიზნეა.⁵⁶*

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში ისეთი ქალის გაუპატიურება, რომელიც „ეწეოდა პროსტიტუციას“, არ იყო დაცული სისხლის სამართლის კანონით, რადგან, იმდროინდელი მოსაზრების თანახმად, მას დაკარგული ჰქონდა „სქესობრივი პატიოსნება“, რითაც ქალს „სოციალურად განკიცხულად და უუფლებოდ“ აცხადებდნენ⁵⁷. ამ მიდგომას თანამედროვე დროშიც არ დაუკარგავს აქტუალობა (იხ. ქვეთავი 2.1). 2013 წელს ჩატარებულ კვლევის⁵⁸ შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ მსხვერპლი შეიძლება იყოს დამნაშავე, თუნდაც მის მიმართ ადგილი ჰქონდეს ისეთი დანაშაულის ჩადენას, როგორცაა გაუპატიურება.

რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ფიზიკური ძალადობით გაუპატიურების ჩადენა გამოიხატებოდა იმაში, რომ შექმნილი იყო „დაზარალებული პირის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობა ან როცა იგი სძლევს სინამდვილეში გაწეულ წინააღმდეგობას“⁵⁹, რომელიც უნდა ყოფილიყო ნამდვილი და

⁵⁵ *Gibbs A., Gilmour F.E., Women, Crime and Justice in Context, Contemporary Perspectives in Feminist Criminology from Australia and New Zealand, Routledge, Taylor & Francis Group, New York, 2022, 29.*

⁵⁶ *Newman L., Rape Culture, Monash University Clayton, Australia, 2021, 14.*

⁵⁷ *პიონტკოვსკი ა., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი, 1940, 133.*

⁵⁸ *Lacroix R., Georgia: Law and services on gender-based violence are ahead of social attitudes <<https://blogs.worldbank.org/europeandcentralasia/georgia-law-and-services-gender-based-violence-are-ahead-social-attitudes>>, [05.03.2023].*

⁵⁹ *პიონტკოვსკი ა., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი, 1940, 134.*

არა მოჩვენებითი. საუბარია ასევე ფსიქიკურ ძალადობაზე, რაც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო სქესობრივ კავშირზე დაყოლიების მიზნით, რომელიც გულისხმობდა დაშინებისა და მუქარის კომპონენტს, ხოლო მუქარა უნდა ყოფილიყო ნამდვილი და არა მოჩვენებითი, რომელიც მხოლოდ დაზარალებულის წარმოდგენაში იქნებოდა. კერძოდ, მუქარის შემთხვევაში, ის უნდა ყოფილიყო იმდენად სერიოზული, რომ დაზარალებულის მოქმედების თავისუფლება შეეზღუდა.⁶⁰ 1929 წლის 2 თებერვალს სასამართლოს გაუპატიურების საქმეებთან დაკავშირებით, მისცეს მითითება, რომ სასამართლოს სიფრთხილე უნდა გამოეჩინა გაუპატიურების მცდელობის საქმეებზე, მხედველობაში უნდა მიეღოთ ცნობები ბრალდებულის პიროვნების შესახებ. მითითებაში ნათქვამი იყო: *სასამართლოებმა „გაითვალისწინონ, რომ სადაც მოცემულია გაუპატიურების მხოლოდ გარეგანი ნიშნები, უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც უფრო წვრილმანი დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ - ხულიგნობა, შეურაცხყოფა. ასევე, სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ გაუპატიურების მცდელობის სოციალური საშიშროების ნაკლები ხარისხი, რომლებიც დგანან პიროვნების წინააღმდეგ შედარებით უფრო მცირეოდენ დანაშაულთა მიჯნაზე“⁶¹. ამდენად, სასამართლოების სახელმძღვანელო დოკუმენტი გაუპატიურების მცდელობას ხულიგნობად და შეურაცხყოფად განიხილავდა, რაც წარმოადგენდა სასამართლოს პრაქტიკის ამგვარად ჩამოყალიბების საფუძველს.*

რაც შეეხება დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით გაუპატიურების ჩადენას, ეს გულისხმობდა სქესობრივ აქტს, რომელიც ჩადენილი იყო დაზარალებულის თანხმობის გარეშე, მოძალადისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის არქონით. აღნიშნულ დანაშაულს განეკუთვნებოდა, როგორც დაზარალებულის არაცნობიერ მდგომარეობაში ყოფნა, ისე ფიზიკური უმწეობის შემთხვევა, რაშიც მოძალადის მიერ მსხვერპლის უმწეო მდგომარეობაში ჩაყენება იგულისხმებოდა ან მოძალადის მიერ დაზარალებულის უმწეო მდგომარეობით სარგებლობა.⁶²

⁶⁰ იქვე. 135.

⁶¹ იქვე. 136.

⁶² იქვე.

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსი აგრეთვე ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას მოტყუების გზით გაუპატიურებისათვის, რომელიც 153-ე მუხლში იყო მოცემული; რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1928 წლის 16 თებერვლის დადგენილებაში ეწერა, რომ „ის პირი, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებით დაუკავშირდა ქალს იმ მიზნით, რომ ეს ქალი გამოეყენებინა სქესობრივად და ამის შემდეგ გაჰყოფდა, პასუხისგებაში მიეცემა“⁶³.

სუბიექტურ მხარეზე კი მითითებული იყო, რომ გაუპატიურება შესაძლებელია ჩადენილი ყოფილიყო მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რომლის სუბიექტი იყო კაციც და ქალიც. აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსი ასევე მოიცავდა „მარტივი გაუპატიურების“⁶⁴ დეფინიციასაც, რაშიც ერთი პირის მიერ „სქესობრივ სიმწიფეს მიღწეული პირის“⁶⁵ გაუპატიურება იგულისხმებოდა, რომელსაც შედეგად არ მოჰყოლია დაზარალებულის თვითმკვლელობა. ასეთ დროს საქმე აღიძვრებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, თუმცა მხარეთა შერიგებით საქმე ვერ შეწყდებოდა. გარდა ამისა, კოდექსი მოიცავდა გაუპატიურების შემდეგ სახეებს: გაუპატიურება, რომელსაც შედეგად მოჰყვა დაზარალებული პირის თვითმკვლელობა; გაუპატიურება ჩადენილი რამდენიმე პირის მიერ; და პირის გაუპატიურება, რომელიც „სქესობრივი სიმწიფის არ არის“⁶⁶. ასევე, საინტერესოა, რომ სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ დანაშაულის სხვა სახეებისაც მოიცავდა სისხლის სამართლის კოდექსი - ქალის იძულება სქესობრივი კავშირის დამყარებაზე იმ პირის მიერ, რომელზეც ქალი მატერიალურად ან სამსახურებრივად იყო დამოკიდებული.⁶⁷ ასევე, აღსანიშნავია, რომ დანაშაული, დამთავრებულად ითვლებოდა მოქმედების განვითარების ადრეულ სტადიაზევე - ქალის სქესობრივი თავისუფლების განსაცდელში ჩაყენების მომენტში, როდესაც ადგილი ჰქონდა იძულებას სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით ან „ჟინის სხვანაირად დაკმაყოფილებისათვის“. ამრიგად, იძულება უკვე წარმოადგენდა დანაშაულის

⁶³ იქვე. 137.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ იქვე.138-139

⁶⁷ იქვე.140.

შემადგენლობას.⁶⁸ სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ითვალისწინებდა დანაშაულს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც „სქესობრივი სიმწიფისთვის“ არ მიუღწევიათ, კერძოდ, როგორც არამალადობრივი, ასევე, ძალადობრივი სქესობრივი კავშირი 18 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან. 14-დან 16-წლამდე ასაკის პირები ექვემდებარებოდნენ სამედიცინო ექსპერტიზას სქესობრივი მომწიფების სათანადო ფიზიკური ნიშების დადგენის მიზნით. 16-დან 18-წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა მიმართ კი მხოლოდ საექვო შემთხვევებში ტარდებოდა სამედიცინო ექსპერტიზა. ხოლო, 14 წლამდე ასაკის პირებთან საჭიროებას არ წარმოადგენდა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება.⁶⁹

ამდენად, საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი, გარდა იმისა, რომ სათანადოდ არ იცავდა ქალის სექსუალურ თავისუფლებას, ამავდროულად ის განასხვავებდა მსხვერპლს სხვადასხვა მახასიათებლების საფუძველზე (საქმიანობა, სტატუსი და ა.შ.), რაც საბოლოოდ დანაშაულის კვალიფიკაციაზე ახდენდა გავლენას. ამდენად, საბჭოთა სისხლის სამართლით გამოირიცხებოდა გაუპატიურების ჩადენა ქმრის ან პარტნიორის მიერ, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევებში მხოლოდ ძალადობით დამყარებული სქესობრივი კავშირისთვის ისჯებოდა პირი, რა დროსაც მსხვერპლის მიერ წინააღმდეგობის გაწევა ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ქმედების გაუპატიურებად კვალიფიკაციისათვის. პარადოქსულია, მაგრამ სასამართლოებისათვის მომზადებული სახელმძღვანელოს თანახმად ⁷⁰ , გაუპატიურების მცდელობის წვრილმან ხულიგნობად დაკვალიფიცირება და ნაკლები სოციალური საშიშროების დანაშაულად აღქმა მსხვერპლის ინტერესების საზიანო იყო. ამასვე ადასტურებს კოდექსით დადგენილი ე.წ. მარტივი გაუპატიურების დეფინიცია. შესაბამისად, სქესობრივი დანაშაულების სათანადო სიმძიმის დანაშაულად არ აღიარება ქალის სექსუალური ავტონომიის უგულვებელყოფაზე მიუთითებს.

⁶⁸ იქვე. 141.

⁶⁹ იქვე. 147.

⁷⁰ იქვე. 136.

1.2.3 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 60-იანი წლებიდან

1960 წელს მიღებული საქართველოს სსრ (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი ითვალისწინებდა შემდეგი სახის სქესობრივ დანაშაულებს: გაუპატიურება ე.ი. სქესობრივი კავშირი ფიზიკური ძალადობით, მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. ამავე მუხლში, ასევე, მითითებული იყო დანაშაული არასრულწლოვანის გაუპატიურების შესახებ. ხოლო, გაუპატიურების ობიექტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო კაცი, რადგან ასეთ შემთხვევაში ქმედებას სხვა კვალიფიკაცია ექნებოდა.⁷¹ რაც შეეხება ქალს, დანაშაულის კვალიფიკაციისას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა ურთიერთობა ჰქონდა დაზარალებულს დამნაშავესთან; მხედველობაში მიიღებოდა ის, თუ რამდენად მიმართავდნენ ძალადობას სქესობრივი კავშირის დასამყარებლად. სისხლის სამართლის კოდექსით მიჩნეული იყო, რომ ქალის წინააღმდეგობა უნდა ყოფილიყო ნამდვილი და შეუპოვარი და არა თვალთმაქცური.⁷² დამნაშავე პასუხს აგებდა გაუპატიურების მცდელობისთვის, რომლის დროსაც სასამართლოები ადგენდნენ, მოქმედებდა, თუ არა დამნაშავე სქესობრივი აქტის ჩადენის მიზნით და წარმოადგენდა თუ არა ძალადობა ამ მიზნის მიღწევის საშუალებას, თუმცა დამნაშავეს ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შედეგს ვერ მიაღწია. 80-იანი წლების კოდექსი ასევე ითვალისწინებდა დანაშაულის იმ სახეს, რომელიც გულისხმობდა ქალის იძულებას სქესობრივი კავშირზე დაზარალებულის მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით. დანაშაულის ეს სახე გაუპატიურებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ დამნაშავე ცდილობდა, სქესობრივი კავშირი დაემყარებინა მდგომარეობის გამოყენებით, რაშიც დაზარალებულის მასზე დამოკიდებულება მიიჩნევა. ასეთ დროს იქმნებოდა თანხმობის შთაბეჭდილება, თუმცა რეალურად ეს განპირობებული

⁷¹ *მაყაშვილი მ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ.*, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი, თბილისი, 1980, 92.

⁷² იქვე. 94.

იყო დაზარალებულის მატერიალურად ან სხვაგვარად შევიწროების შიშით.⁷³ რაც შეეხება უშუალოდ იძულებას, დანაშაული დამთავრებულად ითვლებოდა სქესობრივი კავშირის იძულების მომენტიდან, რომელსაც არ მოჰყოლია სქესობრივი კავშირი. დამნაშავე პასუხს აგებდა გაუპატიურების მცდელობისთვისაც, ხოლო, დანაშაულის გაუპატიურებად კვალიფიკაციისათვის დაზარალებულისა და დამნაშავეს წინარე ურთიერთობას მნიშვნელობა არ ჰქონდა. დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენდა 16 წელს ასაკს მიღწეული პირი.

ამ მხრივ ინტერესს იწვევს საერთო სასამართლოების მიერ ბოლო წლებში დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც ნაშრომის 2.5-ე თავში დეტალურად არის განხილული. თუმცა წინამდებარე თავის მიზნებისთვის საყურადღებოა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის ერთ-ერთი განაჩენი, რომელშიც მოსამართლემ გაუპატიურება შემდეგნაირად განმარტა: „... ძალმომრეობა ქალის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ფიზიკურ ძალადობას, ესე იგი, ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერას მისი წინააღმდეგობის ფიზიკურად დაძლევათ - შებოჭვით, ცემის, სხეულის დაზიანების და სხვა საშუალებით, რასაც ... [მოძალადის] მხრიდან [მსხვერპლის] მიმართ ჰქონდა ადგილი [...]. ქალის წინააღმდეგობა უნდა იყოს ნამდვილი და შეუპოვარი და არა მოჩვენებითი, თვალთმაქცური [...]“⁷⁴. ამ შემთხვევაში მოსამართლემ გაუპატიურების დეფინიცია დააფუძნა 1980 წლის სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს 1960 წლის საბჭოთა სსკ-ის კომენტარს. აშკარაა, რომ სასამართლო ისეთ ქმედებას აფასებს გაუპატიურებად, რომლის დროსაც ადგილი აქვს ქალის მიერ *შეუპოვარ, არამოჩვენებით და არათვალთმაქცურ ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევას* მოძალადის მიმართ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ „გაუპატიურების დელიქტის გაგება კვლავ არქაულია ქართულ სისხლის სამართალში“⁷⁵.

⁷³ იქვე. 112.

⁷⁴ გეგელია თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ., სქესობრივი დანაშაულები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, 22.

⁷⁵ იქვე.

მოგვიანებით, 80-იან წლებში კოდექსმა გაითვალისწინა სქესობრივი დანაშაულის ისეთი სახე, როგორცაა ქალის იძულება სქესობრივი კავშირზე, რომელიც დამთავრებულად ითვლებოდა სქესობრივი კავშირის იძულების მომენტიდან. ამ შემთხვევაში გაჩნდა მოჩვენებითი თანხმობის ელემენტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა დამნაშავეზე დაზარალებულის დამოკიდებულების გამო (მაგ. სამსახურებრივი დამოკიდებულება).

წინამდებარე თავის შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის ძირითადი ეტაპების ისტორიული მიმოხილვა ჩვეულებითი სამართლისა და საბჭოთა სისხლის სამართლის ჭრილში გარკვეულ წარმოდგენას ქმნის იმაზე, თუ რა მიდგომები არსებობდა საქართველოში სხვადასხვა პერიოდში სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით. თუ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით გაუპატიურებას ისეთ მძიმე დანაშაულად მიიჩნეოდა, რომელსაც მკვლელობასთანაც კი ათანაბრებდნენ, საბჭოთა სისხლის სამართალს რიგ შემთხვევებში საკმაოდ ლოიალურ დამოკიდებულებას ავლენდა დამნაშავისა და ზოგადად სქესობრივი დანაშაულის მიმართ. თუმცა, საერთო რაც აღნიშნული სისხლისსამართლებრივი მიდგომების გაანალიზებისას იკვეთება ისაა, რომ ქალის სექსუალური ავტონომია და თავისუფლება, სათანადოდ არასდროს ყოფილა აღქმული და დაცული, რაც ცხადია შესაბამის გავლენას ახდენდა დანაშაულის კვალიფიკაციაზე. მართალია 1980-იან წლების სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობაში შეინიშნება მცირე სახის პროგრესული ცვლილებები, თუმცა სქესობრივი დანაშაულის დროს კანონი ქალისგან მოითხოვდა ისეთ რეაგირებას და წინააღმდეგობას, რომელიც უნდა ყოფილიყო ნამდვილი, შეუპოვარი და არა თვალთმაქცური. საქართველოს თანამედროვე სისხლის სამართლის პრაქტიკის შესწავლა (იხ. ქვეთავი 2.5.) მიუთითებს, რომ კვლავ არსებობს მცდარი შეხედულებები სქესობრივი დანაშაულის შესახებ, როგორც მისი დეფინიციისა და კვალიფიკაციის, ასევე მსხვერპლის მიმართ.

თავი II. სქესობრივი დანაშაულის შესახებ სისხლისსამართლებრივი მიდგომები თანამედროვე საქართველოში

2.1 სქესობრივი დანაშაულის განმარტება

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო სქესობრივ დანაშაულს მიიჩნევს, როგორც ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულს დანაშაულს და რომელიც მოიცავს შემდეგ მატერიალურ ელემენტებს: (ა) „დანაშაულის ჩამდენმა განახორციელა სექსუალური ხასიათის აქტი სხვა პირის ან პირების წინააღმდეგ ან გამოიწვია ასეთი პირის ან პირების ჩაბმა სექსუალური ხასიათის აქტში ძალადობით, ძალადობის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომელიც გამოწვეულია ძალადობის შიშით, თავისუფალი ნების უკანონოდ შეზღუდვით, დაკავებით, ფსიქოლოგიური ზეწოლით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, ამ პირის ან პირების ან სხვა პირის მიმართ ან მაიძულებელი გარემო პირობებით ბოროტად სარგებლობით ან ასეთი პირის ან პირების უუნარობით, ნამდვილად გამოხატონ თავიანთი ნება - თანხმობა.“⁷⁶ ასეთი, სექსუალური ძალადობის სიმძიმე უტოლდება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ სხვა დანაშაულების სიმძიმეს.⁷⁷

2013 წელს საქართველოში ჩატარდა კვლევა, ⁷⁸ რომლის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების მესამედს სჯეროდა, რომ გაუპატიურებული ქალები ან არ იყვნენ წინდახედულები, ან გაუპატიურების მსხვერპლი მხოლოდ ის ქალები იყვნენ, რომლებსაც „ცუდი რეპუტაცია“ ჰქონდათ; გარდა ამისა, გამოკითხულთა ნახევარი მიიჩნევდა, რომ თუ ქალი მოძალადეს არ გაუწევდა ფიზიკურ

⁷⁶ Elements of Crimes, 2011, მუხლები 7(1)(g)-6, 8(2)(b)(xxii)-6, და 8(2)(e)(vi)-6, ელემენტი ერთი <<https://www.icc-cpi.int/sites/default/files/NR/rdonlyres/336923D8-A6AD-40EC-AD7B-45BF9DE73D56/0/ElementsOfCrimesEng.pdf>> , [05.03.2023].

⁷⁷ იქვე. მუხლი 7(1)(g)-6, ელემენტი ორი.

⁷⁸ Lacroix R., Georgia: Law and services on gender-based violence are ahead of social attitudes <<https://blogs.worldbank.org/europeandcentralasia/georgia-law-and-services-gender-based-violence-are-ahead-social-attitudes>>, [05.03.2023].

წინააღმდეგობას, ასეთი შემთხვევა სქესობრივ დანაშაულად არ უნდა დაკვალიფიცირებულიყო. თითქმის ათი წელი გავიდა ამ კვლევიდან, მაგრამ საზოგადოების განწყობები დღესაც არსებითად არ განსხვავდება, რაზეც ნაშრომის ავტორის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაც მიუთითებს (იხ. ქვეთავი 3.4).

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სისხლის სამართლის სისტემას კაცებზე ორიენტირებულ ბუნების გამო აკრიტიკებენ, სისხლის სამართლის პროფესიონალების მიერ გენდერული სტერეოტიპებისა და სექსისტური დამოკიდებულების კვლევა მუდმივი აუცილებლობის საგანია.⁷⁹ **„გენდერულმა დამოკიდებულებებმა და სტერეოტიპებმა, რომლებიც გაბატონებულია სისხლის სამართლის ინსტიტუტებში, დაუშვა კულტურა, რომელიც პრივილეგიებს ანიჭებს კაცებს ქალების უხილაობის ხარჯზე“.**⁸⁰ „გენდერული სიბრმავე“ (Gender blindness - იმის არ აღიარება, რომ ქალებს/გოგონებს და კაცებს/ბიჭებს გარკვეული როლები თუ პასუხისმგებლობები ენიჭებათ ან მიეწერებათ კონკრეტულ სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში⁸¹) შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც „ქალის უხილაობა“ ან „მამაკაცის პრივილეგია“. ამიტომ, დღევანდელი სამართლებრივი სისტემა კვლავ ტოვებს შესაძლებლობებს, რომ სქესობრივი დანაშაულის ჩადენის გამო დამნაშავემ თავი დააღწიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ან სასჯელს, რაზეც არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსი, არამედ სასამართლო პრაქტიკაც მიუთითებს (იხ. ქვეთავი 2.5). უდიდესი პრობლემა გაუპატიურების დეფინიციაა, რომელიც თანხმობის არარსებობის მოდელს არ ეფუძნება. ამდენად, ნაშრომის ბოლოს (იხ. მე-5 თავი) უფრო ფართოდ არის განხილული ის თეორიები, რომლებიც სქესობრივი დანაშაულთან მიმართებით თანხმობის კონცეფციას შეეხება და რომელსაც უნდა

⁷⁹ Walklate S., Fitz-Gibbon K., McCulloch J., Maher J., Emerald Studies In Criminology, Feminism And Social Change, Emerald Publishing Limited, UK, 2020, 10.

⁸⁰ Walklate S., Fitz-Gibbon K., McCulloch J., Maher J., Emerald Studies In Criminology, Feminism And Social Change, Emerald Publishing Limited, UK, 2020, 10.

⁸¹ პაუელი ა.გ., ჭითანავა მ., წიქვაძე ნ., გაფრინდაშვილი ნ., კეშელავა დ., ლობჯანიძე მ., გენდერული ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, თბილისი, 2021, 6.

ემყარებოდეს სისხლის სამართალი, როდესაც საუბარია სქესობრივი დანაშაულების დეფინიციაზე.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (შემდგომში - სსკ) დადგენილ განსაზღვრებას, მართალია ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა არაერთხელ შეიცვალა და საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაინც რჩება ძირეული პრობლემები, რაც შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზეც ახდენს გავლენას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სექსუალურ დანაშაულებს XXII თავი მოიცავს - „დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ“.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2020 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცალკე კანონი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“⁸², რომლის მიზანია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან აცილების, მასთან ბრძოლის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა. ამ კანონის საფუძველზე სასამართლოს აქვს უფლებამოსილება პირს ჩამოართვას ერთი ან რამდენიმე უფლება, გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, არასრულწლოვანთან ერთად ცხოვრების უფლება, სოციალურ მუშაკად მუშაობის უფლება და სხვ. სასამართლოს შეუძლია, დამნაშავის პიროვნებისა და დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით, ჩამოართვას მას ის უფლება, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს. კანონი, მისი აღსრულების მიზნით, ითვალისწინებს სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულ და უფლებაჩამორთმეულ პირთა რეესტრის შექმნას.

⁸² სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4792146?publication=2>>, 23.03.2020.

არაერთი მცდელობის მიუხედავად, კანონმდებლობა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს, ინდივიდის სექსუალური ავტონომია, რომელიც ადამიანის უფლებათა ღირებულების ბირთვია, ქართული სისხლის სამართლით სათანადო ხარისხით არ არის დაცული. სქესობრივი დანაშაულების, განსაკუთრებით კი გაუპატიურების, არასწორი გაგება საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს სასამართლო პრაქტიკაზე, მათ შორის, ძალზედ მნიშვნელოვან, საწყის ეტაპზე - გამოძიებაზე. ვინაიდან სქესობრივი დანაშაულის თაობაზე შეტყობინების მაჩვენებელი დაბალია, გამომდინარე აქედან სქესობრივი დანაშაულის შესახებ სტატისტიკური მონაცემები რეალობისგან ძალიან შორის დგას⁸³, არა მხოლოდ საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი დანაშაული ტაბუდადებული თემად მიიჩნევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სქესობრივი დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეები სასამართლოებში უფრო და უფრო მატულობს⁸⁴ (ასევე იხ. ქვეთავი 2.5), რაც შესაძლოა სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებს დავუკავშიროთ; რაც მიუთითებს იმაზე, რომ საკანონმდებლო ცვლილებებს თავისთავად შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ზეგავლენა სქესობრივი დანაშაულის შესახებ სამართალდამცავი ორგანოების შეტყობინების მაჩვენებელზე.

2.2 გაუპატიურება (სსკ-ის 137-ე მუხლი)

სქესობრივ დანაშაულთა შორის, გაუპატიურება მიჩნეულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საშიში დანაშაული, ვინაიდან ის მიმართულია სექსუალური ავტონომიის წინააღმდეგ და მსხვერპლისთვის იწვევს მძიმე შედეგებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის⁸⁵ მოქმედი რედაქციის, 137-ე მუხლი ოთხ ნაწილს

⁸³ Understanding sexual violence in Georgia, Equilty Now, <https://www.equalitynow.org/sexual_violence_in_georgia> [05.03.2023].

⁸⁴ სისხლის სამართლის საქმეები, ნაწილი 3, საქართველოს უზენაესი სასამართლო <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019-weli-wigni-sisxli.pdf>>, 62.

⁸⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=247>>, [13.08.1999]

მოიცავს. პირველი ნაწილის თანახმად გაუპატიურება, ესე იგი პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან რვა წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. მეორე ნაწილი ითვალისწინებს ისეთ დამამძიმებელ გარემოებას, როგორცაა გაუპატიურების ჩადენა (ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან (ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი. ხოლო, სსკ-ის 137-ე მუხლის მესამე ნაწილით სასჯელის სახედ განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ათიდან ცამეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ, იმ შემთხვევაში თუ გაუპატიურება ჩადენილია: (ა) არაერთგზის; (ბ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-ე–141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული; (გ) ჯგუფურად; (დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ; (ე) დამნაშავის მზრუნველობის, მეურვეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის ან ოჯახის წევრის მიმართ. ამავე მუხლის მეოთხე ნაწილით პირი დაისჯება გაუპატიურების ჩადენისთვის თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ იმ შემთხვევაში, თუ: (ა) დანაშაული ჩაიდინა დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით; (ბ) გაუპატიურებამ გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა; (გ) გაუპატიურება ჩადენილი იქნა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ; ან (დ) იგივე დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვანის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაუპატიურების მსხვერპლი შეიძლება იყოს, როგორც ქალი, ისე კაცი. ამრიგად, დანაშაულის (გაუპატიურება) ობიექტური მხარე გამოიხატება ისეთ ქმედებებში, როგორცაა სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, გაუპატიურება შეიძლება ჩადენილი იქნას პირდაპირი (არსებობს

მოსაზრება⁸⁶, რომ გაუპატიურების ჩადენა შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვით მსხვერპლის უმწეობასთან მიმართებით. საწინააღმდეგო მოსაზრების თანახმად, „უმწეობის მდგომარეობის გამოყენება“ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავეს წინასწარ აქვს გაცნობიერებული მსხვერპლის უმწეო მდგომარეობა, რაც გამორიცხავს არაპირდაპირ განზრახვას⁸⁷.

2017 წლამდე, ვიდრე გაუპატიურების დეფინიცია ასეთი ფორმულირების იქნებოდა, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, გაუპატიურებად მიიჩნეოდა სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, რომელიც ანალოგიურ სასჯელს ითვალისწინებდა - თავისუფლების აღკვეთას ვადით ექვსიდან რვა წლამდე.

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან ჰარმონიზებას უკავშირებენ, რომლის რატიფიცირება 2017 წლის 5 აპრილს მოხდა; ვინაიდან კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების შემოღება ქალთა ძალადობისგან დაცვის მიზნით.⁸⁸

სქესობრივი დანაშაულის ერთ-ერთი სახის - გაუპატიურების დღეს არსებული დეფინიცია 2017 წლის მაისის ცვლილებებით განისაზღვრა. რომლითაც ახლებურად ჩამოყალიბდა გაუპატიურების შემადგენლობა. სქესობრივი კავშირის ნაცვლად განისაზღვრა პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით; მიუხედავად ამისა, ძალადობის და ძალადობის მუქარის ელემენტი კვლავ ძალაში დარჩა, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება. ამავდროულად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი

⁸⁶ *ჯიშკარიანი ბ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 2016, 166.

⁸⁷ *ცეტიშვილი თ.*, რამდენიმე შენიშვნა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ერთ ქართულენოვან გამოცემაზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი, #2, 2018, 387.

⁸⁸ *გაბარაევი ი.*, გაუპატიურება, როგორც ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მიხედვით, #6, 2017, 62.

ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით ბევრად უფრო ფართო ცნება და მრავლისმომცველია, ვიდრე სექსობრივი კავშირი, რომელსაც იქამდე არსებული რედაქციით იყო განსაზღვრული.

სამართლის განვითარების ადრეულ ეტაპზე, დამნაშავე პასუხს ძირითადად დამთავრებული დანაშაულისთვის აგებდა, “განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი სამართლისათვის უცხო იყო დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება და ის ქმედება, რომელიც არ იწვევდა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, ისჯებოდა როგორც დამთავრებული დანაშაული.”⁸⁹

გაუპატიურება „შედეგიან დელიქტად მიჩნევა ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაში გამოთქმული ერთი მოსაზრებით, ხოლო სხვა მოსაზრებით, ის შედეგგარეშე დელიქტია“⁹⁰. გაუპატიურების დასრულებისთვის აუცილებელია სხვის სხეულში შეღწევა, რაც სექსუალური ავტონომიის ხელყოფას იწვევს. ხოლო, „იმ შემთხვევაში, თუკი მოძალადე მხოლოდ ძალადობის აქტს მოასწრებს, მაგრამ სხვათა წასწრების გამო იძულებული იქნება, სექსობრივი კავშირის დაწყებამდე გაჩერდეს, ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნება გაუპატიურების მცდელობა (უფრო ადრეულ სტადიაზე - მომზადება)“⁹¹.

დაზარალებულის სხეულის ნებისმიერ ნაწილში შეღწევაში სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად იგულისხმება საგნის ან სხეულის ნაწილის გამოყენება (ვაგინალური, ორალური ან ანალური გზით). ნებისმიერი სახის შეღწევა საკმარისია, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს გაუპატიურებად.⁹² ხოლო „სექსუალური ხასიათის შეღწევის დასადასტურებლად არ არის საჭირო, სავარაუდო

⁸⁹ *ცეტიშვილი თ.*, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2014, 13.

⁹⁰ *გეგელია თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ.*, სექსობრივი დანაშაულები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, 13.

⁹¹ იქვე.

⁹² *ედგერტონი კ., დეკანოსიძე თ., ხატიაშვილი გ., ბარბაქაძე ნ., ბიჭიკაშვილი ლ.*, სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო (გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის), ევროპის საბჭო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია Equality Now, 2021, 8.

დამნაშავემ განიცადოს ეაკულაცია, მოხდეს ფიზიკური დაზიანების მიყენება, ან დარჩეს სპერმის კვალი დაზარალებულის სხეულზე/სხეულში ან მის ტანსაცმელზე“.⁹³ ამრიგად, პენეტრაცია დასაწყისშივე დასრულებულ აქტად მიიჩნევა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ერთ-ერთ განაჩენში აღნიშნა, რომ „გაუპატიურება დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა დამნაშავე სხვადასხვა ხერხის გამოყენებით დაიწყებს სქესობრივი კავშირის დამყარებას დაზარალებულთან. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, მიიყვანს თუ არა ბოლომდე სქესობრივ აქტს. ამდენად, გაუპატიურება სამართლებრივი თვალსაზრისით, დამთავრებულია სქესობრივი აქტის დაწყებიდან, ვინაიდან ამ დროიდან უკვე ხელყოფილია ადამიანის სქესობრივი თავისუფლება“.⁹⁴

ამდენად, გაუპატიურების, როგორც დანაშაულის შემდგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით შემდეგია: (ა) პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით და (ბ) ქმედება უნდა განხორციელდეს ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. ხოლო გაუპატიურებად არ მიიჩნევა ქმედება, რომელიც ჩადენილია ისე, რომ ადგილი არ აქვს ძალადობას, ძალადობის მუქარას ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებას. ასე რომ, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის საფუძველზე, ქმედება, დანაშაულად რომ დაკვალიფიცირდეს საკვანძო მნიშვნელობა აქვს ძალადობის ელემენტს, რომლის არარსებობის შემთხვევაში ქმედება გაუპატიურებად ვერ დაკვალიფიცირდება. ზოგადად გაუპატიურების დანაშაულის არსი სქესობრივ კავშირზე მსხვერპლის თანხმობის არარსებობაში გამოიხატება (იხ. ქვეთავი 4.2), სწორედ ამაზე უნდა იყოს დაფუძნებული ამ დანაშაულის შემადგენლობა და არა ძალადობის ელემენტზე. გაუპატიურების დროს მსხვერპლმა მრავალი მიზეზის გამო, შესაძლოა, მოძალადეს საერთოდ ვერ გაუწიოს წინააღმდეგობა მრავალ მიზეზთა, მათ შორის, შიშის გამო („გაყინული შიში“ ეს არის ერთ-ერთი სინდრომი, რომელიც

⁹³ იქვე.

⁹⁴ გეგელია თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ., სქესობრივი დანაშაულები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, (სქოლიო 69), 28.

სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლისთვის არის დამახასიათებელი. იხ. ქვეთავი 4.2.2.).

აღნიშნულთან დაკავშირებით გაეროს ბავშვთა ორგანიზაცია მიუთითებს, რომ „საქართველოს კანონმდებლობა გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის შესახებ, არ შეესაბამება გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის, სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტების მოთხოვნებს.“⁹⁵ ამავე კვლევაში მითითებულია, რომ „არასრულწლოვანის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა, თუ იგი ჩადენილია ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, დამოუკიდებლად უნდა იძლეოდეს გაუპატიურების შემადგენლობას და მისი წინაპირობა არ უნდა იყოს ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეობა“⁹⁶.

ძალადობის დასადასტურებლად აუცილებლობას არ უნდა წარმოადგენდეს ფიზიკური დაზიანებების არსებობა სხეულზე და, მით უმეტეს, არ უნდა ავალდებულებდეს საგამომიებო ორგანო თუ სასამართლო მსხვერპლს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას და “ფიზიკური დაზიანებების არარსებობა არ ნიშნავს, რომ გაუპატიურება არ არის ჩადენილი.“⁹⁷ ძალადობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ძალადობრივი აქტით, ის შეიძლება იყოს ეკონომიკური, ხოლო ძალადობის მუქარა შესაძლოა გამოიხატოს ფსიქოლოგიური ხასიათის ძალადობაში; გამომდინარე აქედან, თუ ძალადობის მუქარის ცნება განისაზღვრება მხოლოდ სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფის მუქარით „ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებით ბარიერს მხოლოდ ზოგიერთი შემთხვევა გადალახავს და მუქარის ცნების პრაქტიკაში

⁹⁵ დეკანოსიძე თ., ცირამუა მ., ღვინჯილია ლ., ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულზე მართლმსაჯულების განხორციელების კვლევა და მონიტორინგი, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, თბილისი, 2021, 10.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ ედგერტონი კ., დეკანოსიძე თ., ხატიაშვილი გ., ბარბაქაძე ნ., ბიჭიკაშვილი ლ., სექსუალური ძალადობის გამომიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო (გამომიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის), ევროპის საბჭო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია Equality Now, 2021, 10.

გამოყენება ძლიერ შეიზღუდება“. ⁹⁸ არსებობს ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც „დაზარალებულს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მუქარა, თუ ის მოძალადეს უარს ეტყვის, მაშინვე აღსრულდება. ძალადობის სამომავლო მუქარა (თუნდაც მუქარა რეალური და საფუძვლიანი იყოს) არ მოგვცემს გაუპატიურების შემადგენლობას“. ⁹⁹ თუმცა სადისერტაციო ნაშრომის ავტორი იზიარებს იმ მიდგომას, რომ ძალადობის მუქარა ვიწროდ არ უნდა განიმარტოს, რადგან მუქარის ცნების განმარტების დროს პრაქტიკაში შესაძლოა წარმოიქმნას ისეთი ბარიერები, რამაც შესაძლოა სექსუალური ავტონომიის დაცვის თვალსაზრისით უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს.

გაუპატიურების და ზოგადად სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციისას უდიდესი მნიშვნელობა თანხმობის საკითხს უნდა ენიჭებოდეს, თუმცა ქართული სისხლის სამართალი არაფერს ამბობს თანხმობის მნიშვნელობაზე; ამავდროულად, სასამართლო პრაქტიკის განვითარება არ შეესაბამება თანამედროვე განმარტებებსა და საჭიროებებს პირის სქესობრივი დანაშაულისგან დაცვის კუთხით. „ადამიანის უფლებების სქესობრივ კავშირზე თანხმობის არარსებობა გაუპატიურების ის ობიექტური ნიშანია, რომელზეც სამწუხაროდ, ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ძალიან ცოტას თუ საუბრობენ, მაშინ როცა დასავლეთის ქვეყნებში ის ცხარე დისკუსიების საგანია.“ ¹⁰⁰ მიუხედავად იმისა, რომ გაუპატიურების საქმეების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს ქართული სისხლის სამართლის კოდექსის პრობლემურობას, ეს საკითხი სათანადო აქტიურობით არ განიხილება და დღეისათვის ამაზე მხოლოდ ექსპერტების და აკადემიური სფეროს წარმომადგენლების ვიწრო ჯგუფი საუბრობს.

⁹⁸ იქვე.

⁹⁹ გაბარაევი ი. გაუპატიურება, როგორც ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მიხედვით, #6, 2017, 70.

¹⁰⁰ გეგელია თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ., სქესობრივი დანაშაულები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, 29.

2.3 სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება (სსკ-ის 138-ე მუხლი)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი ადგენს, რომ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რომელიც არ შეიცავს ამავე კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - გაუპატიურების ნიშნებს ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლში, ამ შემთხვევაშიც ცვლილებები შევიდა 2017 წლის მაისში. მთლიანად შეიცვალა ნორმის სახელწოდება, რომელიც იქამდე სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებას ითვალისწინებდა. ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სექსუალური ხასიათის ქმედებაში და შესაბამისი ხერხის გამოყენებაში.¹⁰¹ „გაუპატიურება უფრო მეტია, ვიდრე სექსუალური ხასიათის ქმედება“.¹⁰² დანაშაული დამთავრებულად მიიჩნევა დაწყებისთანავე, როდესაც დამნაშავე დაიწყებს სექსუალურ ქმედებას. ხოლო სუბიექტური მხრივ დანაშაულის მოტივსა და მიზანს არ აქვს მნიშვნელობა ქმედების კვალიფიკაციისას.¹⁰³

სსკ-ის 138-ე მუხლი ითვალისწინებდა დანაშაულს - სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედება, რომელიც დისკრიმინაციული ხასიათის იყო, რადგან, მაგალითად, კაცის მიერ კაცის გაუპატიურება გაუპატიურებად არ მიიჩნეოდა და დანაშაული იყო ისეთი სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, როგორცაა „მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკულმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“.

¹⁰¹ თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, 251.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ იქვე.

დღეისათვის, სსკ-ის 138-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობაა სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ისეთი ქმედება, რომელიც არ შეიცავს გაუპატიურების ნიშნებს. ნორმის შინაარსში ხაზგასმულია, რომ ის არ შეიცავს გაუპატიურების ნიშნებს, აქცენტს აკეთებს მის არაშეღწევად ხასიათზე და ამით განასხვავებს გაუპატიურებისგან.¹⁰⁴

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 138-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის ამოღება ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებამ გამოიწვია, ვინაიდან 2014 წლის მაისში მიღებული იქნა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რითაც კონკრეტულად განისაზღვრა დისკრიმინაციის ცნება და სახეები.

ამდენად, სსკ-ის 138-ე მუხლით დაკვალიფიცირდება ისეთი ქმედება, რომელიც გამოხატულია სექსუალური შინაარსის ისეთ ფიზიკურ კონტაქტში, რა დროსაც ადგილი არ აქვს სხეულში შეღწევას და ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

თუმცა სსკ-ის 138-ე მუხლით არ არის განმარტებული თუ რა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაული სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებად. ცხადია კანონი ვერ განსაზღვრავს ამომწურავ ჩამონათვალს, მაგრამ მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი სსკ-ის 138-ე მუხლის დანაშაულის სხვა შემადგენლობასთან აღრევის რისკი, რაზეც სასამართლოს მიერ კანონის განმარტება და არაერთგვაროვანი პრაქტიკაც მოწმობს.¹⁰⁵

¹⁰⁴ გეგელია თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ., სქესობრივი დანაშაულები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, 57.

¹⁰⁵ პატარაია ბ., ბახტაძე უ., არეშიძე ე., გაგიევი მ., ხატიაშვილი გ., ცირევიძე ი., სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარები, საფარი, თბილისი, 2020, 99.

2.4 პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება (სსკ-ის 139-ე მუხლი)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი ითვალისწინებს დანაშაულს, რომელიც პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულებას გულისხმობს. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, ჩადენილი ქონებრივი დაზიანების, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს ამ პირის უფლება, ან/და დაზარალებულის უმწეობის ან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, ისჯება ჯარიმით ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად უთითებს დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ან სხვა მძიმე შედეგს, რომლის არსებობის შემთხვევაში დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. ხოლო მესამე ნაწილი სასჯელად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცხრა წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ იმ შემთხვევაში, თუ პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება ჩადენილია: (ა) არაერთგზის; (ბ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 137-ე, 138-ე, 140-ე და 141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული; (გ) ჯგუფურად; (დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ; ან (ე) დამნაშავის მზრუნველობის, მეურვეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის ან ოჯახის წევრის მიმართ. სსკ-ის 138-ე მუხლის, ბოლო, მე-4 ნაწილი კი თუ ქმედებამ გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან ქმედება ჩადენილია წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ, დანაშაულის ჩამდენი

პირი დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2017 წლის ცვლილებების შემდეგ 139-ე მუხლს დაემატა იძულების ხერხები და დამამძიმებელი გარემოებები. „სახეზეა შედეგგარეშე (ფორმალური) შემადგენლობა, რომელიც დასრულებულია იძულების მომენტიდან“. იმას თუ რამდენად დაამთავრებს დამნაშავე ქმედებას, კვალიფიკაციისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა არ აქვს. ობიექტური მხრივ გამოიხატება, როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში და ცნობების გახმაურების მუქარა შეიძლება ჩადენილი იყოს მოქმედებით, ხოლო, მაგალითად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, შეიძლება ჩადენილი იყოს მოქმედებითაც, და უმოქმედობითაც. დაზარალებულის უმწეობის გამოყენებას რაც შეეხება, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს სსკ-ის 137-ე მუხლისგან გამიჯვნას, ვინაიდან ¹⁰⁶ სუბიექტური მხრივ აღნიშნული დანაშაულის მოტივი და მიზანი უმეტესად სექსუალური ხასიათისაა, თუმცა გამორიცხული არ არის სხვა პირადი მოტივების არსებობა, როგორცაა შურისძიება და სხვ. ¹⁰⁷

სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლის თანახმად გაუპატიურებად მიიჩნევა (ა) სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით; (ბ) ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება; (გ) სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები. „შესაბამისად, იძულებითი თანხმობის პირობებში განხორციელებული სექსუალური შეღწევის ან სხვაგვარი სექსუალური მოქმედების აქტი წარმოადგენს გაუპატიურებას ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას და ასეთ შემთხვევაში, დამნაშავის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც გაუპატიურება ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობით

¹⁰⁶ თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, 255.

¹⁰⁷ თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, 257.

– საქართველოს სსკ-ის 137-ე ან 138-ე მუხლით და არა – საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლით.¹⁰⁸ თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ქმედება, ნაცვლად იმისა, რომ დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 137-ე მუხლით, კვალიფიკაცია განისაზღვრა სსკ-ის 139-ე მუხლით, თუმცა კი „სახელგამტები ინფორმაციის გავრცელების შიშით, დაზარალებულმა რამდენჯერმე დაამყარა სქესობრივი კავშირი დამნაშავესთან, დამნაშავეს ქმედება მხოლოდ სექსუალური შეღწევის იძულებად შეფასდა.“ შესაბამისად, გარდა იმისა, რომ ამ ნორმაში არ არის ასახული გაუპატიურების დეფინიცია, რომელიც სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლით არის დადგენილი, ამავე დროს პრობლემებია პრაქტიკაში კვალიფიკაციის თვალსაზრისით. როგორც ირკვევა, არის შემთხვევები, როდესაც ქმედება კვალიფიცირდება სსკ-ის 139-ე მუხლით, ნაცვლად ამავე კოდექსის 137-ე მუხლისა. შესაბამისად, ბრალის წარდგენის ეტაპზე აუცილებელია სწორად განისაზღვროს დანაშაულის კვალიფიკაცია, რადგან შესაძლებელი არ არის წარდგენილი ბრალდების დამძიმება საქმის სასამართლო განხილვისას.¹⁰⁹

2.5 საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა სსკ-ის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე

სადისერტაციო ნაშრომის წინამდებარე ნაწილში განხილულია საერთო სასამართლოების გამოცდილება, ვინაიდან მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, თუ როგორ განიმარტება სქესობრივი დანაშაულების მარეგულირებელ ნორმები პრაქტიკაში და რა სახის პრობლემები იკვეთება სასამართლოს განაჩენების ანალიზის შედეგად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ-ის) მე-10 მუხლის თანახმად, სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და

¹⁰⁸ *პატარაია ბ., ბახტაძე უ., არეშიძე ე., გაგივეი მ., ხატიაშვილი გ., ცირეკიძე ი.*, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარები, საფარი, თბილისი, 2020, 113.

¹⁰⁹ იქვე.

ზეპირად. სხდომის დახურვა დასაშვებია მხოლოდ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამავე, საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, მიმართოს ბრალდების მხარეს სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით. სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს როგორც მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით. საპროცესო კოდექსის ამავე მუხლის, „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვის ერთ-ერთი საფუძველია სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვა.

ნაშრომის ავტორმა მიმართა საქართველოს საერთოს სასამართლოებს, კერძოდ 26 სასამართლოს, იმისათვის, რომ მოეპოვებინა 2015 წლის 1-ელი იანვრიდან 2020 წლის 1-ელ ივნისამდე გამოტანილი განაჩენების ასლები, სადაც ფიგურირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლები. სასამართლოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის (იხ. დანართი #1) მიხედვით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში სასამართლოებს ან საერთოდ არ აქვთ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეების განხილვის გამოცდილება მითითებულ პერიოდში, ან დახურულ სასამართლო სხდომაზე იქნა განხილული საქმე და შესაბამისად ნაშრომის ავტორს უარი ეთქვა განაჩენის ასლის მიწოდებაზე. გარდა ამისა, შესწავლილი იქნა სასამართლოების ოფიციალური ვებგვერდები, რომლებზეც განთავსებულია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განაჩენები. მომდევნო ქვეთავებში (2.5.1, 2.5.2, 2.5.3, 2.5.4) თემატურად არის განხილული იმ განაჩენების უმეტესობა, რომლებიც შესწავლილი იქნა სადისერტაციო თემის ავტორის მიერ. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლისას იკვეთება, რომ არათუ სისხლის სამართლის კოდექსი, არამედ განაჩენებზე ხშირად არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულს სამართალს.

საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების განხილვამდე, მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემების გადახედვა, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით მომზადდა და მოიცავს 2015-2020 წლებს (საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2021-2022 წლის მონაცემები გამოქვეყნებული არ აქვს).¹¹⁰ არსებული მონაცემების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ 2015 წლის შემდგომ გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა, დანაშაულის ისეთ სახეზე, როგორცაა გაუპატიურება, მკვეთრად გაიზარდა, ვინაიდან თუ 2015 წელს მსჯავრდებული იყო 11 პირი, 2020 წელს მსჯავრდებულების რაოდენობამ მიაღწია 24-ს.

რაც შეეხება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებს, რომლებიც ასევე მოიცავს სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებას და სექსუალური ხასიათის შელწევას თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში, ამ მხრივ განაჩენებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა შემცირებულია. თუ 2015 წელს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებზე მსჯავრდებულების რაოდენობა იყო 109, 2020 წელს, ამავე დანაშაულების საერთო რაოდენობა შეადგენს 73-ს.

წელი	გაუპატიურება	სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული
2015	განაჩენი 12 მსჯავრდებული 11 თავისუფლების აღკვეთა - 100%	განაჩენი 111 მსჯავრდებული 109 თავისუფლების აღკვეთა - 22, 9%
2016	განაჩენი 20 მსჯავრდებული 13 თავისუფლების აღკვეთა - 100%	განაჩენი 226 მსჯავრდებული 227 თავისუფლების აღკვეთა - 22, 9%
2017	განაჩენი 7 მსჯავრდებული 5 თავისუფლების აღკვეთა - 100%	განაჩენი 137 მსჯავრდებული 138 თავისუფლების აღკვეთა - 13%

¹¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლო <<https://old.supremecourt.ge/statistics/>> [05.03.2023].

2018	განაჩენი 16 მსჯავრდებული 8 თავისუფლების აღკვეთა - 100%	განაჩენი 100 მსჯავრდებული 102 თავისუფლების აღკვეთა - 26,5%
2019	განაჩენი 33 მსჯავრდებული 24 თავისუფლების აღკვეთა - 95,8%	განაჩენი 108 მსჯავრდებული 106 თავისუფლების აღკვეთა - 34,9%

2020 წელს სტატისტიკური მონაცემების დამუშავების პრაქტიკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით შეიცვალა, რომელსაც მეტი კომპონენტები დაემატა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის სახეების დეტალურად მითითების თვალსაზრისით.

წელი	გაუპატიურება	სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება	სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში	სხვა დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ
2020	განაჩენი 27 მსჯავრდებული 24 გამართლდა 4 თავისუფლების აღკვეთა - 24 პირი	განაჩენი 6 მსჯავრდებული 5 გამართლდა 1 თავისუფლების აღკვეთა - 5 პირი	განაჩენი 41 მსჯავრდებული 41 გამართლდა 0 თავისუფლების აღკვეთა - 5 პირი	განაჩენი 28 მსჯავრდებული 27 გამართლდა 1 თავისუფლების აღკვეთა - 26 პირი

2.5.1 საპროცესო შეთანხმება სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე

სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ არცთუ ისე იშვიათია საპროცესო შეთანხმების გაფორმება ისეთი საქმეებზე, სადაც ფიგურირებს სსკ-ის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლები. შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს იმ პრობლემას, რომელიც სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების საპროცესო შეთანხმებით დასრულებას შეეხება. საერთო სასამართლოები, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, ხშირად აპელირებენ სახელმწიფო რესურსის ეფექტიანად გამოყენების აუცილებლობაზე და საქმის წარმოების ხარჯების დაზოგვაზე. ზოგადად საპროცესო შეთანხმება აჩქარებს, ამარტივებს და აიაფებს მართლმსაჯულების განხორციელებას, თუმცა ის გარკვეულწილად კონვეიერულ მართლმსაჯულებას ემსგავსება.¹¹¹ 2020 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილია ერთ-ერთი განაჩენი (სქესობრივ დანაშაულთან დაკავშირებით), სადაც საპროცესო შეთანხმების დამტკიცების არგუმენტად *სახელმწიფო რესურსის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების და საქმის წარმოების ხარჯების დაზოგვის საჭიროებაზე მიუთითებს*.¹¹² *ამავე განაჩენში სასამართლომ აღნიშნა, რომ „ბრალდება დასაბუთებულია (წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებანი პირის ბრალის დასადასტურებლად), ბრალის აღიარება ნებაყოფლობითია, მოთხოვნილი სასჯელი, კი - კანონიერი და სამართლიანი“*.¹¹³ მოსამართლემ მიიჩნია, რომ არსებობს პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილების კანონიერი საფუძვლები და შესაბამისად, დაამტკიცა პროკურორისა და ბრალდებულს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვა: *როდესაც საქმე ეხება სქესობრივ დანაშაულს, რომელიც მძიმე კვალს ტოვებს მსხვერპლზე და იწვევს გამოუსწორებელ ზიანს, უნდა გამოიყენოს თუ არა სასამართლომ საპროცესო შეთანხმება სქესობრივი დანაშაულის შემთხვევაში, ისეთი ფორმითა და არგუმენტებით, რომელიც დაზარალებულის ინტერესებს უგულებელყოფს?*

¹¹¹ რატანი ც., საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნ. მართლმსაჯულება, #1, 2007.

¹¹² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/1623-20, 11.04.2020, 2. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].

¹¹³ იქვე.

2019 წლის 2 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლემ გამოიტანა განაჩენი¹¹⁴ სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, კერძოდ, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რომელიც არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობდა შემდეგში: 2019 წლის 21 ივლისს, ქ. თბილისში გამართული ელექტრონული მუსიკალური ფესტივალზე იმყოფებოდა დაზარალებული, რომელმაც დაახლოებით, 05:50 საათზე გადაწყვიტა სახლში წასვლა, მან ქუჩაში გააჩერა ტაქსი. მძღოლმა მას შესთავაზა სახლში წაყვანა, თუმცა ისე, რომ არ გამოართმევდა თანხას, რაზეც დაზარალებული დათანხმდა. საბოლოოდ მძღოლმა იგი, ნაცვლად დანიშნულების ადგილისა, წაიყვანა სხვა ქუჩაზე და დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ ჩაიდინა სსკ-ის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. ბრალდებულმა დანაშაული აღიარა და 2019 წლის 27 აგვისტოს მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა. აღნიშნულ საქმეზე სასამართლო მიუთითებს, რომ პროკურორის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან „ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვის უფლებაზე“.¹¹⁵ სასამართლოს განაჩენში ასევე აღნიშნულია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები, როგორცაა ბრალდებულისა და მოწმეების გამოკითხვის, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, საგამომიებო ექსპერიმენტის ჩატარების, ვიდეოჩანაწერები, მისი გახსნისა და დათვალიერების, დაზარალებულის მიერ ამოცნობის, ბრალდებულის დაკავების ოქმები სრულად ადასტურებს მ.-ს მიმართ წარდგენილ ბრალდებას. მსჯავრდებულს

¹¹⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/3986-19, 02.09.2019. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].

¹¹⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/3986-19, 02.09.2019. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].

მირითად სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის და 6 თვის ვადით, საიდანაც სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთა 6 თვით განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი, 4 წელი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად, იმავე, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

2020 წლის 11 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლემ გამოიტანა განაჩენი ¹¹⁶ საქმის არსებითი განხილვის გარეშე და დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება ბრალდებულთან, რომელმაც ჩაიდინა სსკ-ის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. 2020 წლის 11 აპრილს ამავე საქმეზე აღკვეთის ღონისძიების განხილვის ეტაპზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა პროკურორმა მასა და ბრალდებულს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისა და საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე. პროკურორი ითხოვდა, რომ ბრალდებული ცნობილი ყოფილიყო დამნაშავედ სსკ-ის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს სსსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვის ვადით, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, იმავე 3 წლის გამოსაცდელი ვადით. სასამართლოს განაჩენში ვკითხულობთ, რომ „საპროცესო შეთანხმების დადებისას მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ ბრალდებულმა თავი მთლიანად

¹¹⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/1623-20, 11.04.2020. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით].

ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, ასევე გათვალისწინებულ იქნა საჯარო ინტერესი - მაქსიმალური ეფექტიანობით იქნეს გამოყენებული სახელმწიფო რესურსი და დაიზოგოს საქმის წარმოების ხარჯები“¹¹⁷. „ბრალდება დასაბუთებულია (წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებანი პირის ბრალის დასადასტურებლად), ბრალის აღიარება ნებაყოფლობითია, მოთხოვნილი სასჯელი, კი - კანონიერი და სამართლიანი“¹¹⁸, *მოსამართლემ დაამტკიცა პროკურორსა და ბრალდებულს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, ხოლო მსჯავრდებულს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვის ვადით, საიდანაც 6 თვე პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდით, ხოლო 3 წელი ჩაითვალოს პირობითად, იმავე, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.*

2019 წლის 5 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიამ გამოიტანა განაჩენი,¹¹⁹ საქართველოს სსკ-ის სხვა მუხლებთან¹²⁰ ერთად, 139-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობდა შემდეგში: 2018 წლის 27 აგვისტოს, სადამოს საათებში, ბრალდებულმა ზ.-მ დაზარალებული ფიზიკური ძალის გამოყენებით და სიცოცხლის მოსპობის მუქარით მიიყვანა ქ. თბილისში მდებარე თავის საცხოვრებელ სახლში, სადაც მას შემოახია ტანსაცმელი, გააშიშვლა და სიცოცხლის მოსპობის მუქართა და პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოების გავრცელების მუქარით აიძულა მასთან დაემყარებინა სქესობრივი კავშირი. რის შემდეგაც ბრალდებული დაემუქრა დაზარალებულს, რომ „თუ ვინმეს ეტყოდა მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ მოკლავდა და გაუვრცელებდა პირადი ცხოვრების ამსახველ

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/288-19, 05.06.2019. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].

¹²⁰ სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილი (ორი ეპიზოდი), 151-ე მუხლის პირველი ნაწილი, 150-ე მუხლის პირველი ნაწილი, 157¹-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ფოტოებს“¹²¹, რომელმაც უკანონოდ მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოები მოგვიანებით მართლაც გამოიყენა, რომლებიც დაზარალებულის შვილს გაუგზავნა. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის მიზნით პროკურორმა იშუამდგომლა, რომ ზ.ი ცნობილი იქნეს დამნაშავედ, მათ შორის სსკ-ის 139-ე მუხლის საფუძველზე, რათა 2018 წლის 27 აგვისტოს ეპიზოდზე ძირითად სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით. განაჩენში მოსამართლის მიერ მოხმობილია ევროპული სასამართლოს საქმეები - „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“,¹²² ასევე, Slavcho Kostov v. Bulgaria¹²³ და Rucinski v. Poland,¹²⁴ სასჯელის შეფარდების დასაბუთების მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლო აღნიშნულ განაჩენში მიუთითებს, რომ „ევროპული სისხლის სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელია, ბრალდებულმა მიიღოს მსუბუქი სასჯელი და სასჯელისაგან გათავისუფლდეს დანაშაულის აღიარების ან გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო და რომ ამ პროცესში არაფერია შეუსაბამო კონვენციის მოთხოვნებთან.“¹²⁵ ამასთან, მითითებულია იმ პირობების აუცილებლობაზე, რომლებიც საჭიროა საპროცესო შეთანხმების დადებისთვის. შესაბამისად პროკურორსა და ბრალდებულს შორის დადებული იქნა საპროცესო შეთანხმება. ზ.ი. ცნობილი იქნა დამნაშავედ, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების საფუძველზე, მათ შორის სსკ-ის 139-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განისაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით

¹²¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/288-19, 05.06.2019. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].

¹²² Natsvlishvili and Togonidze v. Georgia, [ECHR].

¹²³ Slavcho Kostov v. Bulgaria, [ECHR].

¹²⁴ Rucinski v. Poland, [ECHR].

¹²⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/288-19, 05.06.2019. 6 [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].

სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე - 3 წლიანი თავისუფლების აღკვეთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 3 წელი ჩათვალა პირობითად, იმავე 3 წლის გამოსაცდელი ვადით. დამატებითი სასჯელის სახით ასევე განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 საათის ვადით.

2014 წლის 12 სექტემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება¹²⁶ და პირი ცნო დამნაშავედ სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. ამავდროულად აღნიშნული პირი დამნაშავედ ცნეს სსკ-ის 273-ე მუხლით. ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობდა იმაში, რომ 2014 წლის 20 იანვარს, საღამოს საათებში ავტომანქანით დაზარალებული მიიყვანა „მუშტაიდის ბაღის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც ავტომანქანაში მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და ძალადობით დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი, რის შემდეგაც მიიძალა შემთხვევის ადგილიდან. სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 5 წელი - გამოსაცდელ ვადად.

ზემოაღნიშნული საქმეების შესწავლიდან ჩანს, რომ *სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების მხრივ სასამართლო პრაქტიკა პრობლემურია*. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოების მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას სტანდარტული მითითება საჯარო ინტერესზე, რაშიც სახელმწიფო რესურსის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება და საქმის წარმოების ხარჯების დაზოგვა იგულისხმება, *დაზარალებულის ინტერესების მხედველობაში არმიღებაზე მიაწინებს. განსაკუთრებით ისეთ დროს, როდესაც საპროცესო შეთანხმების შედეგად დადგენილი სასჯელის სახე და ზომა არ შეესაბამება დანაშაულის სიმძიმეს*. ამის მაგალითია ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც პირმა ჩაიდინა სსკ-ის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. მას თავისუფლების აღკვეთა 6 თვით განესაზღვრა პენიტენციურ

¹²⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, საქმე #1/....14, 12.09.2014, [გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაში მითითებული არ არის საქმის ზუსტი ნომერი]

დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი, 3 წელი ჩაეთვალა პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით. გარდა ამისა, ვხვდებით ისეთ შემთხვევას, როდესაც მსუბუქი სასჯელის დასაბუთების მიზნით სასამართლო იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, თუმცა ამავე დროს მხედველობაში არ იღებს სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით ამავე სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. რაც მიუთითებს იმაზე, რომ **სათანადოდ არ არის გააზრებული სქესობრივი დანაშაულის სიმძიმე და თუ რა კვალს ტოვებს ის მსხვერპლზე**. აღნიშნულ პრობლემაზე მიუთითებს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის, გაუპატიურების შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმების გაფორმებაც, როდესაც სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრა მხოლოდ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად. გამომდინარე აქედან, საპროცესო შეთანხმება, ნაშრომის ავტორის მოსაზრებით, იქცა შესაძლებლობად, რომ დამნაშავემ სათანადოდ არ აგოს პასუხი მის მიერ სსკ-ის 137-ე, 138-ე ან 139-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო.

2.5.2 სასჯელი სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე

სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ხოლო სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ამდენად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხედველობაში იღებს დანაშაულის სიმძიმეს და დამნაშავის პიროვნებას. უდიდესი მნიშვნელობა აქვს პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, ვინაიდან მის გარეშე ვერ განხორციელდება

ბრალდებულის პიროვნული თავისებურებების გათვალისწინება.¹²⁷ სასჯელის ინდივიდუალიზაცია ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: (1) *სასჯელი, როგორც უშუალო სარგებელი მსხვერპლისთვის, ანუ რესტიტუცია*; (2) *განაჩენი, როგორც სიმბოლური მესიჯი მსხვერპლისთვის*; (3) *პროცედურული და მტკიცებულებითი ასპექტები*.¹²⁸ „სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სამართლიანი სასჯელის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის სწორად შერჩევის პრინციპს, რაც სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.“¹²⁹ იმისათვის, რომ სამართლიანობის აღდგენის მიზანი განხორციელდეს დამნაშავესათვის სასჯელის შეფარდების შედეგად, მისი გამოყენება უნდა იქნას დეტერმინირებული, რაც შეუძლებელია სასამართლო პრაქტიკის ანალიზის გარეშე. სასამართლოს საქმიანობის შესწავლა გვადლევს საშუალებას აღმოვაჩინოთ არსებული ნორმატიული მასალისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ძლიერი და ჩრდილოვანი მხარეები.¹³⁰

2016 წლის 18 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლემ გამოიტანა განაჩენი¹³¹ საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. პირს ბრალად ედებოდა სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით ძალადობითა და ძალადობის მუქარით, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ. საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობდა შემდეგში: 2016 წლის 25 იანვარს, საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე პერიოდში, ქ თბილისში, ე.წ. „ბორჯომის სადგურის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ვ.-მა დანის გამოყენებით განხორციელებული ძალადობის მუქარით და ძალადობით, კერძოდ, სხეულის სხვადასხვა ადგილზე ფეხისა და ხელის

¹²⁷ ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 100.

¹²⁸ Erez E., Sebba L., From Individualization of the Offender to Individualization of the Victim: An Assessment of Wolfgang's Conceptualization of a Victim-Oriented Criminal Justice System, The Criminology of Criminal Law, Advances in Criminological Theory, V8, Routledge, New York, 2017, 182.

¹²⁹ ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, #4(43), თბილისი, 2014, 22.

¹³⁰ იქვე, 22.

¹³¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, საქმე # 1/1733-16, 18.05.2016, [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით].

დარტყმით არასრულწლოვან ნ.-სთან დაამყარა სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუდმართებული ფორმით. სასამართლოს განაჩენში აღნიშნულია, რომ დაზარალებულს მიადგა მორალური და ფიზიკური სახის ზიანი. სასამართლო საქმის განხილვის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ სახეზეა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა ვ.-ის დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის. სასამართლომ მხედველობაში მიიღო სასჯელის განსაზღვრისას ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა.¹³² საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვ.-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, 7 წელი და 6 თვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი და 6 თვე საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალია პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

2019 წლის 26 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლემ გამოიტანა განაჩენი,¹³³ სადაც საქართველოს სსკ-ის სხვა მუხლებთან ერთად, აღნიშნულია საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლის პირველი ნაწილი (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის იძულება, სახელის გამტეხი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს ამ პირის უფლება). სასამართლომ დაადგინა, რომ 2018 წლის 10-დან 15 აგვისტომდე პერიოდში, ქ. თბილისში, ბრალდებული შეხვდა დაზარალებულს და მოსთხოვა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ მის ყოფილ ქმარს გააგებინებდა მისი მეგობარი მამაკაცის შესახებ - სახელს გაუტეხდა და შეარცხვენდა, რაც არსებითად დააზიანებდა დაზარალებულის უფლებას.¹³⁴ ამავე დროს, 2017 წლის აპრილიდან 2019 წლის 17

¹³² იქვე. 2

¹³³ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/2829-19, 26.12.2019, [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით].

¹³⁴ იქვე. 2.

მაისის ჩათვლით ბრალდებული სისტემატურად უთვალთვალედა დაზარალებულს და არასასურველ კომუნიკაციას ამყარებდა მასთან. გარდა ამისა, ამავე საქმეში არის დაზარალებულის არასრულწლოვანის შვილზე ფიზიკური ძალადობის ორი ეპიზოდიც. სასამართლომ აღნიშნა, რომ „კანონმდებლობის მიერ კრიმინალიზებულია სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ასეთი ცნობის გახმაურების მუქარით. დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია პირის სქესობრივი თავისუფლება ან ხელშეუხებლობა, ადამიანის პატივი და ღირსება. დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა და დამთავრებულია იძულების რომელიმე ხერხის გამოყენების მომენტიდან, ანუ მნიშვნელობა არ აქვს დამნაშავემ მიაღწია თუ არა დაზარალებულთან სექსუალური კონტაქტის დამყარებას“.¹³⁵ მოსამართლემ დამნაშავედ ცნო ბრალდებული სსკ-ის 139-ე მუხლის პირველი ნაწილით (ასევე სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით), და სასჯელად განუსაზღვრა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით. სასჯელის გამოყენება მოსამართლემ შემდეგნაირად დაასაბუთა: *მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა მძიმე კატეგორიის დანაშაულები, ბრალდებულმა აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, საქმეში არ მოიპოვება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი რაიმე გარემოება, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, დანაშაულის მოტივის, ხერხის მხედველობაში მიღებით და მომავალში ქმედების თავიდან არიდებისთვის სასამართლომ სასჯელის სახედ ჯარიმის გამოყენება რელევანტურად მიიჩნია.*

2018 წლის 27 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიამ გამოიტანა განაჩენი¹³⁶ სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 157¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. გ.-ს ბრალი ედებოდა მასში, რომ მან ჩაიდინა პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის იძულება, ამასთანავე პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა. ბრალდებულმა დაზარალებული

¹³⁵ იქვე. 6.

¹³⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/5632-18, 27.12.2018, [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით].

სოციალური ქსელის მეშვეობით გაიცნო, რის შემდეგაც მან გ.-ს თხოვნის შემდეგ ინტიმური ფოტოები გადაიღო და გადაუგზავნა. ამის შემდეგ ბრალდებულმა მოსთხოვა შეხვედრა და სქესობრივი კავშირის დამყარება, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. ბრალდებული დაემუქრა დაზარალებულს, რომ გაუვრცელებდა მის ფოტოებს და ვიდეოს, თუ მასთან სქესობრივ კავშირს არ დაამყარებდა. დაზარალებული შეხვედრას დათანხმდა. 2018 წლის 1 დეკემბერს გ.ი. შეხვდა დაზარალებულს და განუმარტა, რომ სქესობრივი კავშირის დამყარების შემდეგ წაშლიდა ინტიმური ხასიათის ფოტო-ვიდეო მასალას, რაზეც დაზარალებული დათანხმდა. სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, სადაც მითითებულია, რომ „სასამართლომ ასევე გამოიკვლია, რომ პროკურორმა საპროცესო შეთანხმების დადებამდე გაიარა კონსულტაცია და შეატყობინა მას საპროცესო შეთანხმების დადება“.¹³⁷ ბრალდებული ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 139-ე მუხლის პირველი ნაწილის (2 წლით თავისუფლების აღკვეთა) და 157¹-ე მუხლის პირველი ნაწილის (5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა) საფუძველზე. შთანთქმის პრინციპით საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩათვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი. *გ.-ის პატიმრობაში ყოფნის ვადა (01.12.2018-27.12.2018) ჩათვალა სასჯელის მოხდაში და სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.*

ამრიგად, გარდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, სათანადო სასჯელის შეფარდების პრობლემა თავს იჩენს საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილ განაჩენებშიც. მოსამართლემ დამნაშავედ ცნო ბრალდებული სსკ-ის 139-ე მუხლის პირველი ნაწილით (ასევე სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით)ს და სასჯელად განუსაზღვრა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით. სასამართლომ მიუთითა, რომ მძიმე დანაშაულის მიუხედავად, მან მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულის აღიარება და მონანიება, გამომდინარე აქედან, სასჯელის სახედ ჯარიმის გამოყენება საკმარისად იქნა მიჩნეული. ზოგიერთი თეორეტიკოსი (მაგ. ფონ ჰირში, 1985)

¹³⁷ იქვე. 4.

გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ სასჯელის ზომა უნდა ასახავდეს შესაბამის განაჩენს დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით ტიპურ შემთხვევაში.¹³⁸ შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში განაჩენის შინაარსი არ ასახავს სასჯელის ზომას და ფორმას, რომელიც სასამართლომ განსაზღვრა. მსგავსი მაგალითია კიდევ ერთი საქმე, როდესაც პირი, რომელსაც ბრალად ედებოდა სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის იძულება, ამასთანავე პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა, სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა (იმის გამო, რომ გამოყენებული იქნა შთანთქმის პრინციპი, ხოლო 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩათვალა პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით).

2.5.3 დანაშაულის კვალიფიკაცია

დანაშაულის არასწორმა კვალიფიკაციამ შესაძლოა დაარღვიოს კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპი, რომელიც სასჯელის მიზნებთან ერთად, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ დანაშაულს სწორი კვალიფიკაცია აქვს მიცემული.¹³⁹ შესაბამისად ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ საერთო სასამართლოების პრაქტიკას სქესობრივ დანაშაულებზე კვალიფიკაციის თვალსაზრისით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2015 წლის 18 ივნისს გამოიტანა განაჩენი საქმეზე¹⁴⁰, სადაც წარდგენილი ბრალდება დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით

¹³⁸ *Erez E., Sebba L., From Individualization of the Offender to Individualization of the Victim: An Assessment of Wolfgang's Conceptualization of a Victim-Oriented Criminal Justice System, The Criminology of Criminal Law, Advances in Criminological Theory, V8, Routledge, New York, 2017, 176.*

¹³⁹ *მამულაშვილი გ.,* სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2011, 20.

¹⁴⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, საქმე # 1/7336-14, 18.06.2015. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].

არასრულწლოვანის მიმართ) და ამავე კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ხელის შეშლისა და მის საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით, ჯგუფის მიერ). ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, 2013 წლის 28 ივნისს, საღამოს საათებში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა შ.-მ არასრულწლოვანი ლ. მოტყუებით მიიყვანა ქ. თბილისში, თავისი ძმის მშენებარე ბინაში, სადაც ძალადობის გამოყენებით, მასთან დაამყარა სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით. განაჩენში მოსამართლე აღნიშნავს, რომ სასამართლოზე გამოკვლეული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება შ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების ნაწილი, რაშიც იგულისხმება დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით. მოსამართლე განაჩენში მიუთითებს: *არ დასტურდება ის ფაქტი, რომ შ.-მ იცოდა დაზარალებულის არასრულწლოვნობის შესახებ. დაზარალებულმა კი განმარტა, რომ ბრალდებული მის იუბილეზე იმყოფებოდა და სხვა პირდაპირი მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ შ.-მ იცოდა ლ.-ს ასაკის შესახებ, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, არ დასტურდება.*¹⁴¹

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ წარდგენილი ბრალდება გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის პირველ ნაწილზე. განაჩენში მითითებულია, რომ თითოეული მტკიცებულება შეფასდა სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო საქმეზე გამოკვლეული ყველა მტკიცებულება, ერთობლიობით, საკმარისად მიიჩნია პირის დამნაშავედ ცნობისთვის. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უტყუარად დადასტურდა, რომ შ.-მ ჩაიდინა სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით. სასამართლომ განმარტა, რომ სასჯელის კონკრეტული სახის და ზომის განსაზღვრისას, რესოციალიზაციისათვის,

¹⁴¹ იქვე.13.

სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ასევე, ზოგადი და კერძო პრევენციის მიზნებისათვის შ.-ს უნდა დაენიშნოს სასჯელი სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით, და სსკ-ის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით (2013 წლის 27 ნოემბრამდე მოქმედი რედაქცია) და „სასჯელი უნდა იყოს ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სანქციის მინიმალურ ზღვართან მიახლოებული, ვინაიდან შ.-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია.“ 138-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მსჯავრდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2017 წლის 4 ოქტომბერს (საქმის ნომერი არ ფიქსირდება განაჩენის ასლზე) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიამ გამოიტანა განაჩენი სსკ-ის 139-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე (2 დამოუკიდებელი ეპიზოდი). კვალიფიკაცია მდგომარეობდა შემდეგში - სქესობრივი კავშირის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის იძულება სახელგამტეხი ცნობის გახმაურების გამოყენებით, ჩადენილი არასრულწლოვანის მიმართ. ბრალდებული დაზარალებულს ჯერ გაეცნო ინტერნეტის მეშვეობით, ხოლო დაახლოებით 3 კვირის შემდგომ სთხოვა შიშველი გამოსახულებით ფოტოების გაგზავნა, რომელმაც რამდენიმე დღიანი თხოვნების შემდეგ ფოტოები გაუგზავნა, პირადად. მოგვიანებით ბრალდებულმა მოითხოვა შეხვედრა, დაზარალებულის მხრიდან უარის მიღების შემდგომ კი დაიწყო მისი დაშანტაჟება და მუქარა, რომ მის ფოტოებს გაუვრცელებდა სოციალურ ქსელში; დაზარალებული შეხვდა გ.-ის, რა დროსაც ბრალდებულმა დაზარალებული შეიყვანა მრავალსართულიან მშენებარე კორპუსთან და სთხოვდა წაჰყოლოდა სახლში, წინააღმდეგ შემთხვევაში ფოტოებს გაუვრცელებდა. გაუთვალისწინებელი გარემოების გამო, ვინაიდან შენობის გვერდითა მხრიდან გაისმა ხმაური, გ.-იმ დაზარალებულს თავი დაანება. ამავე დროს, დაზარალებული თავის დაღწევის მიზნით შეჰპირდა, რომ მას კვლავ შეხვდებოდა. მოგვიანებით გ.-იმ განაგრძო სოციალური ქსელის მეშვეობით დაზარალებულის დაშანტაჟება და სთხოვდა შეხვედრას. სასამართლომ განაჩენში აღნიშნა, რომ სსკ-ის 139-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის (2017 წლის 1 ივნისიდან მოქმედი რედაქცია, რომელშიც მოგვიანებით

ცვლილებები შევიდა) სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტია. არასრულწლოვანის სქესობრივი თავისუფლება ან ხელშეუხებლობა და ნორმალური ფიზიკური და ზნეობრივი განვითარება. ამ დანაშაულის დამატებითი დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს პატივი და ღირსება, თუ ადგილი აქვს სახელის გამტეხი ცნობების გახმაურებას. ამასთან სასამართლომ მიუთითა, რომ დანაშაულის სუბიექტმა შესაძლოა სექსუალური კონტაქტის დასამყარებლად გამოიყენოს იძულების სხვადასხვა ხერხი, მათ შორის სახელგამტეხი ცნობების გახმაურების მუქარა. „მნიშვნელობა არ აქვს ეს ცნობა ნამდვილია თუ გამოგონილი, დანაშაულში იმხილება პირი თუ ამორალურ ქმედებაში. ქმედების მოცემული მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს სახელგამტეხი ცნობის გახმაურების მუქარა იმწუთიერია, თუ იგი მომავლისკენაა მიმართული“.¹⁴² ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ ჩადენილია სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება სახელგამტეხი ცნობების გახმაურების მუქარით, ჩადენილი არასრულწლოვანის მიმართ. **ბრალდებული აცხადებდა, რომ მან არ იცოდა, რომ მსხვერპლი არასრულწლოვანი იყო და ინტიმური ურთიერთობა მისი ნება-სურვილით მოხდა, რაც სასამართლომ არ გაიზიარა.** ბრალდებული ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 139-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

შესწავლილი განაჩენებიდან ირკვევა, რომ ასევე პრობლემას წარმოადგენს დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი, რაც სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე განსაკუთრებულ პროფესიონალიზმს მოითხოვს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, სადაც წარდგენილი ბრალდება დაკვალიფიცირებული იყო სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ), მოსამართლემ მიუთითა, რომ არ დასტურდება ის ფაქტი, რომ შ.-მ იცოდა, რომ დაზარალებული იყო არასრულწლოვანი. თუმცა განაჩენი ბუნდოვანია იმ

¹⁴² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმის ნომერი უცნობია, 04.10.2017, 10 [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].

ნაწილში, თუ რატომ მივიდა მოსამართლე ამ დასკვნამდე. თუმცა არსებობს ისეთი მაგალითები, როდესაც სასამართლო არ იზიარებს ბრალდებულის პოზიციას, რომ თითქოს მან არ იცოდა რომ მსხვერპლის არასრულწლოვანების შესახებ. შესაბამისად, განაჩენებიდან არ იკვეთება რა გარემოებებზე დაყრდნობით იქნა შეცვლილი კვალიფიკაცია მოსამართლის მიერ.

2.5.4 გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთება

2019 წლის 18 თებერვალს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ¹⁴³ სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობდა იმაში, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში, ი. - ი ქ.-მ თავის მფლობელობაში არსებულ ავტომანქანაში ძალადობისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარით მოსთხოვა ს. -ო ს. -ს მოჰფერებოდა მას, რაზედაც ამ უკანასკნელმა უპასუხა უარი. ამის შემდგომ ბრალდებული გახდა აგრესიული, დაარტყა ხელი მუცლის არეში და ძალადობის გამოყენებით, მისი ნების საწინააღმდეგოდ დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. აღნიშნულ საქმეზე ჩატარდა საგამომიებო ექსპერიმენტი, რომლის დროსაც დაზარალებული აღშფოთებული და აკანკალებული, როდესაც შემთხვევის ადგილამდე მივიდნენ კინალამ წაიქცა. სასამართლო განმარტავს,¹⁴⁴ რომ გაუპატიურების ერთ-ერთი ხერხია ძალადობით სქესობრივი კავშირის დამყარება, რაც შეიძლება განხორციელდეს ცემით, ხელის შებორკვით, პირის ახვევით, ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანებით. ძალადობის მუქარა შეიძლება განხორციელდეს სიტყვით; იგი გამოიხატება სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანების ან სხვა მუქარით. ის, თუ რამდენად აპირებდა პირი მუქარის განხორციელებას, ეს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანი არ

¹⁴³ ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე #1/658-17, 18.02.2019. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].

¹⁴⁴ იქვე. 12.

არის. მთავარია ის იმდენად რეალური ჩანდეს რომ მოახდინოს დაზარალებულის ნების პარალიზება.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე მოსამართლე დაზარალებულის ჩვენების სარწმუნოობას ვრცელ მსჯელობას უთმობს, დეტალურად განიხილავს მას, როგორც მოწმეთა ჩვენებებთან და სხვა მტკიცებულებებთან შესაბამისობაში, ასევე, **განიხილავს დაზარალებულის სტრესულ მდგომარეობას, „ეს ძალადობის მსხვერპლისთვის დამახასიათებელი ნიშნებია“**¹⁴⁵ - აღნიშნავს სასამართლო. „მართალია, ის [ფსიქოლოგის მიერ გამოხატული პოზიცია], მარტო აღებული რაიმე ფაქტს კატეგორიულად ვერ ადასტურებს, თუმცა, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში ქმნის საერთო სურათს დაზარალებულის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ.“

¹⁴⁶ სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეზე შემთხვევის ადგილზე განვითარებულ მოვლენებს ასახავს მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება, ექსპერტიზის დასკვნა და ექსპერტის ჩვენება; სხვა მოწმეები უშუალოდ ქმედებას არ შესწრებიან და მათ ინფორმაცია დაზარალებულისგან მიიღეს. სხვა დანარჩენი პირები კი, ირიბი მოწმეები არიან. თუმცა, მიიჩნია პირდაპირ მოწმეებად იმ ნაწილში, რომ ისინი შეესწრნენ დაზარალებულის ემოციურ მდგომარეობას. ამდენად, სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა დაზარალებულის ჩვენებას და იმას, თუ რამდენად იყო ის თანხვედრაში სხვა მტკიცებულებებთან. განაჩენში მოხმობილია ევროპის საბჭოს კონვენციის „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ 36-ე მუხლი; ასევე, დასაბუთებისას მოსამართლე იყენებს საქმეს S.N. შვედეთის წინააღმდეგ, სადაც ყურადღებაა გამახვილებული სქესობრივი დანაშაულების განხილვის თავისებურებებზე. სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 22 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ განსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

¹⁴⁵ იქვე. 13.

¹⁴⁶ იქვე. 14.

შესწავლილი საქმეებიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ საერთო სასამართლოების პრაქტიკა სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით პრობლემურია განაჩენის დასაბუთების, სასჯელის შეფარდებისა თუ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თვალსაზრისით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი გამონაკლისია დასაბუთების თვალსაზრისით, სადაც მხედველობაშია მიღებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. შესაბამისად, ეს განაჩენი დადასტურებაა იმისა, რომ სასამართლოს შესწევს უნარი, გააძლიეროს დაცულობის განცდა საზოგადოებაში, თუ ის მართლმსაჯულების განხორციელებისას დაეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში დამკვიდრებულმა ზედაპირულმა და სტანდარტულმა მიდგომებმა შესაძლოა მოსპობს სამართლიანობის განცდა სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლში.

თავი III. სქესობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიური ანალიზი

3.1 ზოგადი მიმოხილვა

„Criminologie“ ლათინური სიტყვაა, რომელიც წარმოიქმნა სიტყვიდან “crimen” (დანაშაული) და ნიშნავს მოძღვრებას დანაშაულზე, მეცნიერულად შეისწავლის დამნაშავეებსა და დანაშაულს, როგორც სოციალურ ფენომენს. ეს ტერმინი პირველად 1879 წელს გამოიყენა ფრანგმა ანთროპოლოგმა ტოპინარდიმ.¹⁴⁷ კრიმინოლოგია განისაზღვრება, როგორც მეცნიერება ან დისციპლინა, რომელიც შეისწავლის დანაშაულს და კრიმინალურ ქცევას.¹⁴⁸ კრიმინოლოგია იკვლევს დანაშაულის მიზეზებსა და კონტროლს, შესაბამისად, ის შეეხება კანონდარღვევის არაერთ ფორმას.¹⁴⁹ კრიმინოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან.¹⁵⁰ შესაძლოა კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართალს შორის გარკვეული გადაფარვაა, მაგრამ კრიმინოლოგია უფრო მეტ ინტერესს იჩენს დანაშაულის კაუზალური განმარტების მიმართ; შესაბამისად, სინამდვილეში, ეს ორი ურთიერთდაკავშირებული დარგი ერთმანეთს ავსებს.¹⁵¹ ზაურ წულაია სწორად მიიჩნევს იმ მოსაზრებას, რომ კრიმინოლოგია დამოუკიდებელი კომპლექსური მეცნიერებაა, რომელშიც შედის, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის ცალკეული ელემენტები.¹⁵²

¹⁴⁷ შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2017, 1.

¹⁴⁸ Hagan F., Introduction to Criminology Theories, Methods, and Criminal Behavior, Mercyhurst College, SAGE Publications, Inc., 2017, 31.

¹⁴⁹ Gibbons D., Forcible Rape and Sexual Violence, Journal of research in Crime and Delinquency, Volume 21, Issue 3, 1984, 251.

¹⁵⁰ Mitchell M., 21st century criminology: a reference handbook, SAGE Publications, Inc. 2455 Teller Road Thousand Oaks, California 91320, 2009, 11.

¹⁵¹ Hagan F., Introduction to Criminology Theories, Methods, and Criminal Behavior, Mercyhurst College, SAGE Publications, Inc., 2017, 31.

¹⁵² წულაია ზ., კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), გამომცემლობა „ინტელექტი“, 2003, 17.

თანამედროვე კრიმინოლოგია ასევე სულ უფრო მეტად ინტერდისციპლინურია, რომელსაც დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე, შედეგებსა და პასუხებზე იდეოლოგიური ორიენტაციის ფართო სპექტრი და პერსპექტივები ახასიათებს.¹⁵³ გამომდინარე აქედან, კრიმინოლოგია ფოკუსირებულია დამნაშავის ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ ქცევებსა და მოტივებზე, ხოლო სისხლის სამართლის სისტემა პასუხისმგებელია დანაშაულის იდენტიფიცირებაზე და პროცესზე, რომლებიც დაკავშირებულია დამნაშავის დაკავებასთან, დევნასთან და დასჯასთან.

ზოგადად კრიმინოლოგიის განვითარება დასავლურ სამყაროში, ძირითადად რამდენიმე საფეხურად შეიძლება დაიყოს, რომელთაგან *პირველი ეტაპი არის აზროვნების ანუ კლასიკური სკოლა*. შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით საფრანგეთსა და ინგლისში, არსებობდა კორუმპირებული სამართლებრივი სისტემები, როდესაც მოსამართლეებს ჰქონდათ თითქმის სრული ძალაუფლება, ამავდროულად დაწესებული იყო მკაცრი სასჯელები, როგორც საფრანგეთში, ასევე, ინგლისში. მაგალითად, სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო ისეთი დანაშაულისთვისაც კი, როგორცაა ქურდობა. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში იდგა სისხლისსამართლებრივი რეფორმის საჭიროება.¹⁵⁴ კლასიკური სკოლის პერსპექტივაში კანონი არსებობს, როგორც საზოგადოების, ისე ინდივიდის უფლებების დასაცავად და მისი მთავარი მიზანია კრიმინალური ქცევის აღკვეთა, გარდა ამისა, ხაზს უსვამს მორალურ პასუხისმგებლობას და მოქალაქეების მოვალეობას. კლასიკური სკოლის აზრით, სისხლის სამართლის სისტემამ პატივი უნდა სცეს ყველა ადამიანის უფლებას.¹⁵⁵ „კლასიკური სკოლის“ მიმდევრებისათვის დამახასიათებელი იყო ადამიანის რაციონალურ, ინტელექტუალურ და საკუთარ საქციელზე პასუხისმგებელ არსებად მიჩნევა. მეცნიერების აზრით, ადამიანი მაშინ

¹⁵³ *Mitchell M.*, 21st century criminology: a reference handbook, SAGE Publications, Inc. 2455 Teller Road Thousand Oaks, California 91320, 2009, 11.

¹⁵⁴ *Slabbert M.*, The Development of Criminology: From Traditional to Contemporary Views on Crime And Crime Causation, *Kronos*, JSTOR vol. 12, 1987, 3. <<http://www.jstor.org/stable/41056237>. Accessed 1 Feb. 2023> [10.03.2023].

¹⁵⁵ *Triplett R.A.*, The Handbook of the History and Philosophy of Criminology, John Wiley & Sons, Inc., NJ USA, 2018, 290.

ჩადიოდა დანაშაულს, როდესაც დანაშაულებრივი ქმედებიდან მიღებულ პოტენციურ სარგებელს უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეეძლო მისთვის, ვიდრე, დანაშაულის გახსნის შემთხვევაში, მას სასჯელის სახით შეიძლება დაჰკისრებოდა“.¹⁵⁶ იტალიელი კრიმინოლოგი და ეკონომისტი ჩეზარე ბეკარია (1738-1794) მიიჩნევდა, რომ სისხლის სამართლის დამნაშავეებს საზოგადოების „ვალი“ აქვთ, და ამიტომ სასჯელი დანაშაულის სიმძიმის მკაცრად პროპორციული უნდა ყოფილიყო.¹⁵⁷ ბეკარიას თეორია კრიმინალური ქცევის შესახებ, დაფუძნებულია თავისუფალ ნებასა და ჰედონიზმის იდეებზე, რაც გულისხმობს ადამიანის ქცევის არსებითად მიზნობრიობას სიამოვნება-ტკივილის პრინციპებიდან გამომდინარე.¹⁵⁸ ის მიიჩნევდა, რომ თითოეულ ადამიანშია სამართალდარღვევისკენ მიდრეკილება, ხოლო დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრისას გასათვალისწინებელი იყო არა კანონდამრღვევის განზრახვა, არამედ ის ზიანი, რომელიც საზოგადოებას მიადგა.¹⁵⁹ ჩეზარე ბეკარია სისხლის სამართლის რაციონალიზაციის მომხრე იყო და აკრიტიკებდა შუა საუკუნეების კრიმინალიზაციის დესპოტურ, სასტიკ, საიდუმლო და დისკრეციულ პროცესებს. ის მხარს უჭერდა საჯარო, მიზეზზე დაფუძნებულ, თანმიმდევრულ, უნივერსალურ, არადისკრეციულ და მკაფიო სისხლის სამართლის კანონების სისტემას, რომელიც დაფუძნებული არ იყო შურისძიებაზე, და ემყარებოდა საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და მიზეზის პრინციპებს. მისი ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური ანალიზის თანახმად, სისხლის სამართლისა და სასჯელის რაციონალურ-მინიმალისტური სახე მხოლოდ ჰუმანური, სამართლიანი და თავისუფალი სოციალური კონტრაქტის მიზნით უნდა იქნას გამოყენებული.¹⁶⁰ ჯერემი ბენტამის ნაშრომებში, რომელიც ბეკარიას მთავარი მიმდევარი იყო, იკვეთება ის მოსაზრება, რომ დანაშაულებრივი ქმედება შესაძლოა

¹⁵⁶ შალიკაშვილი მ, კრიმინოლოგია, თბილისი, 2017, 2.

¹⁵⁷ დანაშაულის და სასჯელის თეორიები, თარგმანების კრებული სტუდენტებისთვის, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა, თბილისი, 2022, 12.

¹⁵⁸ იქვე. 13.

¹⁵⁹ იქვე. 14.

¹⁶⁰ *Triplett R.A.*, The Handbook of the History and Philosophy of Criminology, John Wiley & Sons, Inc., NJ USA, 2018, 17, 290.

არა თანდაყოლილი, არამედ დასწავლილი ქცევა იყოს.¹⁶¹ ბეკარიას მსგავსად, ჯერემი ბენტამი ასევე ამტკიცებდა, რომ ადამიანები აფასებენ, რამდენად მიზანშეწონილია მათი ქცევა, რომელიც მათ სიამოვნებას ან ტკივილს მოუტანს.¹⁶² ის, როგორც ფილოსოფოსი, უტილიტარისტებს ან ჰედონისტ უტილიტარისტებს მიეკუთვნება, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა სიამოვნების ძიებაზე.¹⁶³ ბენტამიმ საზოგადოებრივი შეთანხმების ტრადიციაში ორი მთავარი სიახლე შემოიტანა: (1) ტკივილის შიში თავისუფალი ნების შეუზღუდავი განხორციელების მთავარი კონტროლის საფუძველია; და (2) სასჯელი არის მთავარი ინსტრუმენტი შიშის წარმოსაქმნელად, რომლის მიზანსაც ნებაზე ზეგავლენის მოხდენა და ქცევის გაკონტროლება წარმოადგენს.¹⁶⁴ მისი თქმით, სასჯელი მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, თუ მისი მეშვეობით იმაზე მეტი სიკეთის დაცვა ხდება, რასაც თავად სასჯელი ხელყოფს.¹⁶⁵

კრიმინოლოგიის განვითარების მეორე ეტაპს *პოზიტივისტური აზროვნების სკოლას* უკავშირებენ, რომლის ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო. ამ მიდგომის მომხრეები ეჭვქვეშ აყენებდნენ იმ ვარაუდს, რომ ადამიანს აქვს თავისუფალი ნება. ამის საპირისპიროდ ისინი მხარს უჭერდნენ და ავრცელებდნენ დეტერმინიზმის იდეას, ხოლო პენოლოგიის როლი მდგომარეობდა დამნაშავის მკურნალობაში, მისი დევიანტური ქცევის გამო.¹⁶⁶ ჯორჯ ბ. ვოლდის აზრით: „პოზიტივიზმის არსებითი ელემენტი დეტერმინირებული და მეცნიერული მეთოდის გამოყენებაა დანაშაულის შესასწავლად“.¹⁶⁷ პოზიტივიზმის მთავარი მახასიათებელი, ცალკეული დამნაშავის შემთხვევაში, მეცნიერული კვლევების საშუალებით

¹⁶¹ დანაშაულის და სასჯელის თეორიები, თარგმანების კრებული სტუდენტებისთვის, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა, თბილისი, 2022, 14.

¹⁶² *Triplett R.A.*, *The Handbook of the History and Philosophy of Criminology*, John Wiley & Sons, Inc., NJ USA, 2018, 290.

¹⁶³ დანაშაულის და სასჯელის თეორიები, თარგმანების კრებული სტუდენტებისთვის, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა, თბილისი, 2022, 14.

¹⁶⁴ იქვე. 12.

¹⁶⁵ *დღონტი გ.*, კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008, 370.

¹⁶⁶ *Triplett R.A.*, *The Handbook of the History and Philosophy of Criminology*, John Wiley & Sons, Inc., NJ USA, 2018, 4.

¹⁶⁷ *Vold G.*, *Theoretical Criminology*, New York: Oxford University Press, 1958, 39.

დანაშაულის, სისხლის სამართლისა და დამნაშავის შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემაა.¹⁶⁸

ემპირიული კრიმინოლოგიური კვლევის „პიონერმა“ იტალიელმა მეცნიერმა ჩეზარე ლომბროზომ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1859-1865 წლებში იტალიის განმათავისუფლებელ ომში, 1876 წელს გამოსცა ნაშრომი „დადებითი დამნაშავე“ , სადაც ავითარებდა ასეთ შეხედულებას, რომ დამნაშავის იდენტიფიკაცია მისი სხეულის გარეგანი ნიშნებით იყო შესაძლებელი, რასაც ძირითადად საფუძვლად ედო მის მიერ ციხეში ადამიანების სხეულზე და იტალიის დამოუკიდებლობის ომის დროს ჩატარებული დაკვირვება და კვლევა.¹⁶⁹ მისი თეორიის თანახმად, დამნაშავე განსაკუთრებული, სხვა ადამიანებისგან განსხვავებული არსებაა, ისეთი ანთროპოლოგიური ტიპია, რომელიც დანაშაულს ჩადის საკუთარი ფიზიკური აგებულების გარკვეული მახასიათებლებიდან გამომდინარე. ლომბროზო მიიჩნევდა, რომ არც გარემოს, არც აღზრდასა და ახლო გარემოცვას არ შესწევთ უნარი, რომ შეაკავონ ადამიანი დანაშაულის ჩადენისგან, რადგან დანაშაულის მიზეზი დევს თვითონ დამნაშავეში და არა საზოგადოებაში, მისი ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე.¹⁷⁰

ძირითადი განსხვავებები კრიმინოლოგიის კლასიკურ სკოლასა და პოზიტივიზმს შორის.¹⁷¹

	კლასიკური სკოლა	პოზიტივიზმი
შესწავლის საგანი	დანაშაული	დამნაშავე
დამნაშავის ბუნება	თავისუფალი ნების მქონე, რაციონალური	დეტერმინირებული; ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური ან სხვა გავლენით გამოწვეული პათოლოგია

¹⁶⁸ Clarence J., *Pioneers in Criminology: The Historical Development of Criminology*, Journal of Criminal Law, Criminology, and Police Science , Vol. 50, No. 1, Northwestern University Pritzker School of Law, 1959, 7.

¹⁶⁹ შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2017, 2.

¹⁷⁰ გაბუნია მ., ძირითადი კრიმინოლოგიური თეორიები და მათი მნიშვნელობა დანაშაულობის პრევენციის საქმეში, სამართალი და მსოფლიო, მე-10 გამოცემა, 2018, 10.

¹⁷¹ Newburn T., *Criminology*, third edition, Routledge, New York, 2017, 132.

დანაშაულზე რეაგირება	დასჯა, სასჯელის პროპორციულობა დანაშაულთან	მკურნალობა, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრული არ არის და გამომდინარეობს ინდივიდუალური გარემოებიდან
-----------------------------	---	---

კრიმინოლოგიის განვითარების *მესამე საფეხური* ახალი კრიმინოლოგიაა, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც *კრიტიკული ანუ რადიკალური კრიმინოლოგია*, რადგან ის პოლიტიკურ სტრუქტურებს უპირისპირდება. ამ შემთხვევაში სახელმწიფო (ინსტიტუტები) გვევლინება ისეთ სუბიექტად, რომელმაც რეაგირება უნდა მოახდინოს კანონდარღვევებზე.¹⁷² კრიმინოლოგია ამ შემთხვევაში უფრო კონცენტრირებულია კრიმინალური ქცევის ფორმებზე, დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე, კრიმინალის დეფინიციაზე და საზოგადოების რეაქციაზე დანაშაულებრივ საქმიანობაზე.¹⁷³ ახალ კრიმინოლოგიას საფუძვლად დაედო ინტერაქციონისტული მიდგომა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ინდივიდზე ფოკუსმა დამნაშავის მიმართ სხვათა რეაქციაზე გადაინაცვლა.¹⁷⁴ „დანაშაული არ არის ქცევის ხარისხი, ის არის ინტერაქცია მათ შორის, რომლებიც ასრულებენ კონკრეტულ მოქმედებას [დამნაშავე] და რომლებიც [საზოგადოება] რეაგირებენ მასზე.“¹⁷⁵

კრიმინოლოგია პრაქტიკულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს და ის არ უნდა შეჩერდეს დოქტრინული აბსტრაქციების დონეზე;¹⁷⁶ კრიმინოლოგია, გარდა თეორიული მსჯელობისა დანაშაულის ბუნებაზე, უნდა მოიცავდეს ურთიერთობას სოციალურ გარემოსთან, ასევე, კრიმინალის ანთროპოლოგიურ სტრუქტურას და ა.შ.¹⁷⁷ კრიმინოლოგია, ისევე როგორც სოციალური მეცნიერების სხვა დისციპლინები,

¹⁷² *Slabbert M.*, The Development of Criminology: From Traditional to Contemporary Views on Crime And Crime Causation, *Kronos*, JSTOR vol. 12, 1987, 4. <<http://www.jstor.org/stable/41056237>> [10.03.2023].

¹⁷³ *Hagan F.*, Introduction to Criminology Theories, Methods, and Criminal Behavior, Mercyhurst College, SAGE Publications, Inc., 2017, 31.

¹⁷⁴ *Slabbert M.*, The Development of Criminology: From Traditional to Contemporary Views on Crime And Crime Causation, *Kronos*, JSTOR vol. 12, 1987, 4. <<http://www.jstor.org/stable/41056237>> [10.03.2023].

¹⁷⁵ *Carey J.*, Introduction to Criminology, Englewood Cliffs, N.J., Prentice-Hall, 1978, 197.

¹⁷⁶ *Brasol B.*, Foundations of Criminology, *Journal of the American Institute of Criminal Law and Criminology*, Vol. 17, Issue 1, 1926, *Am. Inst. Crim. L. & Criminology*, 13 <<https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/jclc17&div=8&id=&page=>> [10.03.2023].

¹⁷⁷ იქვე.

ხშირად ხასიათდება, როგორც ფესვები „თანამედროვე“ იდეებში.¹⁷⁸ ტერმინი „თანამედროვე“ ღია ინტერპრეტაციის საგანია, თუმცა ამ კონტექსტში ის გულისხმობს სოციალური და კულტურული ცხოვრების მახასიათებლებს.¹⁷⁹

კრიმინოლოგიური თეორიების მეშვეობით დანაშაულებრივი ქცევის ახსნას სხვადასხვა პერსპექტივით ცდილობენ. მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებში ჩიკაგოს უნივერსიტეტის სოციოლოგიის განყოფილება დაფუძნდა, რომელიც დანაშაულისა და დევნიაციის სოციოლოგიური კვლევის ცენტრად იქცა. ისეთი საკვანძო ფიგურები, როგორებიც არიან შოუ და მაკკეი, იყვნენ დანაშაულის მიზეზების ახსნის თეორიული და პრაქტიკული მიდგომის პიონერები, რომლის თანახმად კულტურული ტრანსმისია კრიმინოლოგიური თეორიის კონცეფციას წარმოადგენს. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, თაობათაშორისი პროცესი აყალიბებს დანაშაულებრივი ქცევის მხარდამჭერი ნორმების, ღირებულებებისა და უნარების რეპროდუქციას.¹⁸⁰ ჩიკაგოს სკოლის სოციოლოგის, ედვინ საზერლენდის მიერ შემუშავებული იქნა კონცეფცია, რომელიც ამავდროულად მხარს უჭერდა კულტურული ტრანსმისიის კონცეფციას, შოუსა და მაკკეის ადრინდელ ნამუშევრებზე დაყრდნობით. საზერლენდის მიერ გამოიკვეთა ის ფაქტორები, რომლითაც ინდივიდების ურთიერთობა კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებთან ან გარემოსთან აყალიბებდა მათ ღირებულებებსა და ქცევას. საზერლენდი არ ეთანხმებოდა შოუს და მაკკეის, რომლებიც დამნაშავეთა სამყაროს სოციალურად დეზორგანიზებულად მიიჩნევდნენ, ვინაიდან არ გააჩნიათ თანმიმდევრული ნორმები ქცევის რეგულირების მიზნებისთვის. ამის ნაცვლად, ის მიიჩნევდა, რომ დანაშაული იყო ინდივიდის თანატოლებთან ასოციაციის შედეგი, რომელთა მეშვეობითაც ისინი სწავლობენ და განამტკიცებენ, როგორც კანონის დარღვევის ტექნიკას, ისე ღირებულებებს. საზერლენდის პერსპექტივამ კრიმინოლოგებს საშუალება მისცა შეესწავლათ ის ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებითაც შედეგად დანაშაული

¹⁷⁸ *Walklate S., Understanding Criminology Current Theoretical Debates, Crime And Justice Series, Cardiff University, 3rd , Open University Press McGraw-Hill Education, New York, NY 10121-2289, USA, 2007, 2.*

¹⁷⁹ იქვე.

¹⁸⁰ *O'Brien M., Yar M., Criminology, the Key Concepts, Routledge, New York, 2008, 51.*

კონკრეტულ ჯგუფებში სპეციფიკურ კულტურულ კონტექსტში ნორმალურ და რელევანტურ ქცევად მიიჩნევა.¹⁸¹

შოუ და მაკკეი კვლევების საფუძველზე, რომელზეც 1929 წელს დაიწყო მუშაობა, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულის მაჩვენებელი მკვეთრად იცვლებოდა ტერიტორიის მიხედვით. კერძოდ, იმ ღარიბ მოსახლეობაში, რომელიც ქალაქის ცენტრთან ახლოს ცხოვრობდა მკვეთრად ნაკლები იყო დანაშაულის შემთხვევები, ვიდრე ცენტრალური უბნიდან მოშორებით, სადაც დანაშაულის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები იყო. დანაშაული ამ ტერიტორიებზე ხასიათდებოდა გრძელვადიანი სტაბილურობით, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა.¹⁸² ამდენად შოუმ და მაკკეიმ დაადგინეს, რომ დანაშაული არ იყო კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრებლების პიროვნული მახასიათებლების შედეგი¹⁸³ და დანაშაულის მიზეზები მდგომარეობს არა ინდივიდუალურ, არამედ გარემო ფაქტორებში. კრიმინალის მიზეზები უნდა ვეძებოთ იმ თემის სტრუქტურასა და კულტურაში, სადაც დამნაშავეები ცხოვრობენ.¹⁸⁴

1930-იანი წლებში გაჩნდა მერტონის ანომიის თეორია, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა 1960-იანი წლების დასაწყისში. მისი აზრით, ნებისმიერი საზოგადოება განსაზღვრავს გარკვეულ სასურველ მიზნებს, რომლის მიღწევა ყველას არ შეუძლია, რადგან წარმატების საშუალებები ყველასთვის თანაბარი არ არის. მერტონის აზრით სასურველ მატერიალურ მიზნებსა და შეზღუდულ საშუალებებს შორის დისონანსი წარმოშობს დაძაბულობას.¹⁸⁵ მერტონმა ანომიის კონცეფცია დიურკემის 1987 წელს გამოცემულ წიგნს („სუიციდი“) დაეფუძნა, რომელიც მიიჩნევა, რომ ჯანსაღი საზოგადოებები ეფექტიან კულტურულ განსაზღვრებასა და ადამიანების

¹⁸¹ იქვე. 59.

¹⁸² *Kubrin C.E., and Wo C.J.*, Handbook of Criminological Theory, Social Disorganization Theory's Greatest Challenge: Linking Structural Characteristics to Crime in Socially Disorganized Communities, John Wiley & Sons, Inc , 2015, 122.

¹⁸³ იქვე.

¹⁸⁴ *O'Brien M., Yar M.*, Criminology, the Key Concepts, Routledge, New York, 2008, 72.

¹⁸⁵ *Newburn T.*, Criminology, third edition, Routledge, New York, 2017, 132, 188.

მისწრაფებების რეგულირებას საჭიროებენ.¹⁸⁶ სწრაფმა სოციალურმა ცვლილებებმა კონტროლის სისტემა შეარყიეს, რის შედეგადაც ანომია წარმოშვა, რომელსაც მოუსვენრობასთან, უკმაყოფილებასთან, მღელვარებასთან ერთად, სუიციდური აქტის წამქეზებელი სხვა ტიპის დევიაციებიც ახასიათებს, რის უმთავრეს წყაროდაც დიურკემმა ეკონომიკური ციკლი დაასახელა.¹⁸⁷ „მერტონი დანაშაულის პოლიტეკონომიისთვის ერთგვარი პარადიგმაა, რომელიც მატერიალისტურ კულტურასა და მორალური რეგულირების ზოგად პრობლემებს შორის ხედავს კავშირს.“¹⁸⁸

3.2 სქესობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათება

ერთ-ერთი ამერიკელი მკვლევრის აზრით, „უკანასკნელ წლებში დანაშაული შიშისა და დანაშაულის მეტაფორად იქცა.“¹⁸⁹ ძალადობრივი დანაშაული უნდა განვიხილოთ ფართოდ, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ, არამედ ასევე, სქესობრივ დანაშაულებსაც,¹⁹⁰ თუმცა სქესობრივი დანაშაული არ არის მხოლოდ ძალადობრივი, მიუხედავად იმისა რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მაგალითად, გაუპატიურებას, ძალადობრივ დანაშაულად მიიჩნევს.

სქესობრივი დანაშაული ეს არის დანაშაულის ერთ-ერთი უძველესი სახე, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მიერ აღიარებულია დანაშაულად, თუმცა კი საზოგადოების რეაქცია ამ კატეგორიის დანაშაულზე სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია მის სიმძიმეზე, სოციალური თვალსაზრისით. წარსულში

¹⁸⁶ *ერისთავი კ.*, დანაშაული და სასჯელის თეორიები, თარგმანების კრებული, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა, თბილისი, 2022, 104.

¹⁸⁷ იქვე.

¹⁸⁸ იქვე. 105.

¹⁸⁹ *Friedman, K., Bischoff, H., Davis, R., C., Persob, A*, Victims an helpers: Reactens to crime, Washington, US Department of Justice, National Institute of Justice, 1982, 1.

¹⁹⁰ *Kipane A.*, Criminological Problems of Sexual Violence, Riga Stradina University, Riga, 2015, 21.

დანაშაული უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული მორალთან, ვიდრე დღეს. ჯერ კიდევ 1975 წელს მეცნიერები მიუთითებდნენ მორალისა და სისხლის სამართლის დისტანცირების შესახებ, რომ დასავლურმა ქვეყნებმა უნდა გამიჯნონ სისხლის სამართალი და მორალი, რათა მოახდინონ ისეთი ქმედებების დეკრიმინალიზაცია, რომლებიც არ იწვევს ხელშესახებ სოციალურ ზიანს.¹⁹¹

70-იან წლების ბოლოს კრიმინოლოგიური პუბლიკაციების შესახებ მომზადებული კვლევის ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ავტორები გაუპატიურებას ჩვეულებრივ პუბლიკაციის იმ სექციაში განიხილავდნენ, რომელიც მსხვერპლის გარეშე სქესობრივი დანაშაულების კატეგორიას ეძღვნებოდა,¹⁹² რაც დღევანდელი გადასახედიდან ძალზედ უცნაურია. სექსუალური ძალადობის პატერნების გაუაზრებლობა, საბოლოო ჯამში სქესობრივი დანაშაულის მიმართ უყურადღებობას იწვევს.¹⁹³ 1984 წლის ნაშრომში ავტორი აღნიშნავს, რომ გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები მანამდე სოციოლოგებისა და კრიმინოლოგების მიერ განხილვის და განსაკუთრებული ყურადღების საგანი არ ყოფილა, თუმცა მის მიმართ ინტერესი ნელ-ნელა გაიზარდა, რაზეც შემდგომში მომზადებული თეორიული და კვლევითი პროდუქტები მეტყველებს.¹⁹⁴

სქესობრივი დანაშაული იმ კატეგორიას წარმოადგენს, რომლის ჩადენის დროს მოძალადესა და მსხვერპლს შორის არსებობს მჭიდრო ფიზიკური კონტაქტი, ასე რომ, მისი სპეციფიკური ხასიათი აქედანაც გამომდინარეობს - ეს არის მკაცრად პრივატულ პირობებში ჩადენილი დანაშაულის სახე; სწორედ ამიტომ, გამომძიებელი და სასამართლო დიდწილად დამოკიდებულია დაზარალებულის ჩვენებაზე და მის მიმართ ნდობაზე.¹⁹⁵

¹⁹¹ *Ezzat A.*, *Criminology: Past, Present and Future, A Critical Overview*, Fattah School of Criminology Simon Fraser University British Columbia, Canada, 1997, 38.

¹⁹² *Gibbons D.*, *Forcible Rape and Sexual Violence*, *Journal of research in Crime and Delinquency*, Volume 21, Issue 3, 1984, 251.

¹⁹³ იქვე.

¹⁹⁴ იქვე.

¹⁹⁵ <<https://www.scribd.com/user/31285230/Carl-Vincent-Quitoriano/uploads>> სალექციო ჩანაწერები. [10.03.2023].

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის სქესობრივ დანაშაულების გენდერულად ნეიტრალური დეფინიციის დამკვიდრების ტენდენციაა, როგორც წესი, ეს არის დანაშაული, რომელიც ჩადენილია ერთი სქესის მიერ საპირისპირო სქესის წინააღმდეგ. ერთ-ერთი მკვლევრის აზრით, სქესი თანდაყოლილი ინსტინქტია, თუმცა ის დასჯადი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ სექსუალური სიამოვნებისთვის ანტი-სოციალური საშუალებები გამოიყენება.¹⁹⁶ სხვა დანაშაულებთან თუ გავავლებთ პარალელს, ჩვეულებრივ, არცერთი ადამიანი არ იბადება ასეთი „ბუნებრივი დანაშაულებრივი ინსტინქტით“. მაგალითად, მკვლევებს, თაღლითებს ან სისხლის სამართლის კანონის სხვა დამრღვევებს თანდაყოლილი არ აქვთ ეს მახასიათებლები ან ინსტინქტები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართალია სქესობრივი დანაშაული უფრო მეტად გავრცელებულია დაბალ სოციალურ-ეკონომიკურ კლასში, არც საშუალო და მაღალი ფენის წარმომადგენლები არიან იმუნურები სქესობრივი დანაშაულთან მიმართებით.¹⁹⁷

კრიმინოლოგიის თეორიის თანახმად სქესობრივი დანაშაულის გამომწვევი მიზეზები მოიცავს ყველა იმ გარემოებას, რომლის გარეშეც ეს დანაშაული ვერ განხორციელდებოდა.¹⁹⁸ შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარემო ფაქტორებს და ინდივიდუალურ ასპექტებს.¹⁹⁹ სქესობრივი დანაშაული კომპლექსური ინტერდისციპლინური საკითხია, რომელიც ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ, სამედიცინო და სხვა სფეროებს აერთიანებს.²⁰⁰ ასევე არსებობს თეორიები, რომლებიც გარკვეულწილად განმარტავს სექსუალურ აგრესიულ ქცევას,²⁰¹ რომელიც სქესობრივი დანაშაულის გამომწვევი ფაქტორებს შემდეგნაირად ახასიათებს:

- სექსუალურად აგრესიული ქცევა წარმოადგენს ბიო-ფსიქო-სოციალურ ფენომენს.

¹⁹⁶ იქვე.

¹⁹⁷ <<https://www.scribd.com/user/31285230/Carl-Vincent-Quitoriano/uploads>> [10.03.2023] სალექციო ნოუტები.

¹⁹⁸ *Kipane A.*, Criminological Problems of Sexual Violence, Riga Stradina University, Riga, 2015, 29.

¹⁹⁹ იქვე. 30.

²⁰⁰ იქვე.

²⁰¹ იქვე.

- სქესობრივი ძალადობა კომპლექსური ფენომენია, რომელიც შეიძლება გამოწვეული იქნეს მთელი რიგი სპეციფიკური ფაქტორებით, როგორცაა ბრაზი, ძალაუფლება, სადიზმი, სექსუალური სიამოვნების მიღება, დამოკიდებულება მსხვერპლის მიმართ და სხვა.
- მნიშვნელობა აქვს ასევე მშობლებთან ურთიერთობის ბუნებას, როგორ ურთიერთობენ მშობლები ერთმანეთთან და შვილებთან, თუ რამდენად აქვთ ადამიანებს მხარდაჭერა და გაგება ოჯახის მხრიდან. გარდა ამისა, ოჯახი გარკვეულწილად არის საზოგადოებასთან ურთიერთობის მოდელი, ვინაიდან ოჯახს აქვს სოციალური ფუნქცია, მაგალითად, ინდივიდის საზოგადოებაში ადაპტაციის თვალსაზრისით.²⁰²

3.3 სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პიროვნების ზოგადი დახასიათება

„ირონიულია, რა თქმა უნდა, ის, რომ ღამით მარტო გასვლის თავიდან არიდება, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა და ა.შ. მიმართულია უცხო ადამიანების მხრიდან ძალადობრივი დანაშაულის თავიდან აცილებაზე, ხოლო ქალები ყველაზე დიდი რისკის წინაშე დგანან ნაცნობი კაცებისგან. რისკის ეს გენდერული შეფასება და მისი შედეგების აღიარება ცენტრალური იყო ფემინისტური კრიმინოლოგიის მუშაობაში და მისი სოციალური ცვლილებების პროგრამაში.“²⁰³

ტერმინი „დანაშაული“ ისეთივე ცენტრალურია კრიმინოლოგიაში, როგორც ტერმინი „საზოგადოება“ სოციოლოგიაში. კრიმინოლოგია შეიძლება თავისუფლად განიმარტოს, როგორც „დანაშაულის შესწავლა“ ან „დანაშაულის მეცნიერება“, ხოლო კრიმინოლოგიის პერსპექტივიდან მნიშვნელოვანია დანაშაულის განმარტება იმის დასადგენად, თუ ვინ არის კრიმინალი და კრიმინოლოგიის საგანი.²⁰⁴ ტერმინის -

²⁰² იქვე. 39.

²⁰³ Walklate S., Fitz-Gibbon K., McCulloch J., Maher J., Emerald Studies In Criminology, Feminism And Social Change, Emerald Publishing Limited, UK, 2020, 5.

²⁰⁴ Ezzat A., Criminology: Past, Present and Future, A Critical Overview, Fattah School of Criminology Simon Fraser University British Columbia, Canada, 1997, 30.

დანაშაული - განმარტება ძალზედ რთულია, მაგრამ ყველაზე ზუსტი და ნაკლებად ორაზროვანი განმარტება შემდეგია: დანაშაული არის ის რაც აკრძალულია სისხლის სამართლის კოდექსით.²⁰⁵ ეს მარტივი განმარტება ჰგავს იმას, რასაც ინტელექტის გასაზომად იყენებენ: „ინტელექტი არის ის, რასაც ინტელექტის ტესტები ზომავს“.²⁰⁶ გარდა ამისა, ეს განმარტება, ფაქტობრივად, განსაზღვრავს, რომ „დანაშაული არის ის, რასაც პოლიტიკურად უფლებამოსილი პირები მიიჩნევენ“.²⁰⁷ 1971 წელს მეცნიერების მიერ გამოითქვა ასეთი მოსაზრებაც, რომ დანაშაული არ არის უბრალოდ ის, რასაც კანონმდებელი გადაწყვეტს, ეს არ არის უბრალოდ ანტისოციალური ქცევა, რომლის აღკვეთაც საჯარო მოხელეებს ევალებათ.²⁰⁸ დანაშაულის მეორე პოპულარული სამართლებრივი დეფინიცია „დანაშაულს“ განსაზღვრავს, როგორც „კანონმდებლობით დასჯად ქმედებას ან უმოქმედობას“.²⁰⁹

დანაშაული, როგორც წესი, არის ისეთი ხასიათის ანტისოციალური ქმედება, რომლის რეპრესიაც აუცილებელია ან უნდა იყოს აუცილებელი საზოგადოების არსებული სისტემის შესანარჩუნებლად.²¹⁰ მაშინ როდესაც სამართლებრივი დეფინიციები კონცენტრირებულია დანაშაულის ნორმატიულ ასპექტებზე, ფსიქოლოგიური დეფინიცია ხაზს უსვამს კრიმინალური მოქმედების ქცევით ასპექტებზე და დამნაშავის სხვა მახასიათებლებზე. ერთ-ერთმა შვედმა კრიმინოლოგმა დანაშაული განმარტა, როგორც: „სოციალური შეუთანხმებლობის ფორმა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც მეტად თუ ნაკლებად გამოხატული სირთულე, ინდივიდის მიერ გარემო ფაქტორებზე რეაგირებისას...“²¹¹

1960-იანი წლების ბოლომდე გაუპატიურება განიხილებოდა, როგორც სექსუალური მოთხოვნის და სექსუალური ინტერესებით მოტივირებული დანაშაული, თუმცა, გაუპატიურება ახლა ჩვეულებრივ განიხილება, როგორც

²⁰⁵ იქვე. 29.

²⁰⁶ იქვე. 31.

²⁰⁷ იქვე. 35.

²⁰⁸ იქვე. 30.

²⁰⁹ იქვე. 31.

²¹⁰ იქვე. 36.

²¹¹ იქვე.

დანაშაული, რომელიც მოტივირებულია ძალაუფლებისა და კონტროლის საჭიროებით.²¹²

1970-იანი წლებისთვის ფემინისტმა მკვლევრებმა, როგორცაა სიუზან ბრაუნმილერი (1975), დაიწყეს სქესობრივი დანაშაულის ანალიზი კულტურული, პოლიტიკური და ისტორიული კონტექსტიდან. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სექსუალური ძალადობა სისტემური იყო პატრიარქალური საზოგადოებისთვის და გაუპატიურებას განიხილავდნენ, როგორც ქალებზე დომინირებისა და კონტროლის ინსტრუმენტს, როგორც მამაკაცის დომინირებისა და ქალის ექსპლუატაციის ღრმად ფესვგადგმული სოციალური ტრადიციების შედეგს - ემპირიული კვლევები მხარს უჭერს ამ მოსაზრებას, რომ გაუპატიურება ხშირად მოტივირებულია ძალაუფლებითა და კონტროლით.²¹³ გაუპატიურება აღიქმება, როგორც სექსუალურად მოტივირებული ქმედება, მაგრამ მას ხშირად ძალადობრივ ქმედებასთან აიდენტიფიცირებენ, რომლის დროსაც სექსუალური ურთიერთობა ძალადობის, აგრესიის და დომინაციის გამოხატულების საშუალებაა. მიუხედავად იმისა, მოძალადეები არიან სექსუალურად თუ ძალადობრივად მოტივირებული ან ორივე ერთად, ეს დანაშაული კლასიფიცირდება არა დამნაშავეს მოტივაციის, არამედ მსხვერპლთა მიერ ქმედების აღქმის მიხედვით. მაგალითად, ასახელებენ გაუპატიურების დანაშაულის სამ ტიპს: (ა) ბრაზის გაუპატიურება, რომლის დროსაც სექსუალური ძალადობა ხდება ბრაზის გამოხატვის საშუალება. (ბ) ძალაუფლებით გაუპატიურება, რომელშიც თავდამსხმელს უპირველეს ყოვლისა სურს გამოხატოს თავისი ბატონობა მსხვერპლზე, განიხილება როგორც ძალაუფლების გამოხატულება და არა სექსუალური დაკმაყოფილების საშუალება. ამგვარად, მოძალადე ზოგადად იყენებს მხოლოდ იმ ძალის მასშტაბს, რომელიც აუცილებელია თავისი ზემდგომი პოზიციის გამოსაყენებლად. (გ) სადისტურ გაუპატიურებაში მოძალადე აერთიანებს სექსუალურ სურვილებს და ისეთ აგრესიას, როგორცაა ტანჯვის, წამების ან სხვაგვარად შეურაცხყოფის მიყენების სურვილი მსხვერპლზე.²¹⁴

²¹² იქვე.

²¹³ *Miller I., Mitchell J., Twenty-first century criminology, HV6025.A155, 2009, 516.*

²¹⁴ იქვე. 498.

ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, ქალების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება შეიძლება სქესობრივი დანაშაულის საფუძველი გახდეს, იმ რწმენით, რომ ქალი შეიძლება აიძულო სექსუალური ურთიერთობაზე და რომ მამაკაცებს აქვთ უფლება მოსთხოვონ ქალს სქესობრივი კავშირის დამყარება. ის ქალები, რომლებსაც უფრო უზრუნველყოფილი ცხოვრება და დაცულობის მეტი შესაძლებლობა აქვთ, ნაკლებად მოწყვლადები არიან სქესობრივი დანაშაულის მიმართ,²¹⁵ თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფაქტორები იმუნიტეტად არ უნდა მივიჩნიოთ.

სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პირები მიჩნეულები არიან, როგორც დამნაშავეთა ჰეტეროგენული ჯგუფი, რომლებიც სქესობრივ დანაშაულს სხვადასხვა მიზეზის გამო ახორციელებენ და ახასიათებს რეციდივის მაღალი მაჩვენებელი. თუმცა, მოძალადეებს გარკვეული მახასიათებლები საერთო აქვთ: მათ აქვთ ნეგატიური შეხედულებები ქალებზე; მხარს უჭერენ გაუპატიურების მითებს; არიან ტოლერანტულები ძალადობის მიმართ და გამოხატავენ ჰიპერიდენტიფიკაციას მასკულინურ როლთან. სხვა საერთო მახასიათებლებია: დაბალი თვითშეფასება, ალკოჰოლზე ან ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება; აგრესიის მართვის უუნარობა; წარსულში დასჯის გამოცდილება (მათ მიმართ).²¹⁶

ზოგიერთი მეცნიერი შეეცადა მოძალადეების კლასიფიკაციას ტიპოლოგიებად მათი დანაშაულის ძირითადი მოტივაციის საფუძველზე, რომელიც განასხვავებდა მოძალადეებს მათ მიერ გამოყენებული აგრესიის ხარისხის, დამნაშავეს ძირითადი მოტივაციისა და სხვა ანტისოციალური ქცევების საფუძველზე. მოგვიანებით ეს ჩარჩო მეცნიერებმა გააფართოვეს, და შექმნეს ისეთი კლასიფიკაციის სისტემა რომელიც მოიცავდა ოპორტუნისტულ, გამუდმებით გაბრაზებულ, შურისმაძიებელი და სექსუალური მოძალადეების ტიპოლოგიები.²¹⁷ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სექსუალური მოძალადეების უმრავლესობა კაცია და მათი უმეტესობა იცნობს თავის

²¹⁵ *Segal Z., Stermac L., A Measure of Rapists' Attitudes Towards Women, International Journal of Law and Psychiatry, Vol 7, 1984, 437.*

²¹⁶ *Mitchell M., 21st century criminology: a reference handbook, SAGE Publications, Inc. 2455 Teller Road Thousand Oaks, California 91320, 2009, 516.*

²¹⁷ იქვე.

მსხვერპლს, რადგან ისინი ამას აკეთებენ მაშინ, როდესაც მათ მიმართ არსებობს ნდობა ან აქვთ ძალაუფლება ოჯახში, მეგობრების ან პროფესიულ წრეში.²¹⁸ სექსუალურ მოძალადეებს შეუძლიათ გამოავლინონ მახასიათებლების ფართო სპექტრი და არ არსებობს ერთიანი პროფილი, რომელიც ყველასთვის შესაფერისია. თუმცა, შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე სექსუალური დამნაშავეების საერთო მახასიათებელი:

- თანაგრძნობის ნაკლებობა: სექსუალური მოძალადეები ხშირად გამოხატავენ მსხვერპლთა მიმართ თანაგრძნობის ნაკლებობას და შესაძლოა ბოლომდე არ ესმით მათ მიერ გამოწვეული ზიანი და ტრავმა.
- ძალაუფლება და კონტროლი: სექსუალურ მოძალადეებს ხშირად აქვთ ძალაუფლებისა და კონტროლის სურვილი თავიანთ მსხვერპლებზე და შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი სექსუალური აქტები, როგორც საშუალება გამოიყენონ ეს ძალა.
- დაბალი თვითშეფასება: ბევრ სექსუალურ მოძალადეს აქვს დაბალი თვითშეფასება და შეიძლება გამოიყენოს სექსუალური აქტები, როგორც საშუალება საკუთარი თვითშეფასების და ნდობის ასამაღლებლად.
- ძალადობის ისტორია: ზოგიერთ სექსუალურ დამნაშავეს აქვს საკუთარი სექსუალური ძალადობის ისტორია და შეიძლება ჩაიდინოს მსგავსი ძალადობა სხვებზე.
- მანიპულირება: სექსუალურ მოძალადეებს შეუძლიათ გამოიყენონ მანიპულირების ტაქტიკა, რათა მიიღონ წვდომა მსხვერპლებთან, მაგალითად, თავი წარმოაჩინონ ისეთად, როგორებიც არ არიან ან გამოიყენონ მუქარა, რათა აიძულონ თავიანთი მსხვერპლი შეასრულონ მათი მოთხოვნები.

ცნობილია რისკ-ფაქტორები, რომლებიც ზრდის სექსუალური ძალადობის ალბათობას. კვლევებმა აჩვენა, რომ ის კაცები, რომლებსაც აქვთ მიმღებლობა ქალების

²¹⁸ Characteristics of sexual offenders, National Association for Rational Sexual Offence Laws <<https://narsol.org/2018/09/characteristics-of-sexual-offenders/>>

შესახებ ტრადიციული გენდერული სტერეოტიპული დამოკიდებულებების, სადაც მამაკაცი დომინანტია, ავლენენ მტრულ დამოკიდებულებას ქალების მიმართ.²¹⁹

3.4. საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და დინამიკა

ყოველწლიურად 150 000 000-ზე მეტი გოგონა განიცდის სექსუალურ ძალადობის გარკვეულ ფორმას და გლობალურად სხვადასხვა სახის პრობლემებია სქესობრივ დანაშაულებთან ბრძოლის თვალსაზრისით, თუმცა ერთ-ერთი საბაზისო საკითხი სქესობრივი დანაშაულის შემთხვევების შეტყობინების დაბალი მაჩვენებელია, რის გამოც არსებული სტატისტიკური მონაცემები ამ სახის დანაშაულის (მაგ. გაუპატიურების შემთხვევები) შესახებ რეალობას არ ასახავს.²²⁰ საქართველო გამონაკლისი არ არის და ქვეყნის წინაშე დგას ანალოგიური საკითხი დღის წესრიგში - სქესობრივი დანაშაულის შესახებ შეტყობინების თვალსაზრისით. საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის ფარგლებში (2017 წ.)²²¹ ქალების 26%-მა აღნიშნა, რომ განუცდია სექსუალური ძალადობა ან/და სექსუალური შევიწროება ისეთი პირის მხრიდან, რომელიც მისი პარტნიორი არ იყო, მათ შორის განუცდია სექსუალური ძალადობა ბავშვობაში; ხოლო, ქალების 2.3%-მა აღნიშნა, რომ მათ განუცდიათ სხვადასხვა სახის ინტიმური ძალადობა პარტნიორის.²²² ამავე კვლევის შედეგები მიანიშნებს იმაზე, რომ ქალსა და მამაკაცს განსხვავებული შეხედულებები სექსუალურ ძალადობაზე: ქალების თითქმის ნახევარი (42%) და კაცების 50% ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ თუ ქალი ფიზიკურად არ ებრძვის მოძალადეს, ამას გაუპატიურება არ უნდა ეწოდოს. კაცების 22% და ქალების 14% ეთანხმება იმ

²¹⁹ იქვე.

²²⁰ *Lutz-Priefert M.*, A Call for a More Permanent International Definition of Rape, *Creighton International and Comparative Law Journal*, 2015, 86.

²²¹ National Study of Violence against Women, Summary Report, 2017, <<https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/national%20study%20on%20violence%20against%20women%202017.pdf?la=en&vs=2932>> [20.07.2021].

²²² იქვე.

მოსაზრებას, რომ თუ ქალი გააუპატიურეს ე.ი. მან რაღაც გააკეთა იმისთვის, რომ თავი ამ მდგომარეობაში ჩაიგდო. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სოფლად მცხოვრებ კაცებსა და ქალებს უფრო კონსერვატიული და ძალადობის მიმტევებელი დამოკიდებულება აქვთ, ვიდრე ქალაქებში.²²³ გარდა ამისა, კვლევის შედეგები საინტერესოა ასაკობრივი თვალსაზრისითაც, რადგან შედარებით ახალგაზრდა თაობა ნაკლებად კონსერვატიული მიდგომისაა. ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა, რათა შეინარჩუნოს ოჯახი - ამ იდეას ეთანხმება 15-24 წლის ასაკის ქალების 16%, მხოლოდ 55-64 წლის ასაკის ქალების 34%.

უფრო ადრე, 2013 წელს ჩატარებულ კვლევაში მამაკაცისა და გენდერის შესახებ საქართველოში, რესპონდენტთა მესამედზე მეტს სჯეროდა, რომ გაუპატიურებული ქალები უგუნურები იყვნენ, ან რომ გაუპატიურება მხოლოდ „ცუდი რეპუტაციის“ მქონე ქალებს ეხებოდათ. გამოკითხულთა 50%-ს მიაჩნდა, რომ თუ ქალი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ გაუწევს, ეს გაუპატიურებად არ შეიძლება ჩაითვალოს.²²⁴ გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული კანონები და პრაქტიკა ყოფილი საბჭოთა კავშირის 15 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, „Equality Now“-მ შეისწავლა. კვლევაში აღნიშნულია, რომ „საკანონმდებლო სისტემა უამრავ შესაძლებლობას აძლევს დამნაშავეებს თავი დააღწიონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ან სასჯელს“,²²⁵ რაც არსებული სამართლებრივი და სისტემური პრობლემებიდან გამომდინარეობს. როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ასევე, სისხლისსამართლებრივი გამოძიების ტექნიკა და სასამართლო პრაქტიკა სერიოზული ბარიერია დაზარალებულებისთვის. განვიხილოთ ერთ-ერთი რეალური შემთხვევა, რომელიც საქართველოში სექსუალური დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიების საბაზისო ელემენტს - სამართალდამცავი სისტემის მხრიდან მსხვერპლის მდგომარეობის არასათანადო

²²³ იქვე. 12.

²²⁴ *Lacroix R.*, Georgia: Law and services on gender-based violence are ahead of social attitudes, 2015, <<https://blogs.worldbank.org/europeandcentralasia/georgia-law-and-services-gender-based-violence-are-ahead-social-attitudes>> [20.07.2021].

²²⁵ Equality Now, 2019. Roadblocks to Justice: How the Law is failing survivors of Sexual Violence in Eurasia. p. 8. <https://d3n8a8pro7vhm.cloudfront.net/equalitynow/pages/1581/attachments/original/1547485403/EN-Eurasia_Rpt_ENG_-_Web.pdf?1547485403> [20.07.2021].

აღქმის და მის მიმართ შეუსაბამო დამოკიდებულების პრობლემას წარმოაჩენს. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე სექსუალური ძალადობის მსხვერპლის ადვოკატი საუბრობს გამოძიების პროცესზე: „[როდესაც] საქმე ერთი გამომძიებლიდან მეორეზე გადადის, ის [მსხვერპლი] ისევ და ისევ უნდა შევიდეს ჩვენების მისაცემად და დეტალების გასახსენებლად. ამის შედეგად დაზარალებული უფრო მეტად ზიანდება, განიცდის ფსიქოლოგიურ ტრავმას და უარს ამბობს საქმის გაგრძელებაზე“.²²⁶ აღნიშნული შემთხვევა მიუთითებს გამოძიების ორგანოს მხრიდან სქესობრივი დანაშაულების სპეციფიკის არცოდნაზე, სათანადო მიდგომების ნაკლებობაზე და კონტექსტის მხედველობაში არმიღებაზე.

„გენდერული სტერეოტიპები და დისკრიმინაციული გამოძიების პროცედურები წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის. [...] სექსუალური ძალადობის მსხვერპლები ასევე აცხადებენ სამართალდამცავი ორგანოების მიერ დამამცირებელ და დამცინავ დამოკიდებულებას, რასაც ემატება პოლიციის განყოფილებებში ადეკვატური ინფრასტრუქტურის არარსებობა, რაც აფერხებს მსხვერპლის მონაწილეობას სისხლის სამართლის გამოძიების პროცესში.“²²⁷ გარდა ამისა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან მოპყრობის არასათანადო ცოდნის პირობებში ჩნდება რევიქტიმიზაციის რისკები. გამოძიების მხრიდან სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე მგრძნობიარე დამოკიდებულების მნიშვნელობაზე არაერთხელ აღნიშნა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს მიერ (*M.C. v. Bulgaria*²²⁸ და *E.B. v. Romania*²²⁹).

²²⁶ Rape Cases Hard to Bring in Georgia, 2012. <<https://iwpr.net/global-voices/rape-cases-hard-bring-georgia>>, [20.07.2021].

²²⁷ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტისთვის Equility Now-სა და 15 ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ერთობლივად წარდგენილი დოკუმენტი იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის საქართველოში, წარდგენილი 2021 წლის ივნისში.

²²⁸ *M.C. v Bulgaria*, [2003] ECHR, 163.

²²⁹ *E.B. v. Romania*, [2019] ECHR.

3.4.1 სტატისტიკური მონაცემები

სტატისტიკა ლათინური სიტყვა Status-ისგან არის წარმოქმნილი და ნივთიერების, საგნების, მოვლენების მდგომარეობას ნიშნავს.²³⁰ კრიმინალური სტატისტიკა დანაშაულის მდგომარეობის დინამიკის და სტრუქტურის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების საშუალებაა, რომლითაც შესაძლებელია ადამიანებმა თავი აარიდონ მსხვერპლად გახდომას. კრიმინოლოგი კაიზერი მიიჩნევდა, რომ ეს ასევე იყო „დანაშაულისადმი შიშის მოხსნის ფაქტორი“²³¹, რადგან ეს იძლევა იმაში დარწმუნების შესაძლებლობას, რომ დანაშაულის კონკრეტული სახე არც ისე გავრცელებულია, და ნაკლებია მსხვერპლად გახდომის ალბათობა.²³²

სადისერტაციო ნაშრომის ავტორმა შეისწავლა ბოლო 7 წლის მონაცემები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დევნის დაწყების შესახებ (2016-2022 წლებში), რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ:²³³


სისხლის სამართლის კოდექსი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
სსკ-ის 137-ე მუხლი	25	16	35	41	48	99	129
სსკ-ის 138-ე მუხლი	11	11	7	19	11	54	60
სსკ-ის 139-ე მუხლი	5	5	16	12	5	13	19

²³⁰ შალიკაშვილი მ, კრიმინოლოგია, თბილისი, 2017, 21.

²³¹ იქვე. 22.

²³² იქვე. 22.

²³³ სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, სისხლის სამართლის საქმეები <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika>> [05.03.2023]



დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ სქესობრივ დანაშაულებზე (სსკ-ის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლებზე) დევნის დაწყების მაჩვენებელი 2016-2017 წლებში უფრო დაბალია, ვიდრე შემდგომ წლებში; თუ 2016 წელს სსკ-ის 137-ე მუხლით დევნა 25 პირის მიმართ დაიწყო, 2022 წელს - 129 პირის მიმართ. ეს ტენდენცია შესაძლოა დავუკავშიროთ სისხლის სამართლის კოდექსის 2017 წლის ცვლილებებს, რომელმაც, სავარაუდოდ, გავლენა იქონია სქესობრივ დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, რამაც ეტაპობრივად გაზარდა დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის მითითებულ მუხლებზე.

3.5. საზოგადოებრივი აზრი სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით

კრიმინოლოგია ემპირიული და არანორმატიული მეცნიერებაა დანაშაულის, დამნაშავის, ნეგატიური სოციალური გამოხატულებებისა და დანაშაულებრივი ქმედების კონტროლის შესახებ, რომელიც დამყარებულია სისტემურად შეგროვილ გამოცდილებაზე. კრიმინოლოგიას, როგორც მეცნიერებას სამ ცნებაში გამოხატავენ: დანაშაული, დამნაშავე და დანაშაულის კონტროლი; რომელშიც აგრეთვე

იგულისხმება მსხვერპლი და ჩადენილი დანაშაულის პროფილაქტიკა, ასევე, დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავებაში ხელშეწყობა. კრიმინოლოგია ეყრდნობა სისხლის სამართლის ნორმებს, და ამ ნორმების გამოყენებიდან დამდგარ შედეგებს და ახდენს მათ ანალიზს.²³⁴

კრიმინოლოგიური კვლევის დროს „მეთოდების გამოყენება უნდა იყოს წინასწარ დაგეგმილი და ორგანიზებული, რომ მიღებული შედეგი არ იწვევდეს ეჭვს იმის თაობაზე, რომ ეს შედეგი გამოცდილებაზე არ არის დამყარებული და იგი სხვა ხერხებით (არამეცნიერული) არის მიღებული.“²³⁵ ვინაიდან კრიმინოლოგიურ კვლევას საკუთარი მეთოდები არ გააჩნია, ასეთ დროს ძირითადად იყენებენ სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს; პირველ რიგში იყენებენ ინფორმაციის მოპოვების ოთხი სახის მეთოდს: გამოკითხვა, დაკვირვება, ექსპერიმენტი და შინაარსის ანალიზი.²³⁶ სადისერტაციო ნაშრომის ავტორმა გამოიყენა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი - გამოკითხვა. მას პრეტენზია არ აქვს პრევალენტობაზე, თუმცა სადისერტაციო ნაშრომის მიზნებისთვის საკმარის ინფორმაციას იძლევა.

სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა: (ა) საზოგადოებას დამოკიდებულებისა და განწყობების შესწავლა, როგორც სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პირების, ასევე მსხვერპლთა მიმართ, გარდა ამისა, რას ფიქრობენ ადამიანები ზოგადად სქესობრივი დანაშაულის შესახებ. (ბ) რამდენად შეესაბამება საზოგადოების განწყობები და შეფასებები არსებულ სისხლისსამართლებრივ მიდგომებს სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით. კვლევის დროს გამოყენებული იქნა დახურული კითხვები. კვლევის ძირითადი ეტაპები: (1) კვლევის მეთოდოლოგიისა და კითხვარის შემუშავება; (2) გამოკითხვის ჩატარება; და (3) ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.

კვლევა ჩატარდა ავტორის მიერ წინასწარ სტრუქტურირებული კითხვების მეშვეობით შემთხვევითი პრინციპით შერჩეულ რესპონდენტებთან სატელეფონო კომუნიკაციის გზით. ინტერვიუს კითხვარი ისეთი ფორმით იყო შედგენილი,

²³⁴ შალიკაშვილი მ, კრიმინოლოგია, თბილისი, 2017, 1.


²³⁵ იქვე. 16.

²³⁶ იქვე.

რომელიც რესპონდენტებს წინასწარ სთავაზობდა რამდენიმე პასუხის ვარიანტს, თუმცა რიგ შემთხვევებში მათ შეეძლოთ გარკვეული განმარტებების გაკეთება. გამოკითხვა ჩატარდა 2021 წლის 15 მაისიდან 1-ელ ივნისამდე პერიოდში, რომელშიც მონაწილეობდა 300 რესპონდენტი (79% ქალი, 21% კაცი). რესპონდენტებს სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები წარმოადგენენ, რომლებსაც პროფესიული შეხება არ ჰქონდათ სქესობრივი დანაშაულთან. კვლევა ჩატარდა, როგორც დედაქალაქში მცხოვრებ ადამიანებთან, ასევე რეგიონებში, თუმცა ეს უკანასკნელი მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კითხვები და პასუხები გამომდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსიდან, იმის დადგენის მიზნით, თუ რამდენად შეესაბამება ადამიანების აღქმები დანაშაულის შესახებ კანონს.

#1: კვლევაში მონაწილეთა ასაკი



#2: კვლევაში მონაწილეთა საქმიანობის სფერო


კვლევაში მონაწილე პირების უმრავლესობა არის ეკონომისტი, ფინანსისტი და ბუღალტერი (20 რესპონდენტი), დროებით უმუშევარი (18 რესპონდენტი), მასწავლებელი (18 რესპონდენტი), ექიმი (14 რესპონდენტი), იურისტი (10 რესპონდენტი), ხელოსანი (9 რესპონდენტი), სტუდენტი (8 რესპონდენტი), ქოლცენტრის ოპერატორი (8 რესპონდენტი), მუსიკოსი (7 რესპონდენტი), ჟურნალისტი და პიარის სპეციალისტი (7 რესპონდენტი). სხვა დანარჩენი მონაწილე პირები სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობით დაკავებული ადამიანები არიან, ვინაიდან სია ძალზედ მრავალფეროვანია, მკვლევარმა არ მიიჩნია საჭიროდ სადისერტაციო ნაშრომში დიაგრამის სახით მონაცემების წარმოდგენა.

#3: კვლევაში მონაწილეთა საცხოვრებელი ადგილი

საცხოვრებელი ადგილი	რესპონდენტების რაოდენობა
თბილისი	273
რეგიონები	27


#4: რას ნიშნავს სქესობრივი დანაშაული?

კითხვაზე, თუ რას ნიშნავს სქესობრივი დანაშაული, რომლის სავარაუდო პასუხები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა, 8.7%-მა უპასუხა, რომ ეს არის გაუპატიურება; 2% ამბობს, რომ ეს არის სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება; 4.7% - პირის იძულება იმისთვის, რომ მოხდეს მის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა ან სხვა მსგავსი ქმედება; ხოლო 86.7% პასუხობს, რომ ყველა (რამდენიმე რესპონდენტმა ერთდროულად 2 ან 3 პასუხი აირჩია).




#5: სქესობრივი დანაშაული არის თუ არა მაინცდამაინც ძალადობრივი?

ვინაიდან საქართველოში სქესობრივ დანაშაულზე, მაგალითად გაუპატიურების შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ უნდა არსებობდეს ძალადობის ელემენტი, რესპონდენტებს ამ საკითხზეც დაესვათ შეკითხვა. კითხვაზე, არის თუ არა სქესობრივი დანაშაული მაინცდამაინც ძალადობრივი, 62%-მა უპასუხა კი, 36.3%-მა - არა, ხოლო 1.7%-მა - არ ვიცი. ამდენად, რესპონდენტების უმეტესობა იზიარებს იმ სტერეოტიპულ მოსაზრებას, რომ სქესობრივი დანაშაული აუცილებლად ძალადობრივი ხასიათისაა.




#6: სქესობრივი კავშირი, რომლის დროსაც არ არსებობს მეორე მხარის თანხმობა, შეიძლება თუ არა, რომ მიჩნეული იქნას სქესობრივ დანაშაულად?




ქართული სასამართლო პრაქტიკის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ხშირად სასამართლოები თანხმობის პრეზუმფციის პერსპექტივიდან განიხილავენ სქესობრივი დანაშაულის საქმეებს იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მსხვერპლის მიერ წინააღმდეგობის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებები. გამომდინარე აქედან განსაკუთრებით საინტერესო იყო რესპონდენტების მოსაზრებები, რომელთა 98% მიიჩნევს, რომ სქესობრივი კავშირი, რომლის დროსაც არ არსებობს მეორე მხარის თანხმობა, შეიძლება მიჩნეული იქნას სქესობრივ დანაშაულად, ხოლო ამ კითხვაზე 1.7% პასუხობს არას, ხოლო 0.3% - არ ვიცი.

#7: გსმენიათ თუ არა სქესობრივი დანაშაულის ფაქტის შესახებ?



#8: თქვენი აზრით, რამდენად გავრცელებულია სქესობრივი დანაშაული საქართველოში?

53.7% მიიჩნევს რომ საქართველოში სქესობრივი დანაშაული ძალიან გავრცელებულია, 29.7% - ალბათ არც ისე გავრცელებული, მხოლოდ 1.3% ფიქრობს, რომ საქართველოში ადამიანი დაცულია და სქესობრივი დანაშაული არ არის გავრცელებული; გამოკითხულთა ნაწილმა, 15.3%-მა ამ კითხვაზე უპასუხა - არ ვიცი.



#9: გთხოვთ ერთი სიტყვით დაახასიათეთ ტიპური დამნაშავე, რომელმაც სქესობრივი დანაშაული ჩაიდინა.


გამოკითხულთა უმრავლესობამ, 74 პირმა ტიპური დამნაშავე დაახასიათა, როგორც „მოძალადე“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დამნაშავე უკიდურესად უარყოფით განწყობებს იწვევს. ზოგადად, სექსუალური ძალადობის ჩამდენებს როგორც წესი აღწერენ, როგორც „მხეცებს“, „გარყვნილებს“ ან სხვ.

#10: თქვენი აზრით, ყველაზე უფრო დიდი ალბათობით, ვინ შეიძლება ჩაიდინოს სქესობრივი დანაშაული?

„მოძალადეების წრე არ შემოიფარგლება უცხო პირებით. მათი წრე გაცილებით ფართოა და მოიცავს იმ ადამიანებსაც, რომელთა მიმართაც მსხვერპლს აქვს ნდობა ან,

რომლებსაც აქვთ მსხვერპლის კონტროლის შესაძლებლობა.“²³⁷ მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის კატეგორია საკმაოდ მრავალფეროვანია, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ცალკეული მაგალითი: მსხვერპლები, რომლებიც ცხოვრობენ დამნაშავეებთან ან/და დანაშაულის ჩადენის ადგილთან ახლოს; დაზარალებულები, რომლებიც ხვდებიან თავიანთ დამნაშავეებს ბარში, პიკნიკზე ან წვეულებაზე; მსხვერპლები, რომლებიც იყვნენ „პირველად“ ურთიერთობაში დამნაშავეებთან.²³⁸


გამომდინარე აქედან, საინტერესო იყო რესპონდენტების მოსაზრება, თუ მათი აზრით ვინ შეიძლება იყოს პოტენციური დამნაშავე - გამოკითხულთა 6.7% მიიჩნევს, რომ სქესობრივი დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს მეუღლემ ან პარტნიორმა; ასევე, 6.7% ამბობს, რომ - ყოფილმა მეუღლემ ან პარტნიორმა; 2% - მეგობარმა; 3% - მეზობელმა, 18% - უცხო ადამიანმა, 13.7% - სხვა, 60.7% - ყველა (რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ აერჩიათ რამდენიმე პასუხი).



²³⁷ 2021სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო(გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის), გაეროს ქალთა ორგანიზაცია გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერებისთვის (UN Women), 2021 <<https://rm.coe.int/investigation-manual-geo/1680a3e8e5>> [05.03.2023] 9.


²³⁸ Menachem A., Forcible Rape, Federal Probation, vol. 31, no. 1, 1967, 57.

#11: რა მოტივი შეიძლება ჰქონდეს დამნაშავეს?




გამოკითხულთა 7.7% მიიჩნევს, რომ დამნაშავეს მოტივი შესაძლოა იყოს აგრესიის გამოვლენა; 3.7% - მსხვერპლის დამორჩილებას ასახელებს; 6.7% - ამბობს, რომ დამნაშავეს შესაძლოა ჰქონდეს სიამოვნების მიღების სურვილი; 3% - ზეგავლენის მოხდენას ასახელებს; 80.3% - უთითებს ყველა ჩამოთვლილს. რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ რამდენიმე პასუხი, გარდა ამისა კატეგორიაში „სხვა“, გამოკითხულთა 4.3%-მა დაასახელა ის მოტივები, რის გამოც შეიძლება ჩაიდინოს პირმა სქესობრივი დანაშაული - ყველაზე მეტ, 3 შემთხვევაში მათ მიუთითეს, რომ დამნაშავეს მოტივი შეიძლება იყოს ეჭვიანობა.

#12: არის თუ არა სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პირი განსაკუთრებით საშიში კატეგორიის დამნაშავე?




რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ აეხსნათ მათი პასუხი. როდესაც ისინი მიიჩნევდნენ, რომ პირი განსაკუთრებით საშიში დამნაშავეა, პასუხი შემდეგნაირად განმარტეს: „ყველა მოძალადე პირი საშიში საზოგადოებისთვის“; „იგი საშიშია საზოგადოებისთვის, ისევე, როგორც მკვლელი“; „ადამიანს აყენებს სტრეს“; „ყოველთვის შესაძლებელია მსგავსი კიდევ ჩაიდინოს“; „ზოგადად, ნებისმიერი სახის ძალადობრივი ქცევა არის საშიში და მით უფრო სქესობრივი დანაშაული, რა დროსაც მსხვერპლს მძიმე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებ“. ამდენად, გამოკითხულები ყურადღებას ამახვილებენ რეციდივის საფრთხეზე. ასევე, ამ დანაშაულს სიმძიმით მკვლელობას უთანაბრებენ, აღნიშნავენ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ზიანს და სტრესს, რომელსაც მსხვერპლი განიცდის.


#13: ისურვებდით თუ არა, რომ შეგეძლოთ ინფორმაციის მიღება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან იმის შესახებ, წარსულში ჩადენილი აქვს თუ არა სქესობრივი დანაშაული თქვენს მეზობელს, მეგობარს, თანამშრომელს ან ნებისმიერ ადამიანს, რომლითაც თქვენ დაინტერესდებით?




#14: უნდა ახორციელებდეს თუ არა სქესობრივი დანაშაულის პრევენციის პროგრამებს სახელმწიფო?



#15: რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ იმისათვის, რომ დაიცვას სქესობრივი დანაშაულის შედეგად დაზარალებული ადამიანები? (რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ აერჩიათ რამდენიმე პასუხი.)



#16: რა უნდა გააკეთოს ადამიანმა იმისათვის, რომ სქესობრივი დანაშაულისგან თავი დაიცვას?




კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას საკმაოდ სენსიტიური და მხარდამჭერი დამოკიდებულება აქვს მსხვერპლის მიმართ. კითხვაზე, თუ რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ იმისათვის, რომ დაიცვას სქესობრივი დანაშაულის შედეგად

დაზარალებული ადამიანები, 35.5%-მა უპასუხა, რომ დაუჯერონ მსხვერპლს და გამოხატონ მხარდაჭერა; 79.7% ამბობს, რომ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის ქონის შემთხვევაში, დაუკავშირდნენ სამართალდამცავ ორგანოებს; მხოლოდ 0.7% აცხადებს, რომ არ გაამხილონ ასეთი ფაქტის შესახებ ინფორმაცია; 0.7% ასახელებს სხვას; 10% - ამბობს, რომ ყველა ჩამოთვლილი მოქმედება უნდა განხორციელდეს.

#17: არის თუ არა ქალი დამნაშავე, თუ იგი გახდება სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლი?


განსაკუთრებით საინტერესო შედეგები აჩვენა ამ კითხვამ, რომლის დასმის მიზანი არსებული სტერეოტიპების მიმართ, რესპონდენტების მოსაზრების გაცნობა იყო. 43% მიიჩნევს, რომ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია, მსხვერპლი იყოს დამნაშავე, ხოლო 57% მიიჩნევს, რომ - არა.

#18: უნდა განაცხადოს თუ არა დაზარალებულმა იმის შესახებ, რომ მის მიმართ ჩაიდინეს სქესობრივი დანაშაული?



#19: თქვენი აზრით, რა არის მიზეზი იმისა, რომ დაზარალებულები არ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს სქესობრივი დანაშაულის შემთხვევაში?


9.7% ასახელებს სამართალდამცავი სისტემის მიმართ უნდობლობას; 21.7% სირცხვილის გრძნობას; 38% - საზოგადოების მხრიდან მისი გაკიცხვისა და დადანაშაულების შიშს; 45% - აღნიშნავს, რომ ყველა ჩამოთვლილი; ხოლო სხვა სახის ფაქტორებს ასახელებს 3%.




#20: რა უნდა იქნას მხედველობაში მიღებული განაჩენის გამოტანისას - პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის შემთხვევაში?

36% აღნიშნავს, რომ მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულს და დამნაშავეს ერთმანეთთან ურთიერთობის საკითხი (მაგალითად, არიან ისინი ცოლ-ქმარი, პარტნიორები, მათ შორის თუნდაც ყოფილი, თუ არა); 27.7% მიიჩნევს, რომ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იქცეოდა ან გამოიყურებოდა დაზარალებული დამნაშავეს მიერ სქესობრივი დანაშაულის ჩადენამდე; უმრავლესობა - 58% ფიქრობს, რომ დამნაშავეს პიროვნება უნდა იქნას მხედველობაში

მიღებული; ხოლო 34.7% მიიჩნევს, რომ მოსამართლემ გათვალისწინებული უნდა იყოს დაზარალებულის პიროვნება, თუ რა საქმიანობას ეწევა, როგორია მისი ცხოვრების წესი და სხვ.).



#21: რა ახდენს გავლენას იმაზე, რომ ადამიანი უფრო მეტად დაუცველია სქესობრივ დანაშაულთან მიმართებით?



გამოკითხულთა 12% მიიჩნევს, რომ მსხვერპლის ასაკს აქვს მნიშვნელობა; საქმიანობას ასახელებს 1.3%; საცხოვრებელ ადგილს - 2%; დაზარალებულის

მატერიალურ მდგომარეობას - 6%; სოციალური მდგომარეობას - 12.7%; განქორწინებულის სტატუსს - 3.3%; ყველა 58.3%; სხვა - 18%.

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სქესობრივი დანაშაული აუცილებლად ძალადობრივ ხასიათს ატარებს, ხოლო ამის საპირისპიროდ; დასმულ კითხვაზე, სქესობრივი კავშირი, რომლის დროსაც არ არსებობს მეორე მხარის თანხმობა, შეიძლება თუ არა, რომ მიჩნეული იქნას სქესობრივ დანაშაულად, 98% დადებითად პასუხობს. გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოში სქესობრივი დანაშაული ძალიან გავრცელებულია. ხოლო, ყველაზე ხშირად ასახელებენ უცხო ადამიანს ისეთ სუბიექტად, რომელმაც შეიძლება ჩაიდინოს სქესობრივი დანაშაული. ხოლო დანაშაულის მოტივის შესახებ, ცალკეულ პასუხებში ყველაზე მეტად უთითებენ დამნაშავის მიერ აგრესიის გამოვლენას, როგორც მის მოტივს. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ გამოკითხულთა დიდი ნაწილი, 43% მიიჩნევს, რომ ქალი (რომელიც მსხვერპლია) შესაძლოა იყოს დამნაშავე, თუ მის მიმართ ჩაიდინეს სქესობრივი დანაშაული. ეს მოსაზრება ვითარდება კიდევ ერთ კითხვაში, რომელშიც რესპონდენტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ დაზარალებულები იმიტომ არ იმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს, რომ მათ აქვთ საზოგადოების მხრიდან მისი გაკიცხვისა და დადნაშაულების შიში. გარდა იმისა, რომ გამოკითხული პირები, საკმაოდ დიდი ნაწილი (34.7%), მიიჩნევენ, რომ მოსამართლემ განაჩენის გამოტანისას მხედველობაში დაზარალებულის პიროვნება უნდა მიიღოს. დაბოლოს, რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მნიშვნელობა აქვს ადამიანის სოციალურ მდგომარეობას, რა დროსაც შესაძლოა ადამიანი უფრო მეტად იყოს დაუცველი სქესობრივ დანაშაულთან მიმართებით.

თავი IV. საერთაშორისო სტანდარტები - კონვენციები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი

4.1 ზოგადი რეკომენდაცია #19 - ქალთა მიმართ ძალადობა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგადი რეკომენდაცია #19 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მიღებულია 1992 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-11 სხდომაზე. ოჯახურ ურთიერთობებში ყველა ასაკის ქალების მიმართ ხორციელდება სხვადასხვა სახის ძალადობა, მათ შორის, ცემა, გაუპატიურება და სხვა ფორმის სექსუალური ხელყოფა, ფსიქოლოგიური და სხვა ფორმის ძალადობა, რომელიც ჩვეულებებზე დაფუძნებული მიდგომების შედეგად ხორციელდება (მე-16 მუხლი (და მე-5 მუხლი)).²³⁹ კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ ყურადღება გაამახვილონ მედიის როლზე, რათა ხელი შეუწყონ გაუპატიურებასთან და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებთან დაკავშირებული კულტურული სტერეოტიპების დანგრევას.²⁴⁰

ზოგადი რეკომენდაცია N35, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ, რომლითაც განახლდა N19 ზოგადი რეკომენდაცია, სახელმწიფოებს მოუწოდებს: უზრუნველყონ, რომ სექსუალური ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება, დახასიათებული იყოს, როგორც დანაშაული მიმართული ადამიანის პირადი უსაფრთხოებისა და ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის უფლების წინააღმდეგ და რომ სექსუალური ხასიათის დანაშაულების, მათ შორის ქორწინებაში და ნაცნობის მიერ თუ პაემანზე გაუპატიურების დანაშაულების, განმარტება ეფუძნებოდეს თავისუფლად მიცემული თანხმობის არარსებობას და

²³⁹ გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატიური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები, გაეროს ქალთა ორგანიზაცია <<https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf>> [10.03.2023] 20.

²⁴⁰ იქვე. 172.

ითვალისწინებდეს მსხვერპლის იძულებას. დროის თვალსაზრისით ნებისმიერმა შეზღუდვებმა, სადაც ასეთი შეზღუდვები არსებობს, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს მსხვერპლთა ინტერესებს და გაითვალისწინოს ის გარემოებები, რომლებიც ხელს უშლიან მსხვერპლებს, რომ ძალადობის ფაქტების შესახებ კომპეტენტურ ორგანოებს შეატყობინონ.²⁴¹

გარკვეულ გარემოებებში ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა შეიძლება გაუთანაბრდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, მათ შორის გაუპატიურების, ოჯახში ძალადობის ან მავნე პრაქტიკის შემთხვევებში. ზოგჯერ კი ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმა შეიძლება საერთაშორისო დანაშაულად იყოს მიჩნეული;²⁴² „გაუპატიურებას განუყოფლად თან სდევს მსხვერპლის მწვავე ტანჯვა, მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს ფიზიკური დაზიანების ან დაავადების მტკიცებულებები... გაუპატიურების მსხვერპლი ქალები ფსიქოლოგიური და სოციალური ხასიათის რთულ შედეგებსაც განიცდიან“.²⁴³

ზოგადი რეკომენდაცია N34 სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებების შესახებ, მონაწილე სახელმწიფოებს ურჩევს, რომ დაიცვან სოფლად მცხოვრები ქალების და გოგოების ადეკვატური ჯანდაცვის უფლება და უზრუნველყონ პრენატალური, პერინატალური, პოსტნატალური და სამეანო მომსახურებები; აივ-ის პრევენციისა და მკურნალობის მომსახურება, მათ შორის სასწრაფო ჩარევა გაუპატიურების შემდეგ.²⁴⁴

4.2 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია

²⁴¹ იქვე. 222.

²⁴² იქვე. 216.

²⁴³ Fernández Ortega Et Al. V. Mexico [2010] Inter-American Court of Human Rights, 39.

²⁴⁴ გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები, გაეროს ქალთა ორგანიზაცია <<https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf>> [10.03.2023]193.

სტამბოლის კონვენციის, რომლის ხელმომწერ ქვეყნებს შორის საქართველოცაა, 36-ე მუხლის მიხედვით, გაუპატიურება არის „სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით; ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება“. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით“.

რომის სტატუტის 21(1, c)-ე და 21(3)-ე მუხლები მოითხოვს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები შეესაბამებოდეს „საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებათა სამართალს“; ხოლო მე-9 მუხლი მოითხოვს, დანაშაულის ელემენტები გამოყენებული უნდა იყოს, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ დაეხმაროს სასამართლოს მე-6, მე-7, და მე-8 მუხლების გამოყენებასში, ინტერპრეტაციასა და დეფინიციაში სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ განისაზღვროს, არის თუ არა დანაშაულის ელემენტები თანხვედრაში რომის სტატუტთან და სტატუტის ყველა ინტერპრეტაციასთან, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიყენოს 21(3)-ე მუხლი, ვინაიდან აღნიშნული მუხლი არეგულირებს რომის სტატუტის სხვა დებულებებს.

სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდგომ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შევიდა სექსუალური დანაშაულების ნაწილში.²⁴⁵ მიუხედავად ამისა, ახალი სამართლებრივი ნორმები მაინც არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციას და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო სტანდარტებს. სექსუალური ძალადობისა და დაუსჯელობის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია სექსუალური ძალადობის დეფინიციაში საკანონმდებლო ცვლილების შეტანა, რათა ის შეესაბამებოდეს სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს და ადამიანის უფლებათა

²⁴⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=247>>, [13.08.1999]

საერთაშორისო სტანდარტებს.²⁴⁶ გარდა სტამბოლის კონვენციისა, საქართველო ვალდებულია შეასრულოს სხვა საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებებიც.

4.3 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია კაცობრიობის ისტორიაში იურიდიულად სავალდებულო პირველი საერთაშორისო დოკუმენტია, რომლითაც მოწესრიგდა მრავალი ძირითადი უფლება და თავისუფლება.²⁴⁷ ევროპული კონვენცია, რომელიც სახელმწიფოებისთვის იურიდიულ ვალდებულებებს წარმოშობს, მიჩნეულია ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიან საერთაშორისო ხელშეკრულებად, რაც საერთაშორისო საზედამხედველო მექანიზმის შექმნამ განაპირობა.²⁴⁸ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ადამიანის უფლებების დაცვა არა მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის გახდა პრიორიტეტი, არამედ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ევროპულ დონეზე.²⁴⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპულ სახელმწიფოთა კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე; კონვენციის დიდი მნიშვნელობის გამო, იგი აღიარებულია „ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ აქტად“.²⁵⁰ ხოლო,

²⁴⁶ Sexual Violence Remains Unpunished due to the existing Barriers, 2019. <https://www.gyla.ge/en/post/arsebuli-barierebi-seqsualuri-dzaladobis-dausjelobas-itsvevs#_ftn1> [20.07.2021].

²⁴⁷ კორკელია კ., ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი, 2007, 6-7.

²⁴⁸ იქვე.

²⁴⁹ Marshall J., Personal Freedom Trough Human Rights Law? Autonomy, Identity and Integrity under the European Convention on Human Rights, International Studies in Human Rights, Volume: 98, 2009, 33.

²⁵⁰ კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, ევროპის საბჭო. თბილისი, 2003, 11.

„ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვის მიღწევა მოითხოვს ადამიანის ინდივიდუალიზმის სამართლებრივ აღიარებას და დაცვას“.²⁵¹

გაუპატიურების დანაშაულის *actus reus* არის არაკონსენსუალური სქესობრივი კავშირი, ხოლო ძალადობით და ძალადობის მუქარით გაუპატიურების ჩადენა არ წარმოადგენს *actus reus*-ის აუცილებელ ელემენტებს.²⁵² სწორედ ამ საკითხთან მიმართებით ძალზედ საინტერესოა ევროპული სასამართლოს მიდგომები, კერძოდ, გაუპატიურების დანაშაულის დეფინიციის, თანხმობის არარსებობის და სექსუალური ავტონომიის დაცვის თაობაზე. ამ კატეგორიის საქმეებზე ძირითადი დარღვევები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს უკავშირდება, სწორედ ამიტომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ძალზედ საინტერესოა. ამასთანავე, სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლების დარღვევა ევროპულმა სასამართლომ არაერთ ისეთ საქმეზე დაადგინა, რომლებიც სქესობრივ დანაშაულებს შეეხება, ამიტომ წინამდებარე თავი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების განხილვას ეთმობა.

4.3.1 პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ადრეული გადაწყვეტილებები გაუპატიურების საქმეებზე მკვეთრად განასხვავებდა ადამიანის უფლებების დარღვევების სახეს იმის მიხედვით, თუ ვის მიერ იყო ქმედება ჩადენილი - საჯარო თუ კერძო პირის მიერ. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ გაუპატიურება საჯარო თანამდებობის პირის მიერ იყო ჩადენილი, მიიჩნეოდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად, ხოლო კერძო პირის შემთხვევაში - მე-8 მუხლის დარღვევად.²⁵³

²⁵¹ *Marshall J.*, Personal Freedom Through Human Rights Law? Autonomy, Identity and Integrity under the European Convention on Human Rights, *International Studies in Human Rights*, Volume: 98, 2009, 175.

²⁵² *Chalmers J.*, How (Not) to Reform the Law of Rape, *Edinburgh L. REV.*, 2002, 388.

²⁵³ *McGlynn C., Munro V.*, Rethinking Rape Law International and Comparative Perspectives, Routledge-Cavendish, London, 2010, 112.

„X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ“²⁵⁴ საქმეში ადგილი ჰქონდა 16 წლის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე გოგონაზე სრულწლოვანი მამაკაცის მიერ სექსუალურ ძალადობას. საქმე „X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ“ ინიცირებული იქნა 1980 წელს X-ის მიერ, მისი და მისი ქალიშვილის (Y) სახელით, რომელიც 1970 წლიდან ცხოვრობდა სპეციალიზებულ საოჯახო ტიპის სახლში, სხვა ბავშვებთან ერთად. 1977 წლის 15 დეკემბერს განმცხადებელი (Y) აიძულა B-მ, რომ მასთან დაემყარებინა სქესობრივი კავშირი, რამაც შემდგომში განმცხადებლის ტრავმირება გამოიწვია. მსხვერპლის მამამ მეორე დღესვე წარადგინა საჩივარი ადგილობრივ პოლიციაში და აღნიშნა, რომ მის შვილს, მდგომარეობიდან და ასაკიდან გამომდინარე, არ შეეძლო პირადად მიემართა პოლიციისთვის. პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ B-ის წინააღმდეგ სამართალწარმოების პროცესი არ დაეწყო, რაც განმცხადებლის მამის მიერ გასაჩივრდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ საქმეზე მამას არ შეეძლო ემოქმედა, როგორც დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს. ეს განპირობებული იყო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზით, ხოლო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხარვეზის შევსება ფართო ინტერპრეტაციის გზით შეუძლებელი იყო.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მე-8 მუხლი Y-თან მიმართებით, რადგან ის არ იყო უზრუნველყოფილი პრაქტიკული და ეფექტიანი დაცვით სისხლის სამართლის კოდექსის მეშვეობით; ამასთან, მხედველობაში მიიღო იმ დანაშაულის ბუნება, რასაც მთლიანად ეს საქმე შეეხებოდა. სტრასბურგის სასამართლომ პირველად ამ გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ პოზიტიური ვალდებულებები შესაძლოა ითვალისწინებდეს სისხლის სამართლის ეფექტიანი დებულებების მიღების აუცილებლობას. სამოქალაქო სამართლის მიერ გათვალისწინებული დაცვის საშუალება კი შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული, რადგან ეს იყო „შემთხვევა, როდესაც საფრთხეშია პირადი ცხოვრების ფუნდამენტური ფასეულობები და არსებითი ასპექტები“ და ქმედების ჩადენისგან „ეფექტიანი შეკავება

²⁵⁴ X and Y v. Netherlands, [1985] ECHR (no. 8978/80).

აუცილებელია“.²⁵⁵ სტრასბურგის სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „საკითხი შეეხება „პირადი ცხოვრების“ კონცეფციას, რომელიც გულისხმობს პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას, რაც მის სქესობრივ ცხოვრებას მოიცავს“.²⁵⁶

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განუყოფელი ნაწილია ის, რომ საჯარო ხელისუფლების თვითნებური ჩარევებისგან დაიცვას ინდივიდი. ამ ვალდებულებამ შესაძლოა მოიცვას ისეთი ზომების მიღება, რომლებიც საჭიროა პირადი ცხოვრების პატივისცემის დასაცავად, თუნდაც იმ სფეროში, რომელიც შეეხება ინდივიდების ერთმანეთთან ურთიერთობას. ამრიგად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ურთიერთობებზე კერძო პირებს შორისაც.

*P. and S. v. Poland*²⁵⁷ საქმეში განმცხადებლები არიან ქალიშვილი და დედა. 2008 წელს, თოთხმეტი წლის ასაკში, პირველი განმცხადებელი გაუპატიურების შედეგად დაორსულდა. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ არ არსებობდა ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფდა პირველი განმცხადებლის დროულ და შეუფერხებელ დაშვებას აბორტზე. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) კანონიერი აბორტის ხელმისაწვდომობის თაობაზე, ასევე განმცხადებლების პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს დასაბუთებული, როგორც „კანონის შესაბამისი“ და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მეორე პარაგრაფში ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნისთვის. სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, აუცილებლობის ცნება გულისხმობს იმას, რომ ჩარევა უნდა პასუხობდეს მწვავე

²⁵⁵ *Sartori D.*, Gap-Filling and Judicial Activism in the Case Law of the European Court of Human Rights, 29 TUL. EUR. & CIV. L.F., 2014, 70.

²⁵⁶ *X and Y v. Netherlands*, [1985] ECHR (no. 8978/80), §22.

²⁵⁷ *P. and S. v. Poland*, 2012 [ECHR] (no. 57375/08). 2012.

სოციალურ საჭიროებას და ეს უნდა იყოს პროპორციული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ერთ-ერთ კანონიერ მიზანთან.²⁵⁸

მართალია, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-8 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც აბორტის უფლების მინიჭება, მაგრამ მან დაადგინა, რომ აბორტის აკრძალვა, როდესაც ამას მოითხოვს ჯანმრთელობის მდგომარეობა ან/და კეთილდღეობა ექცევა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების და, შესაბამისად, მე-8 მუხლის ფარგლებში.

4.3.2 „თანხმობა“, როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო იურისტებს შორის ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, „არა ნიშნავს არას“ („no means no“) და მსხვერპლის მიერ წინააღმდეგობის გაწევა აუცილებლობას არ წარმოადგენს, უფრო მეტიც, ფართო მიმდებლობა აქვს ასეთ სტანდარტს - „მხოლოდ დიახ ნიშნავს თანხმობას“ („only yes means yes“). სწორედ ეს მოსაზრება განავითარა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში *M.C. v Bulgaria* ჯერ კიდევ 2003 წელს, რომ „გაუპატიურების დანაშაულის ცენტრალური ელემენტია არა ძალადობა, არამედ თანხმობა“.²⁵⁹

*M.C. v Bulgaria*²⁶⁰ არის პირველი გადაწყვეტილება, სადაც ევროსასამართლო გაუპატიურების დეფინიციას ახდენს, ის „თანხმობის“ მნიშვნელობაზე საუბრობს და გაუპატიურებას აიდენტიფიცირებს, როგორც სექსუალური ავტონომიის დარღვევას, მიუხედავად იმისა, ჩადენილია თუ არა ფიზიკური ძალადობით. ამრიგად, ფოკუსი არის თანხმობაზე დამყარებულ დეფინიციაზე, რომელიც შეიძლება იყოს

²⁵⁸ იქვე. §94.

²⁵⁹ *McGlynn C., Munro V.*, *Rethinking Rape Law International and Comparative Perspectives*, Routledge-Cavendish, London, 2010, 177.

²⁶⁰ *M.C. v. Bulgaria*, 2003 [ECHR] (no. 39272/98).

გაუპატიურების იმ ვიწრო განმარტების პრევენცია, რომელიც კვალიფიკაციისთვის ძალადობის ან მუქარის არსებობას მოითხოვს.²⁶¹

განმცხადებელი (M.C.) ამტკიცებდა, რომ 14 წლის ასაკში იგი გააუპატიურა ორმა პირმა (A-მ და P-მ). საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობდა იმაში, რომ განმცხადებელი 1995 წლის 31 ივლისს, ორ მამაკაცთან და თავის მეგობართან ერთად, იმყოფებოდა ბარში/დისკოთეკაზე. უკან დაბრუნებისას, განმცხადებლის მტკიცებით, ჯერ P-მ აიძულა, მასთან სქესობრივი კავშირი დაემყარებინა, ხოლო მოგვიანებით მეორე პირმა. ორივე მათგანმა M.C.-ის გაუპატიურების ფაქტი უარყო. ისინი ამბობდნენ, რომ M.C. მათთან სქესობრივ კავშირს დათანხმდა. 1997 წლის 17 მარტს საოლქო პროკურორმა შეწყვიტა სამართალწარმოება იმ მიზეზით, რომ „ძალის ან მუქარის გამოყენება არ იყო დადგენილი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით“.²⁶² განმცხადებლის საჩივარი ამ გადაწყვეტილებაზე არ დაკმაყოფილდა.

წერილობითი საექსპერტო დასკვნებით, რომლებიც წარედგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს M.C.-ის მიერ, გამოვლინდა, რომ განმცხადებელს ჰქონდა „გაყინული შიში“ (ტრავმული ფსიქოლოგიური ინფანტილიზმის სინდრომი), როგორც გაუპატიურების ყველაზე გავრცელებული რეაქცია, როცა დაშინებული მსხვერპლი ან პასიურად ემორჩილება მოძალადეს, ან ის ფსიქოლოგიურად ეთიშება გაუპატიურების ფაქტს. განმცხადებელი ამ საქმეზე ამბობდა, რომ ბულგარეთის კანონი და პრაქტიკა არ არის ეფექტიანი დაცვა გაუპატიურებისგან და სექსუალური ძალადობისგან. მხოლოდ იმ შემთხვევების გამოძიება ხდებოდა, სადაც დაზარალებული აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა დამნაშავეს.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ისტორიულად არაერთ ქვეყანაში, კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში, საჭირო იყო გაუპატიურების საქმეებზე ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც დაადასტურებდა ფიზიკური ძალის

²⁶¹ *ჯანეზაშვილი ნ.*, სახელმწიფოს ახელმწიფოს ვალდებულებები ვალდებულებები სქესობრივ სქესობრივ დანაშაულებთან დანაშაულებთან მიმართებით იმართებით ადამიანის ადამიანის უფლებათა უფლებათა ევროპული ევროპული სასამართლოს სასამართლოს პრეცედენტული რეცედენტული სამართლის სამართლის მიხედვით, 2021, <<https://lawandworld.ge/PDF/articlesPDF/8-Nazi-Janezashvili.pdf>> [05.03.2023].

²⁶² იქვე. §80.

გამოყენებას და ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევას. თუმცა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ევროპაში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში არსებობს ცხადი და სტაბილური ტენდენცია იმისა, რომ უარი თქვან ამ სფეროში კანონის ფორმალისტურ განმარტებაზე და ვიწრო ინტერპრეტაციაზე.²⁶³

სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე *M.C. v. Bulgaria* დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა, რადგან მოპასუხე სახელმწიფომ არ შეასრულა ამ დებულებებით განსაზღვრული პოზიტიური ვალდებულებები - „დაიცვას ინდივიდის ფიზიკური ხელშეუხებლობა და პირადი ცხოვრება და უზრუნველყოს ეფექტიანი დაცვის საშუალებები“.²⁶⁴

*I.G. v. Moldova*²⁶⁵ განმცხადებელი არის 1989 წელს დაბადებული პირი, რომელიც იმ მოვლენების დროს, რომელთა გამოც ევროპულ სასამართლოში წარადგინა განაცხადი, იყო 14 წლის. პირმა, რომელთან ერთადაც ის ბარში იმყოფებოდა, ის წააქეზა, არაყი დაელია, მანქანით სახლში დაბრუნებისას კი მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას არ სურდა სქესობრივი კავშირი, მაგრამ ალკოჰოლის ზემოქმედების გამო თავს სუსტად გრძნობდა და არ შეეძლო ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ გაუპატიურების შემდეგ მას მოკვლით ემუქრებოდა, თუ ამ ფაქტს გაახმაურებდა. თუმცა იმავე დღეს განმცხადებელმა დედას უამბო, რომელმაც მოგვიანებით საჩივარი შეიტანა პოლიციაში. გამოძიება დაიწყო არასრულწლოვანის გაუპატიურების დანაშაულის თაობაზე. ექსპერტიზის დასკვნებისა და საჩივრის საფუძველზე, V.R. ბრალდებულად იქნა ცნობილი არასრულწლოვანის გაუპატიურებისთვის. პროკურორის გადაწყვეტილებით, განმცხადებელს დამატებითი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა, მას სხეულზე სისხლჩაქცევები და დაზიანებები არ აღმოაჩნდა, თუმცა ის ამტკიცებდა, რომ სქესობრივი კავშირი მისი თანხმობით არ ყოფილა.

²⁶³ იქვე. §156.

²⁶⁴ იქვე. §109.

²⁶⁵ *I.G. v. Moldova*, 2012 [ECHR] (no. 53519/07).

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი და აღნიშნა, რომ სქესობრივი კავშირი ემყარებოდა ორმხრივ თანხმობას, რადგან არ აღმოჩენილა ფიზიკური ძალადობის კვალი მის სხეულზე, რაც დადასტურებულია სასამართლო ექსპერტიზის დასკვნით. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი V.R.-ს წინააღმდეგ მხოლოდ იმ დანაშაულის ჩადენისთვის, რომელიც თექვესმეტ წლამდე ასაკის პირთან სქესობრივ კავშირს გულისხმობს და არა გაუპატიურებას.²⁶⁶

განმცხადებელმა სააპელაციო სასამართლოს მიმართა და ამტკიცებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მისი მოწყვლადი მდგომარეობა ალკოჰოლის ზემოქმედების გამო და ასევე გათვალისწინებული არ ყოფილა მისი ასაკი. მისი თქმით, სასამართლო სქესობრივ კავშირზე თანხმობის საკითხს მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულების პერსპექტივიდან უყურებდა.²⁶⁷ საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ მისი საჩივარი არ მიიღო. განმცხადებელს, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ, დასჭირდა ფსიქოლოგის და ფსიქიატრის დახმარება; ის განიცდიდა პოსტ-ტრავმულ სტრესულ აშლილობას, რადგან დამნაშავე სათანადოდ არ დაისაჯა, ასევე საჯაროდ დამცირების გამო, რომელსაც ის განიცდიდა საქმეზე შიდა პროცედურების დროს.²⁶⁸

სასამართლომ, V.R.-ს ბრალეულობის შესახებ აზრის გამოთქმის გარეშე, დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, ვინაიდან სახელმწიფომ არ შეასრულა პოზიტიური ვალდებულებები, რაც გულისხმობს გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის შემთხვევის ეფექტიან გამოძიებას და დამნაშავეს დასჯას.

*E.B. v. Romania*²⁶⁹ გადაწყვეტილებით, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის და მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. განაცხადი შეეხებოდა გაუპატიურების ბრალდებებს, რომლებიც სათანადოდ არ იქნა გამოძიებული, რითაც დაზარალებულის პროცედურული უფლებები დაირღვა. ვინაიდან გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო ინტელექტუალური შეფერხების მქონე,

²⁶⁶ იქვე. §23.

²⁶⁷ იქვე. §25.

²⁶⁸ იქვე. §29.

²⁶⁹ E.B. v. Romania, 2019 [ECHR] (no. 49089/10).

მისი საქმე საჭიროებდა კონტექსტ-სენსიტიურ გამოძიებას, რაც ასე არ მომხდარა. T.F.S.-მ, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო გაუპატიურებისთვის, პოლიციაში განაცხადა, რომ განმცხადებელი თანახმა იყო მასთან სქესობრივ კავშირზე. ამასთან, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული იყო, რომ „გაუპატიურებისთვის დამახასიათებელი დაზიანებები“ განმცხადებელს არ აღმოაჩნდა.²⁷⁰ საბოლოოდ საქმეზე გამოძიება შეწყდა და განმცხადებელს პირველი ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოებისთვის სასამართლო ხარჯების გადახდაც კი დაევალა.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების ვალდებულება, რომელიც კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებიდან გამომდინარეობს, გაგებული უნდა იქნეს როგორც მოთხოვნა, რომ დაისაჯოს ნებისმიერი არაკონსენსუალური სექსუალური ქმედება და განხორციელდეს ეფექტიანი დევნა, მათ შორის, დაზარალებულის ფიზიკური წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაშიც. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „ნებისმიერი ხისტი მიდგომა სქესობრივი დანაშაულის გამოძიების დროს, როგორცაა ყველა შემთხვევაში ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის მტკიცებულების მოთხოვნა, იწვევს რისკს, რომ გარკვეული ტიპის გაუპატიურების შემთხვევები დაუსჯელი დარჩება და, მაშასადამე, საფრთხეს შეუქმნის ინდივიდის სექსუალურ ავტონომიას.“²⁷¹

4.3.3 არაეფექტიანი გამოძიება სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე

*P.M. v. Bulgaria*²⁷² გადაწყვეტილებაში მომჩივანი ბულგარეთის მოქალაქეა. როდესაც განმცხადებელი იყო 13 წლის, ის წავიდა წვეულებაზე 21 წლის მამაკაცის სახლში; მას ჯერ ერთ-ერთი სტუმარი, 17 წლის ბიჭი დაემუქრა და გააუპატიურა,

²⁷⁰ იქვე. §16.

²⁷¹ იქვე. §56.

²⁷² P.M. v. Bulgaria, 2012 [ECHR] (no. 49669/07).

შემდეგ ის სცემა მასპინძელმა, რომელმაც ასევე სცადა მისი გაუპატიურება. პროკურორმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე ორი ადამიანის წინააღმდეგ, თუმცა გამოძიება შეწყდა რამდენიმე თვეში, რადგან ერთ-ერთი პირი ვერ მოძებნეს.

რვა წლის შემდეგ სისხლის სამართალწარმოება განახლდა, რომელიც პროკურორმა შეწყვიტა ერთ-ერთი ბრალდებულის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის მოტივით. მოგვიანებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება კვლავ განახლდა. 2005 წელს ერთ-ერთი ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი გაუპატიურების ბრალდებით, მაგრამ გათავისუფლდა პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მეორე ბრალდებულს დამნაშავედ ცნო სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებებში გაუპატიურების მცდელობისათვის და ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ მის წინააღმდეგ სამართალწარმოება შეწყვიტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის საქმეზე გამოძიება იყო არაეფექტიანი. სასამართლომ დაადგინა, რომ ბულგარეთის ხელისუფლების უმოქმედობა იყო თვითნებობის ზღვარზე, განსაკუთრებით გათვალისწინებული იქნა ფაქტების სიმძიმე და განმცხადებლის ასაკი. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეთა ვინაობა იქნა დადგენილი, გაუპატიურების შემთხვევიდან მრავალი წლის გასვლის გამო ძნელია, რომ გამოძიება მიჩნეულ იქნეს ეფექტიანად, რადგან გამოძიების შედეგად შეუძლებელია პასუხისმგებელი პირების სათანადო დასჯა.²⁷³ შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულებების შეუსრულებლობას.

*M. and others v. Italy and Bulgaria*²⁷⁴ საქმეზე მომჩივნები, რომლებიც არიან ბულგარეთის მოქალაქეები, ამტკიცებდნენ, რომ იტალიაში სამუშაოს საძებნელად ჩასვლის შემდგომ, მათი ქალიშვილი იარაღის მუქარით დააკავეს კერძო პირებმა და

²⁷³ იქვე. §66.

²⁷⁴ *M. and others v. Italy and Bulgaria*, 2012 [ECHR] (no. 40020/03).

მასზე განხორციელდა სექსუალური ძალადობა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ იტალიის ხელისუფლებამ ვერ შეძლო მოვლენების ადეკვატურად გამოძიება. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის ხელისუფლებამ ეფექტიანად არ შეისწავლა განმცხადებლების საჩივრები იმის თაობაზე, რომ მათ შვილს, რომელიც იმ დროს არასრულწლოვანი იყო, არაერთგზის სცემეს და გააუპატიურეს. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, მისი პროცედურული ვალდებულებების შეუსრულებლობის თვალსაზრისით. კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნას, რომ ხელისუფლებამ გამოიძიოს არასათანადო მოპყრობის საქმეები. გამოძიების მინიმალური სტანდარტები, რომლებიც განისაზღვრება სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, მოიცავს მოთხოვნებს, რომ გამოძიება იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, უნდა არსებობდეს საზოგადოების მხრიდან კონტროლის შესაძლებლობა და კომპეტენტური ორგანოები უნდა მოქმედებენ სამაგალითო მონდომებით და ოპერატიულობით. გარდა ამისა, იმისთვის, რომ გამოძიება ქმედითად ჩაითვალოს, ხელისუფლებამ უნდა გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი შემთხვევის შესახებ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რაშიც იგულისხმება, inter alia, მსხვერპლის დეტალური განცხადება, თვითმხილველთა ჩვენებები, სასამართლო მტკიცებულებები და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი სამედიცინო დასკვნები.²⁷⁵

არაეფექტიანი გამოძიების მაგალითია გადაწყვეტილება *W. v. Slovenia*.²⁷⁶ ის შეეხება სისხლის სამართლის საქმეს მამაკაცთა ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებმაც 18 წლის განმცხადებელი გააუპატიურეს. განმცხადებლის მტკიცებით, სისხლის სამართლის საქმის დიდი ხნით შეფერხებამ გამოიწვია სახელმწიფოს ვალდებულების შეუსრულებლობა, რათა ეფექტიანად დაედგინა მის წინააღმდეგ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულები. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს გადაეცა კომპენსაცია ეროვნულ დონეზე, მან ხანგრძლივი პროცესის გამო მიიჩნია, რომ 5000 ევროს ოდენობის კომპენსაცია არ შეიძლება მოიაზრებოდეს საკმარის ღონისძიებად. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3

²⁷⁵ იქვე. §100.

²⁷⁶ *W. v. Slovenia*, 2014 [ECHR] (no. 24125/06).

მუხლის პროცედურულ დარღვევას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთ-ერთ საქმეზე *M.A. and N.D. v. Slovenia (2015)* მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პროცედურული კუთხით, ვინაიდან გაუპატიურების ფაქტზე სისხლის სამართლის სამართალწარმოების პროცესი ერთ შემთხვევაში, დაახლოებით, 26 წელი მიმდინარეობდა, ხოლო მეორე შემთხვევაში - ცხრა წელზე მეტხანს. ასევე საინტერესოა *B.V. v. Belgium (2017)* გადაწყვეტილება, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ დარღვევას უკავშირდება, გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ძალადობის ფაქტებზე არაეფექტიანი გამოძიების ჩატარების გამო. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ „ყველა საგამოძიებო მოქმედება, რომელიც მას შემდეგ ჩატარდა, რაც მომჩივანმა მოითხოვა მხარის სტატუსით სამართალწარმოების პროცესში ჩართვა, განხორციელდა დაგვიანებით, საქმეზე სიმართლის დადგენის მიზნით თანმიმდევრული საგამოძიებო გეგმის არარსებობის პირობებში. სასამართლოს მოსაზრებით, მსგავს გარემოებებში გამოძიება ვერ იქნებოდა მიჩნეული სრულყოფილად და საფუძვლიანად ჩატარებულად.“²⁷⁷

4.3.4 სქესობრივი დანაშაული და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი

ზიანის ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით გაუპატიურების საქმეებისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. ევროპული სასამართლოს პრეცედენტების მიხედვით, გაუპატიურება მიიჩნევა წამებად იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია სახელმწიფო მოხელის მიერ, ხოლო არაადამიანურ მოპყრობად - კერძო პირის მიერ ჩადენის შემთხვევაში.²⁷⁸ განსხვავება „წამებასა“ და „არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას“ შორის განისაზღვრება ქმედებების სიმძიმის საფუძველზე. ქვემოთ განხილული საქმე წარმოაჩენს, რომ რიგ

²⁷⁷ *B.V. v. Belgium*, 2017 [ECHR] (no. 61030/08).

²⁷⁸ *McGlynn C., Munro V.*, *Rethinking Rape Law International and Comparative Perspectives*, Routledge-Cavendish, London, 2010, 113.

შემთხვევაში გაუპატიურების ერთეული ფაქტიც კი შეიძლება მიჩნეული იქნეს წამებად, მისი სიმწვავიდან გამომდინარე. ხოლო, გაუპატიურების მასობრივი შემთხვევა შესაძლოა შეფასდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად, როგორც ეს კვიპროსის²⁷⁹ საქმეში მოხდა.

*Aydin v. Turkey*²⁸⁰ არის ევროპული სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება, სადაც თქვა, რომ სახელმწიფო მოხელის ან სხვა ოფიციალური სტატუსით მოქმედი პირის მიერ ჩადენილი გაუპატიურების აქტი წარმოადგენს წამების ფორმას. ამ გადაწყვეტილებამ შეცვალა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტების მიდგომები გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის შემთხვევების ინტერპრეტირებისა თუ ბრალდებების სერიოზულობის თვალსაზრისით. ეს ქმედებები მარტივად აღარ მიიჩნევა მხოლოდ ისეთ დანაშაულად, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ასეთი ქმედებები არის ადამიანის უფლებების დარღვევა.²⁸¹ ამ საქმეზე განმცხადებელი თურქეთის მოქალაქეა, რომელიც შემთხვევის დროს 17 წლის იყო და ცხოვრობდა მშობლებთან ერთად. მას, რომელიც ძალით წაიყვანეს სახლიდან ჟანდარმერიის შტაბში და დააშორეს ოჯახს, სამ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში სასტიკად სცემდნენ. ის გააშიშვლეს და ცივი წყლის ჭავლი მაღალი წნევით შეასხურეს, რის შემდგომაც დაკითხვის ოთახში ორჯერ გააუპატიურეს. ამის შემდგომ, პროკურორის გადაწყვეტილებით, განმცხადებელს რამდენჯერმე ჩაუტარდა „ქალწულობის ტესტი“. ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ საფუძველი ჩაუყარა იმ ხედვის განვითარებას, რომ ასეთ „ტესტირებას“ არანაირი სამეცნიერო მნიშვნელობა არ გააჩნია და უფრო მეტიც, ის არის დისკრიმინაციული და არღვევს ადამიანის უფლებებს.²⁸²

„სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის მიერ პატიმრის გაუპატიურება უნდა ჩაითვალოს არაადამიანური მოპყრობის განსაკუთრებით მძიმე და დასაგმობ ფორმად, იმის გათვალისწინებით, რომ დამნაშავეს ადვილად შეუძლია

²⁷⁹ Cyprus v Turkey, 1982 [ECHR].

²⁸⁰ Aydin v. Turkey, 1997 [ECHR].

²⁸¹ Tackling Violence against Women <<https://blogs.lse.ac.uk/vaw/landmark-cases/a-z-of-cases/aydin-v-turkey/a>> [05.05.2021].

²⁸² იქვე.

გამოიყენოს თავისი მსხვერპლის მოწყვლადობა და წინააღმდეგობის გაწევის დასუსტებული უნარი. გარდა ამისა, გაუპატიურება ტოვებს ღრმა ფსიქოლოგიურ იარებს, რომელთა აღმოფხვრაც ისე სწრაფად არ ექვემდებარება დროის გასვლას, როგორც ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის სხვა ფორმები.²⁸³

განმცხადებლის წინააღმდეგ აკუმულირებული განზრახი ქმედებები განსაკუთრებით დამაშინებელი და დამამცირებელი იყო, რაც მას მუდმივ ფიზიკურ ტკივილსა და ფსიქიკურ ტანჯვას აყენებდა - განსაკუთრებით მხედველობაში მისაღებია განმცხადებლის ასაკი, სქესი და ის გარემოებები, რაშიც ის იმყოფებოდა. სასამართლომ დაადასტურა დაკავებულის გაუპატიურება, როგორც „განსაკუთრებით მძიმე და შეუთავსებელი მოპყრობის ფორმა“. ასევე, აღნიშნა მსხვერპლის ფიზიკური და ემოციური ტანჯვის, ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ტრავმის შესახებ, რომელსაც დაზარალებული განიცდიდა.

წამების უფლების აბსოლუტური ხასიათისა და ასევე იმის გათვალისწინებით, და რომ განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან წამების მსხვერპლნი, ამ უფლებასთან დაკავშირებით არსებულ ნებისმიერ საჩივარზე სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ საფუძვლიანი და ეფექტიანი გამოძიება, რაც მოიცავს არა მხოლოდ სათანადო მტკიცებულებების შეგროვებას, არამედ დაზარალებულის კომპეტენტურ და დამოუკიდებელ ექსპერტიზას „ყველა სათანადო სენსიტიურობით“.²⁸⁴ აღნიშნულ საქმეზე ქვეყნის შიგნით უნდა მომხდარიყო მსხვერპლის ფსიქოლოგიური და ემოციური მდგომარეობის შეფასება, დაზიანებების დოკუმენტირება და გამოცდილი სამედიცინო პრაქტიკოსის შეფასება, თუ რამდენად იყო განმცხადებელი გაუპატიურების მსხვერპლი. ამ შემთხვევაში კი, აშკარა იყო, რომ პროკურორის მოთხოვნები სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებაზე მიზნად არ ისახავდა ზემოაღნიშნულის დადგენას.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია მე-3 მუხლის დარღვევა მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის, განსაკუთრებით

²⁸³ Aydin v. Turkey, 1997 [ECHR], §83.

²⁸⁴ იქვე. §107.

გაუპატიურების გამო, რომელიც წამების ტოლფასია. გარდა ამისა, დაადგინა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლის, ეფექტიანი დაცვის საშუალებების უფლების დარღვევა, საქმეზე ჩატარებული არაეფექტიანი გამოძიების გამო.

Maslova and Nalbandov v. Russia ²⁸⁵ საქმეზე განმცხადებლები მასლოვა და ნალბანდოვი, არიან რუსეთის მოქალაქეები. აღნიშნული საქმე შეეხებოდა მასლოვას განცხადებას, რომ იგი პოლიციელმა და პროკურატურის წარმომადგენელმა არაერთხელ გააუპატიურეს და სასტიკად მოეპყრნენ და რომ მის ბრალდებებზე გამოძიება არაადეკვატური იყო. მასლოვა, რომელიც მკვლელობის საქმის მოწმე იყო, გამოიძახეს დაკითხვაზე პოლიციის განყოფილებაში. პოლიციელები მას დაემუქრნენ, სცემეს და გააუპატიურეს. როდესაც მისი საქმე გადაეცა პროკურატურის ორგანოებს, დაკითხვის დასრულების შემდეგ პროკურატურის თანამშრომლებმა მიიღეს ალკოჰოლური სასმელი და გააუპატიურეს. პირველმა განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა პროკურატურაში, გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო და გამოიკითხნენ მოწმეები. მტკიცებულებების შეგროვებისა და ექსპერტიზის დასკვნის შემდგომ, 2000 წლის 25 აპრილს, ოთხ ბრალდებულ ოფიცერს ოფიციალურად წაუყენეს ბრალი. თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულის გარკვეული უფლებები იყო დარღვეული, კერძოდ, პროკურატურის ოფიცრების წინააღმდეგ სამართალწარმოების სპეციალური პროცედურა არ იყო დაცული. შიდა საპროცესო პროცედურული წესების დარღვევა ნიშნავდა იმას, რომ ყველა შეგროვილი მტკიცებულება დაუშვებლად იქნა ცნობილი. საქმე გადაიგზავნა ახალი გამოძიებისთვის, მაგრამ მოგვიანებით აღარ გაგრძელებულა მტკიცებულებების არარსებობის გამო.

საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2001 წლის 10 ივლისს წარედგინა. სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა შთამბეჭდავი და არაბუნდოვანი მტკიცებულებები მოვლენების დასადასტურებლად პირველი განმცხადებლის ვერსიის მიხედვით. საქმეზე სამართალწარმოების პროცესის დაწყება და ბოლოს შეწყვეტა მიუთითებს იმაზე, რომ მისი ბრალდებები დამაჯერებელი იყო.

²⁸⁵ Maslova and Nalbandov v. Russia, 2008 [ECHR].

მტკიცებულებები დაუშვებლად იქნა ცნობილი მხოლოდ პროცედურული ხარვეზების გამო.

„სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პატიმრობაში მყოფი პირის გაუპატიურება სახელმწიფო მოხელის მხრიდან, უნდა ჩაითვალოს არასათანადო მოპყრობის განსაკუთრებით მძიმე და ამაზრზენ ფორმად ... დამნაშავეს შეუძლია ისარგებლოს მსხვერპლის მოწყვლადობითა და სისუსტით... ამასთან, მსხვერპლი განიცდის ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ძალადობრივი აქტისას, რაც უტოვებს დამცირებისა და ძალადობის განცდას, როგორც ფიზიკურ, ასევე ემოციურ დონეზე.“²⁸⁶ პირველი განმცხადებლის მიმართ ფიზიკური ძალადობის აქტების ნაკრები და განსაკუთრებით სასტიკი ქმედება - არაერთი გაუპატიურება - უტოლდება წამებას, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით.

4.3.5 სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება

*O’Keeffe v. Ireland*²⁸⁷ ეს საქმე ეხებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას 9 წლის ასაკის სკოლის მოსწავლეზე სექსუალურ ძალადობაზე, რომელსაც ახორციელებდა მასწავლებელი ირლანდიის ეროვნულ სკოლაში 1973 წელს. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ირლანდიის სახელმწიფომ ვერ შეძლო ისე მოეწესრიგებინა დაწყებითი განათლების სისტემა, რომ ის ძალადობისგან დაეცვა, აგრეთვე მართლმსაჯულების სისტემამ არასათანადო მოპყრობაზე შესაბამისი რეაგირება არ მოახდინა. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-13 (ეფექტური დაცვის საშუალება) მუხლები. ირლანდიის სახელმწიფომ განმცხადებელი ვერ დაიცვა სექსუალური ძალადობისგან და განმცხადებელმა ვერ შეძლო ეროვნულ დონეზე მიეღწია სახელმწიფოს მხრიდან ამ მარცხის აღიარებისთვის.

²⁸⁶ იქვე. §104-105.

²⁸⁷ *O’Keeffe v. Ireland*, 2014 [ECHR].

*I.P. v. the Republic of Moldova*²⁸⁸ საქმეში განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები, ვინაიდან გაუპატიურების თაობაზე არსებულ ბრალდებებთან დაკავშირებით სათანადო გამოძიება არ ჩატარებულა. ამასთანავე, განმცხადებელი ჩიოდა, რომ არ არსებობდა დაცვის ეფექტიანი საშუალებები ისე, როგორც ამას მოითხოვდა კონვენციის მე-13 მუხლი. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-13 მუხლის დარღვევა და მიუთითა, რომ გამოძიება იყო პრობლემური სხვადასხვა მიზეზების გამო. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ საჩივრის მიღებისთანავე გამოძიება არ დაწყებულა. როგორც ჩანს, ბრალდებები საკმარისად სერიოზულად არ მიიჩნიეს. ეს მოხდა თავდაპირველ სამედიცინო დასკვნაში არსებული მითითების მიუხედავად, რომ აპლიკანტის ფიზიკური მდგომარეობა მასზე განხორციელებულ ძალადობასა და გაუპატიურებაზე მიანიშნებდა. სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა, რომ „განმცხადებლის მიერ გაუპატიურების ბრალდების გარემოებების გამოძიების არაადეკვატურობის გათვალისწინებით, სამოქალაქო სარჩელს იმავე ფაქტებსა და ბრალდებებთან მიმართებით, წარმატების არანაირი პერსპექტივა არ ექნებოდა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არის ნაჩვენები, რომ არსებობდა ეფექტიანი საშუალებები, რომლებიც განმცხადებელს შესაძლებლობას მისცემდა, მოეთხოვა კომპენსაცია სავარაუდო გაუპატიურებისთვის“.²⁸⁹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ ხელი უნდა შეუწყოს სისხლის სამართლის მიდგომების ჩამოყალიბებას და განვითარებას, მისი მეშვეობით შესაძლებელია სისხლის სამართლის ფარგლების განსაზღვრა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა წინამდებარე ნაშრომში აღწერილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარება და მიდგომები სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით, ასევე ის, თუ როგორ პასუხობს ევროსასამართლო თანამედროვე გამოწვევებს და როგორ განმარტავს ამა თუ იმ ქმედებას. ზოგიერთ საქმეზე შესაძლოა, ერთი შეხედვით რჩებოდეს შთაბეჭდილება, რომ არაეფექტიანი გამოძიების ჩატარების გამო სასამართლოს აქვს ტრადიციული

²⁸⁸ *I.P. v. the Republic of Moldova*, 2015 [ECHR].

²⁸⁹ იქვე. §42.

მიდგომა, რათა დაადგინოს ადამიანის უფლებების დარღვევა, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით სასამართლოს დასაბუთებას, აღმოჩნდება, რომ ეს ასე არ არის. ხშირ შემთხვევაში სასამართლო აღიარებს, რომ საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა პოტენციურად ეფექტიანი გზით, მაგრამ, მაგალითად, *M.C. v. Bulgaria* საქმეზე გამოძიების არაეფექტიანობა მდგომარეობდა იმაში, რომ საგამოძიებო მოქმედებები ab initio დაზარალდა იმის გამო, რომ არსებობდა „მსხვერპლის მიერ თანხმობის პრეზუმფცია“, რადგან არ მოიპოვებოდა მტკიცებულებები, რომლებიც დაზარალებულის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევას დაადასტურებდა.²⁹⁰

ამრიგად, საყურადღებოა ამ თავში განხილული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით; ასევე ის, თუ როგორ განმარტავს სტრასბურგის სასამართლო სქესობრივი დანაშაულების ამა თუ იმ საქმეში არსებულ დარღვევებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და საერთო სასამართლოების პრაქტიკა ცხადად წარმოაჩენს იმ პრობლემას, რომელიც მოძველებულ მიდგომებს უკავშირდება სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე აუცილებელია, გატარდეს ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, ასევე, ფუნდამენტურად უნდა შეიცვალოს მიდგომები გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, რათა სამომავლოდ სქესობრივი დანაშაულების საქმეებში პრაქტიკა დაეფუძნოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.

²⁹⁰ *Pitea C.*, Rape as a Human Rights Violation and a Criminal Offence: The European Court's Judgment in *M.C. v. Bulgaria*, 3(2) *Journal of International Criminal Justice*, 2005, 454.

თავი V. სქესობრივ დანაშაულებთან ბრძოლის გამოცდილება

5.1. დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა

უამრავი ქალის ცხოვრების ფორმირებაზე გავლენას ახდენს გაუპატიურების საფრთხის შიში.²⁹¹ ძალადობრივი გაუპატიურების შესახებ კანონი და მისი გამოყენება, ორივე თანაბრად, განპირობებულია იმ ურთიერთობებით, რომელიც ქალსა და კაცს შორის არსებობს ამა თუ იმ საზოგადოებაში.²⁹² შესაბამისად გაუპატიურების მარეგულირებელი ნორმები დიდწილად ეფუძნება ტრადიციულ დამოკიდებულებებს, სოციალურ როლებსა და სექსუალურ ზნე-ჩვეულებებს; კანონის სტრუქტურა გამომდინარეობს ვარაუდებიდან დანაშაულისა და მოტივის შესახებ.²⁹³ სამწუხაროდ, ხშირად იგნორირებულია ის, რომ გაუპატიურების მარეგულირებელი ნორმები, ნაცვლად იმისა რომ დაიცვას ქალის სექსუალური თავისუფლება, შეიძლება დამაბრკოლებელ გარემოებადაც კი იქცეს დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისთვის.²⁹⁴

2013 წლის იანვარში, დიდ ბრიტანეთში იუსტიციის სამინისტრომ და ეროვნული სტატისტიკის ოფისმა გამოაქვეყნეს პირველი ერთობლივი ოფიციალური ბიულეტენი, რომელიც მიმოიხილავდა სქესობრივი დანაშაულის მდგომარეობას ინგლისსა და უელსში. ბიულეტენი ორ კატეგორიად ყოფდა სქესობრივ დანაშაულებს: „ყველაზე სერიოზული“ (გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის შემთხვევები) და „სხვა სქესობრივი დანაშაულები“ (ექსპოზიცია, ვოიერიზმი და ა.შ.). მასში აღნიშნული იყო, რომ ყოველწლიურად 400 000-ზე მეტი ქალი ხდება სექსუალური

²⁹¹ *LeGrand C.*, Rape and Rape Laws: Sexism in Society and Law, *California Law Review*, Vol. 61, No. 3, 1973, <<https://www.jstor.org/stable/3479776>> [02.02.2023], 919.

²⁹² იქვე.

²⁹³ იქვე.

²⁹⁴ იქვე.

ძალადობის მსხვერპლი; 5 ქალიდან ერთს (16-59 წლის) განუცდია რაიმე სახის სექსუალური ძალადობა 16 წლის ასაკიდან.²⁹⁵

სქესობრივი დანაშაულის დეფინიცია დიდ ბრიტანეთში დროთა განმავლობაში იცვლებოდა; გარდამტეხი იყო 2000 წელი, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა გადახედა კანონმდებლობას და სექსუალური ძალადობის შესახებ ყველა კანონი გააერთიანა 2003 წლის სქესობრივი დანაშაულების აქტში.²⁹⁶ ამ აქტის თანახმად, გაუპატიურებად მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც პირი ახდენს განზრახ პენეტრაციას (მაგ. ვაგინაში, ანუსში, პირის ღრუში) მსხვერპლის თანხმობის გარეშე და არ არის დარწმუნებული (არ აქვს გონივრული ვარაუდი), რომ მსხვერპლი თანახმაა. ხოლო არის თუ არა ვარაუდი გონივრული, ეს უნდა განისაზღვროს ყველა გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის დამნაშავეს მიერ განხორციელებული ქმედებების მიხედვით, რომლითაც ის ცდილობდა დაედგინა, თანახმა იყო თუ არა დაზარალებული. ამავე კანონის თანახმად, ამ დანაშაულისთვის მაქსიმალური სასჯელი უვადო თავისუფლების აღკვეთაა.²⁹⁷ იმ შემთხვევაში, როდესაც სექსუალური პენეტრაცია ხდება როგორც ვაგინაში, ასევე ანუსში, ასეთ დროს გაუპატიურება ცალკეულ შემთხვევებზე კვალიფიცირდება. სააპელაციო სასამართლომ, საქმეზე R v. K (2008) დაადგინა, რომ იქ, სადაც გაურკვეველი იყო სხეულის რომელ ნაწილში მოხდა პენეტრაცია, დასაშვებია მიეთითოს „ვაგინა ან ანუსი“. ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ გამოიტანონ გამამტყუნებელი განაჩენი, თუ დარწმუნდებიან რომ პენეტრაცია ერთ-ერთ შემთხვევაში მაინც განხორციელდა მსხვერპლის თანხმობის გარეშე.²⁹⁸ ცალკეა გამოყოფილი დანაშაული, რომელიც პენეტრაციით ძალადობას გულისხმობს. ამ შემთხვევაში შელწევა უნდამოხდეს ვაგინაში ან ანუსში, მაგრამ არა პირის ღრუში სხეულის ნებისმიერი ნაწილით ან ნებისმიერი საგნით. დამნაშავე დაისჯება იმის გამო, რომ მომჩივანი არ არის დარწმუნებული თუ რა საშუალებით მოხდა პენეტრაცია,

²⁹⁵ *Terry T., Sex Crime*, Third edition, Routledge, Typeset in Bembo by Taylor & Francis Books, New York, 2016, 22.

²⁹⁶ იქვე.

²⁹⁷ Sexual Offences Act 2003, UK, <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/2003/42/section/1>> [05.02.2023]

²⁹⁸ Rape and Sexual Offences - Chapter 7: Key Legislation and Offences <<https://www.cps.gov.uk/legal-guidance/rape-and-sexual-offences-chapter-7-key-legislation-and-offences>> [21.05.2021]

მაგრამ არსებობს საკმარისი მტკიცებულება დანაშაულის გაუპატიურებად დაკვალიფიცირებისთვის. ამ შემთხვევაშიც სასჯელის მაქსიმალურ ზომად გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა.

სექსუალური ძალადობა მოიცავს შეხებას, რომელიც ფართოდ არის განსაზღვრული და გულისხმობს სხვა ადამიანის შეხებას სხეულის რომელიმე ნაწილით, ან სხვა საშუალებით. საქმეში R v. H (Karl Anthony) (2005) სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ჩაცმულ მსხვერპლზე შეხება, სექსუალური ძალადობის ფორმაა. ასეთ დროს შეხება პენეტრაციის ტოლფასია. როდესაც არსებობს საკმარისი მტკიცებულებები - პენეტრაცია ვაგინაში, ანუსში ან პირის ღრუში, ეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს გაუპატიურებად; ხოლო პენეტრაცია ვაგინაში ან ანუსში სხეულის რომელიმე ნაწილით ან ნებისმიერი საგნით დაკვალიფიცირდება, როგორც ძალადობა შეღწევით. სექსუალური ძალადობისთვის მაქსიმალური სასჯელის ზომად გათვალისწინებულია 10 წელი. დანაშაულის ზუსტი ხასიათი, რომელშიც სექსუალური შეხება იგულისხმება, იქნება გადამწყვეტი ფაქტორი ძალადობის სიმძიმის შესაფასებლად.²⁹⁹

თანხმობის გარეშე სექსუალური აქტივობა ნებისმიერი ფორმით ისჯება, მაქსიმუმ, თავისუფლების აღკვეთით 10 წლის ვადით, ხოლო თანხმობის გარეშე სექსუალური აქტივობისთვის, როდესაც ადგილი აქვს პენეტრაციას, მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა.

გარდა ამისა, სქესობრივი დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ სიტყვებით, მაგალითად ბრალდებული აიძულებს მსხვერპლს განახორციელოს სექსუალური მოქმედება, რომელშიც ჩართულია მხოლოდ მსხვერპლი, რამაც შეიძლება წარმოქმნას ორი სხვადასხვა ტიპის დანაშაული - პენეტრაციული და არაპენეტრაციული. შესაბამისად სასჯელის ზომაც ამის მიხედვით იქნება განსაზღვრული (როგორც უკვე აღინიშნა პენეტრაციულის შემთხვევაში მაქსიმალური სასჯელის სახე უვადო თავისუფლების აღკვეთაა).³⁰⁰ ამრიგად, ამ დანაშაულის ერთ-

²⁹⁹ იქვე. მე-3 სექცია.

³⁰⁰ იქვე. მე-4 სექცია.

ერთი მიზანი, გარდა იმისა, რომ ის მოიცავს სექსუალური აქტივობის ფართო სპექტრს, არის ქალის გაუპატიურების ეკვივალენტი დანაშაულის ცნების განსაზღვრა, რომელიც იმავე დონის სასჯელს ითვალისწინებს.³⁰¹

1980 წელს ვაშინგტონის შტატმა (აშშ) მიიღო კომპლექსური საკანონმდებლო აქტი სექსუალური მოძალადეების შესახებ.³⁰² საზოგადოების დაცვის აქტი სამ ძირითად დებულებებისგან შედგებოდა:

1. მსჯავრის დადება: სასჯელები სქესობრივი დანაშაულისთვის გაიზარდა; ასევე, მოიცავდა ისეთ ქმედებებს, რომლებიც თავისი არსით არ იყო სქესობრივი დანაშაული, თუმცა ასეთ დანაშაულებთან იყო დაკავშირებული.
2. რეგისტრაცია და შეტყობინება: სექსუალური მოძალადეებს, რომლებიც გათავისუფლდნენ საპატიმრო დაწესებულებიდან, სასჯელის მოხდის შემდგომ, ეკისრებოდათ პოლიციაში რეგისტრაციის ვალდებულება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაბამის ორგანოში;
3. სექსუალური ბოროტმოქმედი: პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო სქესობრივი დანაშაულისათვის და მოიხდა სასჯელი, შეიძლება დაქვემდებარებულიყო სამოქალაქო სამართალწარმოებას, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, იმის განსაზღვრად, თუ რამდენად იყო ის სექსუალურად მოძალადე.

კანადასა და ბევრი სხვა ქვეყნის იურისდიქციაში სქესობრივი დანაშაული წარმოადგენს თანხმობის გარეშე სქესობრივი კონტაქტის ლეგალურ კლასიფიკაციას,³⁰³ რომლის დიაპაზონი შეიძლება იყოს თანხმობის გარეშე სქესობრივი შეხებიდან დაწყებული, თანხმობის გარეშე პენეტრაციული სქესობრივი კავშირით დამთავრებული. აქცენტები აფირმაციულ ანუ პოზიტიურ თანხმობაზე ასახულია თანხმობის ლეგალური დეფინიციის სახით კანადის სისხლის სამართლის

³⁰¹ იქვე.

³⁰² Scheingold O., Pershing J., Sexual Violence, Victim Advocacy, and Republican Criminology: Washington State's Community Protection Act, *Law & Society Review*, vol. 28, no. 4, p. 729, 1994 <<https://search.ebscohost.com/login.aspx?direct=true&db=lgs&AN=9502205722&site=ehost-live>> [05.08.2022].

³⁰³ *Ezzat A.*, *Criminology: Past, Present and Future, A Critical Overview*, Fattah School of Criminology Simon Fraser University British Columbia, Canada, 1997, 158.

კოდექსში.³⁰⁴ დღეისათვის კანადის სს კოდექსი თანხმობას შემდეგნაირად განმარტავს „მომჩივნის ნებაყოფლობითი თანხმობა, რომ ჩაერთოს მოცემულ სქესობრივ აქტივობაში“. კანადის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თანხმობა უნდა იყოს „ნამდვილი და მიმდინარე“ სქესობრივი კონტაქტის მიმდინარეობის დროს (საქმე R.v.J.A., 2011). კანადის სს კოდექსი ასევე ადგენს, თუ რას ნიშნავს თანხმობა, მაგალითად, თანხმობის არსებობა შეიძლება გამოხატული იქნეს „სიტყვებით ან ქცევით“. ამიტომ სქესობრივი კავშირი არ უნდა გაგრძელდეს, თუ პირი ვერბალურად ან/და თავისი ქმედებებით გამოხატავს უარს სქესობრივი აქტივობის გაგრძელებაზე. ამავე დროს კანადის სისხლის სამართლის კოდექსის ენა შეიცვალა და გახდა გენდერულად ნეიტრალური. გარდა ამისა, ცვლილებების შედეგად კანონიდან ამოიღეს ის დებულება, რომელიც სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის მიერ მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებას აწესებდა და დაზარალებულის ჩვენება საკმარისი გახდა ბრალდებისთვის.

1991 წელს კოლუმნისტმა ან ლანდერსმა ასეთ რამ დაწერა: „ქალი, რომელიც ეთანხმება საათობით ალერსს, მაგრამ არ სურს რომ დაასრულოს სქესობრივი აქტი, ეს ნიშნავს იმას, რომ პრობლემებს ითხოვს და ის ალბათ მიიღებს ამას“. ³⁰⁵ სტანდარტულად, იდეა, რომ თანხმობა ზოგიერთ სქესობრივ კონტაქტზე ქმნის ყველანაირ სქესობრივ აქტივობაზე გენერალიზებული თანხმობის პრეზუმფციას, არასწორია. ასეთი ხედვა სახიფათოა, რადგან ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს გაუპატიურების საქმეების განხილვაზე, მათ შორის, ნაფიც მსაჯულებზე, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ წინასწარი განწყობები.

თანხმობის კონცეფციას ცენტრალური ადგილი უჭირავს სქესობრივი დანაშაულების საქმეებში; ზოგადად, მოსალოდნელია, რომ ადამიანებს შორის სექსუალური აქტივობები კონსენსუალურია, ხოლო თუ ერთ-ერთი მხარე არ თანხმდება სექსუალურ აქტზე ან არ შეუძლია თანხმობის გამოხატვა, ასეთი ქმედება

³⁰⁴ კანადის სისხლის სამართლის კოდექსი, 1992. <<https://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/c-46/20150226/P1TT3xt3.html>> [10.03.2023].

³⁰⁵ *Landers A.*, *A Male's Theory on Date Rape*, S.F. Sunday examiner/chron., Aug. 4, iggi, at C2, quoted in Lynne Henderson, *Getting To Know: Honoring Women in Law and in Fact*, 2 Tex. J. Women & L. 1993, 41, 46.

სქესობრივ დანაშაულში გადადის და მნიშვნელობა არ აქვს რამდენად ჰქონდა ადგილი ძალადობას ან მუქარას.³⁰⁶

სქესობრივ კავშირზე თანხმობის არსი საზოგადოების ყურადღების ცენტრში უფრო და უფრო ექცევა, მაგალითად, #MeToo მოძრაობის უმთავრესი წუხილის საგანი სწორედ ეს იყო. სქესობრივ კავშირზე თანხმობის არსებობის მნიშვნელობის აღიარება დანაშაულის პრევენციისა და რეაგირების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

თანხმობის სოციალური აქტი, პირველ რიგში სხვა ადამიანთან კომუნიკაციას გულისხმობს ვერბალური და არავერბალური ქცევით, რომლის მეშვეობითაც პირს ნებას რთავს ერთი ან მეტი მოქმედებისთვის, რომლის განხორციელების შესაძლებლობა მას სხვა შემთხვევაში არ ექნებოდა.³⁰⁷ სქესობრივ კონტაქტზე თანხმობის ოპერაციონალიზაციის მიზნით, მიიჩნევენ, რომ თანხმობა აღიწეროს სამი გზით: ...“მზადყოფნის შინაგანი მდგომარეობა, აქტი რომელიც ექსპლიციტურად ეთანხმება რაღაცას და ქცევა, რომელიც შეიძლება ვინმეს მიერ იდენტიფიცირდეს მზაობად“.³⁰⁸ მზაობის შინაგანი მდგომარეობა სქესობრივ კავშირზე თანხმობის მნიშვნელოვანი ასპექტია, თუმცა მარტივი არ არის მისი ოპერაციონალიზაცია სქესობრივ კონტაქტთან მიმართებით და შესაძლოა იყოს ან არ იყოს აღქმადი სექსუალური პარტნიორისთვის. თუმცადა, ადამიანები ჩვეულებრივად ხელმძღვანელობენ ნიუანსირებული, არაპირდაპირი, „კოდირებული“ და ბუნდოვანი რეპლიკებით, რათა გაიგონ მზაობა სქესობრივ ინტერაქციაზე.³⁰⁹

³⁰⁶ *Terry T.*, *Sex Crime*, Third edition, Routledge, Typeset in Bembo by Taylor & Francis Books, New York, 2016, 22.

³⁰⁷ *Adoch C.*, *Defining Rape: The Problem with Consent*, Human Rights and Peace Center, School of Law, Makerere University, Kampala, Uganda, 73.

³⁰⁸ *Humphreys M., Paterson J.*, *The Complexities of Sexual Consent Among College Students: A Conceptual and Empirical Review*, 2016, 462.

³⁰⁹ *Shumlich E., Flisher A.*, *Affirmative sexual consent? Direct and unambiguous consent is rarely included in discussions of recent sexual interactions* November, the Canadian journal of human sexuality, 2018. <https://www.researchgate.net/publication/328681365_Affirmative_sexual_consent_Direct_and_unambiguous_consent_is_rarely_included_in_discussions_of_recent_sexual_interactions> [10.03.3023].

გარდა ამისა, არსებობს გენერალიზებული თანხმობის ცნება სქესობრივ დანაშაულებში, რაც მოიცავს სქესობრივ ურთიერთობაზე თანხმობის ვარაუდს, გენერალიზებული თანხმობის ცნება ყველაზე მეტად გავრცელებულია მარიტალური გაუპატიურების საქმეებში. მართალია, ამ მხრივ კანონმდებლობამ ევოლუცია განიცადა, მაგრამ კვლავ არსებობს მოსაზრება, რომ ქორწინება გენერალიზებული თანხმობის ერთგვარი სიგნალია.³¹⁰ ტიპური მარიტალური გაუპატიურების საქმეები არ მოიცავს თანხმობის მარტივ ანულირებას, ასეთ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ოჯახში ძალადობის ისტორია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს რაიმე სახის თანხმობის არსებობას.³¹¹ 80-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების უმეტესობა გაუპატიურების საქმეებზე ითვალისწინებდა დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის სექსუალური ურთიერთობის ისტორიას, რის გამოც წინა (გენერალური) თანხმობა პრეზუმფციულად იყო მიჩნეული და რაც ზრდიდა თანხმობის ჰიპოთეზის ალბათობას. საქმეზე *State v. Alston*,³¹² ჩრდილოეთ კაროლინის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ილუსტრაციაა იმისა, თუ რა როლი შეიძლება ჰქონდეს თანხმობის პრეზუმფციას ისეთ საქმეზე, სადაც მსხვერპლსა და დამნაშავეს წინარე ურთიერთობის გამოცდილება აქვთ.

³¹⁰ *Anderson M.*, Marital Immunity, Intimate Relationships, and Improper Inferences: A New Law on Sexual Offenses by Intimates, *Hastings L.J.* 2003, 54.

³¹¹ *Eskow L.*, Note, The Ultimate Weapon? Demythologizing Spousal Rape and Reconceptualizing Its Prosecution, 48 *Stan. L. Rev.* 677, 683-88, 1996, 685.

³¹² *State v. Alston* - 310 N.C. 399, 312 S.E.2d 470, 1984 <<https://www.lexisnexis.com/community/casebrief/p/casebrief-state-v-alston>> [08.08.2023]

დასკვნა

დანაშაული „უარყოფითი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა, იგი არსებობს ადამიანთა საზოგადოებაში, გააჩნია გარკვეული კანონზომიერებანი, ხასიათდება რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლებით, იწვევს საზოგადოებისა და ადამიანებისთვის ნეგატიურ შედეგებს და მოითხოვს სპეციფიკურ სახელმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლს.“³¹³ სტრატეგიები, რომლითაც იზრდება კრიმინალიზაცია, წარმოაჩენს ქალთა მიმართ ძალადობის შეწყვეტის სურვილს, მაგრამ ბევრად უფრო იაფი და პოლიტიკურად ადვილია, ვიდრე სტრუქტურული ცვლილებები.³¹⁴ სადისერტაციო ნაშრომში განხილული სქესობრივი დანაშაულების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მიუთითებს არა მხოლოდ ნაკლოვანებების აღმოფხვრის საჭიროებაზე კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, არამედ სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობაზეც. ავტორმა შეისწავლა საქართველოს წარსული გამოცდილება სქესობრივი დანაშაულების დეფინიციის და მასთან ბრძოლის თვალსაზრისით. ეს იქნება ჩვეულებითი სამართალი, 1920-იანი თუ 1960-იანი წლების სისხლის სამართალი, ყველა შემთხვევაში აშკარაა ერთი რამ: სქესობრივი დანაშაულების მიმართ ბევრად უფრო მკაცრი იყო ჩვეულებითი სამართალი, ვიდრე მოგვიანებით, საბჭოთა სისხლის სამართალი. მაგალითად, თუ სვანური ჩვეულებითი სამართალი გაუპატიურებას უმძიმეს დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნებოდა და სიმძიმის თვალსაზრისით მკვლელობას უთანაბრდებოდა, 1920-იან წლებში მოსამართლეებს ჰქონდათ მითითებები, რომ გაუპატიურების შემთხვევაში (როდესაც მოცემულია გაუპატიურების მხოლოდ გარეგანი ნიშნები) ქმედება დაეკვალიფიცირებინათ, როგორც უფრო წვრილმანი დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ - ხულიგნობა, შეურაცხყოფა. გარდა ამისა, ამავე პერიოდში, გაუპატიურების მცდელობას ნაკლები ხარისხის სოციალური საშიშროების დანაშაულად მიიჩნევდნენ. საგულისხმოა, რომ, როგორც ხალხური, ასევე საბჭოთა

³¹³ წულაია ზ., კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), გამომცემლობა „ინტელექტი“, 2003, 54.

³¹⁴ Walklate S., Fitz-Gibbon K., McCulloch J., Maher J., Emerald Studies In Criminology, Feminism And Social Change, Emerald Publishing Limited, UK, 2020, 5, 13.

სისხლის სამართალი, დიდ ყურადღებას აქცევდა ქალის სტატუსს, სოციალურ მდგომარეობას და საქმიანობას. რაც შეეხება სქესობრივ დანაშაულების დეფინიციას, სისხლის სამართლის კოდექსი მოითხოვდა, რომ გაუპატიურებად მიჩნეულიყო ქმედება, რომლის დროსაც ქალის (მსხვერპლის) წინააღმდეგობა იყო ნამდვილი და შეუპოვარი და არა თვალთმაქცური.

სამწუხაროა, მაგრამ საქართველოს დღევანდელი სამართლებრივი სისტემა, მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა და სხვადასხვა სახის ინიციატივებისა, კვლავ ტოვებს შესაძლებლობებს, რომ დამნაშავემ თავი დააღწიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ან სასჯელს, რაზეც არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსი, არამედ სასამართლო პრაქტიკაც მიუთითებს.

ნაშრომში განხილულია სსკ-ის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლები, რათა უკეთ წარმოგვეჩინა ძალადობისა და იძულების ელემენტები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დაკვალიფიცირდება ქმედება სქესობრივ დანაშაულად. ვინაიდან, სქესობრივ დანაშაულთა შორის გაუპატიურება მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დანაშაულად, ნაშრომში უფრო მეტად ამ დანაშაულს განვიხილავთ, როგორც სქესობრივი დანაშაულის ერთ-ერთ სახეს.

ზოგადად სქესობრივი დანაშაულების შემთხვევაში ცენტრალური საკითხი მსხვერპლის თანხმობაა. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 36-ე მუხლის თანახმად, სექსუალური ძალადობის, მათ შორის, გაუპატიურების დეფინიცია ეფუძნება თანხმობის ელემენტს, კერძოდ თანხმობის არარსებობა მიუთითებს სექსუალურ ძალადობაზე. კონვენციის ამავე მუხლის მიხედვით, თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგი, რომლის დროსაც უნდა შეფასდეს გარეშე ფაქტორები და კონტექსტი; კერძოდ, რამდენად შეეძლო და არსებობდა ისეთი პირობები იმისთვის, რომ მსხვერპლს გამოეველინა თავისი ნამდვილი ნება. სამწუხაროდ სექსუალური ავტონომია ხშირად დაკავშირებულია თანხმობის ვიწრო გაგებასთან, რაც გავლენას ახდენს დანაშაულის

შეტყობინებაზე, საქმის გამოძიებაზე, სისხლისსამართლებრივ დევნასა და განაჩენის გამოტანაზე.

სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შევიდა სექსუალური დანაშაულების კუთხით. მიუხედავად ამისა, ახალი სამართლებრივი ნორმები მაინც არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციას და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო სტანდარტებს. სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლის მიხედვით, გაუპატიურება არის: „სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით; ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება“. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, „თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით“.

გარდა სტამბოლის კონვენციისა, საქართველომ უნდა შეასრულოს სხვა საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებები, როგორცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. როგორც ამას ევროპული სასამართლო აღნიშნავს, ისტორიულად არაერთ ქვეყანაში გაუპატიურების საქმეებზე საჭირო იყო ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომელიც დაარწმუნებდა სასამართლოს, რომ მსხვერპლის მიმართ გამოყენებული იქნა ფიზიკური ძალა და მან გაუწია წინააღმდეგობა. თუმცა, ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი ხისტი მიდგომები ზრდის დაუსჯელობის რისკებს სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე, რაც საფრთხეს უქმნის ინდივიდის სექსუალურ ავტონომიას. ამდენად, მნიშვნელოვანია, სისხლის სამართალი დაეფუძნოს თანხმობის ასპექტს, რომელიც შეიძლება იყოს გაუპატიურების იმ ვიწრო განმარტების პრევენცია, რომელიც ქმედების კვალიფიკაციისთვის ძალადობის ან მუქარის არსებობას მოითხოვს.

ამ მხრივ შეიძლება გასაზიარებელი იყოს სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით სხვა ქვეყნების გამოცდილება, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ან კანადის. კანადაში თანხმობა შემდეგნაირად განიმარტა: „ნამდვილი და მიმდინარე“

(სქესობრივი კონტაქტის მიმდინარეობისას), ხოლო თანხმობის არარსებობა შეიძლება გამოხატული იქნეს ვერბალური გზით ან ქცევით, შესაბამისად სქესობრივი კავშირი არ უნდა გაგრძელდეს, თუ პირი გამოხატავს უარს მის გაგრძელებაზე.

ზოგადად, მოსალოდნელია, რომ ადამიანებს შორის სექსუალური აქტივობები კონსენსუალურია, ხოლო თუ ერთ-ერთი მხარე არ თანხმდება სექსუალურ აქტზე ან არ შეუძლია თანხმობის გამოხატვა, ასეთი ქმედება სქესობრივ დანაშაულში გადადის და მნიშვნელობა არ აქვს რამდენად ჰქონდა ადგილი ძალადობას ან მუქარას.

ევროსასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს გამოძიების ეფექტიანობის მნიშვნელობას სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე, რაშიც იგულისხმება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარება, ასევე, საზოგადოების მხრიდან კონტროლის შესაძლებლობა, კომპეტენტური ორგანოების ოპერატიულობა, ასევე, კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარება. **ხელისუფლებამ უნდა გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი იმისათვის, რომ საგამოძიებო ორგანოებმა შეძლონ ეფექტიანი გამოძიების განხორციელება სათანადო სენსიტიურობით, რისი უზრუნველყოფაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი უფლებამოსილი პირების კომპეტენციის გაძლიერებით.**

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს, იშვიათი გამონაკლისების გარდა. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენია, რომელიც განვიხილეთ ნაშრომში. სასურველი იქნება, თუკი აღნიშნული განაჩენი საერთო სასამართლოების პრაქტიკის განვითარებას ჩაუყრის საფუძველს.

რაც შეეხება განაჩენების დასაბუთებას, სამწუხაროა რომ ხშირად ეროვნული სასამართლოები შაბლონურად იყენებენ ევროსასამართლოს პრაქტიკას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამის საპირისპირო მაგალითებიც არსებობს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ევროსასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა პოზიტიური როლი ითამაშოს სქესობრივი დანაშაულების საქმეების განხილვა-გადაწყვეტაზე.

ვინაიდან სქესობრივი დანაშაული ძირითადად პრივატულ გარემოში ჩადენილი დანაშაულია, ამ გარემოების გათვალისწინებით მოსამართლე (მათ შორის, სამართალწარმოებაში ჩართული სხვადასხვა პირები) დიდწილად დამოკიდებულია დაზარალებულის ჩვენებაზე. სწორედ ამიტომ, საჭიროა გაიზარდოს მოსამართლეთა (მათ შორის, სამართალწარმოებაში ჩართული სხვადასხვა პირების) ინფორმირებულობის ხარისხი სქესობრივი დანაშაულების საქმეების განხილვის პრაქტიკულ ასპექტებზე. გარდა ამისა, ეს გაზრდის გამოძიების წარმოებისას და საქმის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას გენდერულ მგრძობელობას.

სადისერტაციო ნაშრომის ავტორმა შეისწავლა ბოლო 7 წლის მონაცემები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დევნის დაწყების შესახებ (2016-2022 წლებში); როგორც აღმოჩნდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელმა სქესობრივ დანაშაულებზე 2017 წლის შემდგომ მოიმატა, რაც შესაძლოა სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებს უკავშირდებოდეს.

სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგად, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა იმის შესწავლა, თუ რას ფიქრობენ ადამიანები სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პირების, მსხვერპლისა და ზოგადად სქესობრივი დანაშაულის შესახებ, საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა. მართალია ნაშრომში დეტალურად არის განხილული კვლევის შედეგები, მაგრამ მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხის გამოყოფა დასკვნით ნაწილში. როგორც აღმოჩნდა რესპონდენტების უმეტესობას მიაჩნია, რომ სქესობრივი დანაშაული ძალადობრივი ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი წარმოდგენები არ განსხვავდება საქართველოში დღეს არსებული სქესობრივი დანაშაულის სამართლებრივი დეფინიციისგან. თუმცა, ამავე დროს, რესპონდენტების 98% მიიჩნევს, რომ სქესობრივი კავშირი, რომლის დროსაც არ არსებობს მეორე მხარის თანხმობა, შეიძლება მიჩნეული იქნას სქესობრივ დანაშაულად. რაც იმაზე მიუთითებს, რომ თუ შეიცვლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საჭირო იქნება ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც საზოგადოების ცოდნას ამ მიმართულებით გაზრდის. გამოკითხულთა ნაწილი (43%) მიიჩნევს, რომ გარკვეულ

შემთხვევებში, შესაძლებელია მსხვერპლი იყოს დამნაშავე, რაც ასევე მიუთითებს არსებულ სტერეოტიპებზე, რომელთა დამღევა საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის გზით იქნებოდა შესაძლებელი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი (34.7%), მიიჩნევს, რომ მოსამართლემ განაჩენის გამოტანისას მხედველობაში დაზარალებულის პიროვნება უნდა მიიღოს. გარდა ამისა, კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას საკმაოდ სენსიტიური დამოკიდებულება და მხარდაჭერა აქვს მსხვერპლის მიმართ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

ნაშრომზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი მიგნებების საფუძველზე ავტორი წარმოადგენს რამდენიმე რეკომენდაციას: (ა) ცვლილებები შევიდეს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლებში და თითოეული მუხლის დისპოზიციას დაემატოს თანხმობის ელემენტი, რათა ნებისმიერი არაკონსენსუალური სექსუალური ქმედება, თუნდაც დაზარალებულის ფიზიკური წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაშიც კი, მიჩნეული იქნეს სქესობრივ დანაშაულად; (ბ) ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა განვითარდეს არა მხოლოდ საერთაშორისო კონვენციებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, არამედ ის გახდეს გენდერულად უფრო მგრძობიარე, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა საჭიროა მოსამართლეთა სწავლება აღნიშნულ თემებზე; (გ) გატარდეს ღონისძიებები, რათა სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე უზრუნველყოფილი იქნეს გამოძიების ეფექტიანობა და სათანადო სენსიტიურობა.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ნორმატიული მასალა:

1. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ
<<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4792146?publication=2>>
[23.03.2020].
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=247>>, [13.08.1999].
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=151>> [03.11.2009].
4. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ,
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3>> [07.05.2014].

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. გაბარაგვი ი. გაუპატიურება, როგორც ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მიხედვით, #6, 2017.
2. გაბუნია მ., ძირითადი კრიმინოლოგიური თეორიები და მათი მნიშვნელობა დანაშაულობის პრევენციის საქმეში, სამართალი და მსოფლიო, მე-10 გამოცემა, 2018, 10.
3. გეგელია თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ., სქესობრივი დანაშაულები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020.
4. დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, ივ. ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართლის, რომანტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.
5. დავითაშვილი გ., ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული

- ექსპედიციის სამეცნიერო-მოხსენებითი ანგარიში, თავი III, *ონიანი ს.* თავი I, II, IV, V, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართლის, რომანტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.
6. დანაშაულის და სასჯელის თეორიები, თარგმანების კრებული სტუდენტებისთვის, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა, თბილისი, 2022, 12, 13. 14.
 7. *დეკანოსიძე თ., ცირამუა მ., ღვინჯილია ლ.*, ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულზე მართლმსაჯულების განხორციელების კვლევა და მონიტორინგი, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, თბილისი, 2021, 10.
 8. *ედგერტონი კ., დეკანოსიძე თ., ხატიაშვილი გ., ბარბაქაძე ნ., ბიჭიკაშვილი ლ.*, სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო (გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის), ევროპის საბჭო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია Equality Now, 2021, 8.
 9. *ედგერტონი კ., დეკანოსიძე თ., ხატიაშვილი გ., ბარბაქაძე ნ., ბიჭიკაშვილი ლ.*, სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო (გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის), ევროპის საბჭო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია Equality Now, 2021, 10.
 10. *ერისთავი კ.*, დანაშაულის და სასჯელის თეორიები, თარგმანების კრებული, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა, თბილისი, 2022, 104, 105.
 11. *თოდუა ნ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.

12. *კორკელია კ.*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, ევროპის საბჭო. თბილისი, 2003.
13. *კორკელია კ.*, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი, 2007.
14. *ლეკვიშვილი მ.*, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, #4(43), თბილისი, 2014, 22.
15. *მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2011, 20.
16. *მაყაშვილი მ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შვეგულიძე თ.*, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი, თბილისი, 1980.
17. *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 100.
18. *პატარაია ბ., ბახტაძე უ., არეშიძე ე., გაგიევი მ., ხატიაშვილი გ., ცირეკიძე ი.*, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარები, საფარი, თბილისი, 2020, 99.
19. *პაუელი ა.გ., ჭითანავა მ, წიქვაძე ნ., გაფრინდაშვილი ნ., კეშელავა დ., ლობჯანიძე მ.*, გენდერული ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, თბილისი, 2021, 6.
20. *პიონტკოვსკი ა.*, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი, 1940.
21. *რატიანი ც.*, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნ. მართლმსაჯულება, #1, 2007.
22. *ღლონტი გ.*, კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008, 370.
23. *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, თბილისი, 2017.

24. ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2014, 13.
25. წულაია ზ., კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), გამომცემლობა „ინტელექტი“, 2003, 8, 17, 54.
26. ხიზანიშვილი ნ., მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის II, ეთნოგრაფიული ნაწერები, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, თბილისი, 1940, 46.
27. ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. წიგნი პირველი, თბილისი, 1928.
28. ჯალაბაძე დ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, ფშავის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, თბილისი, 2003, 123.
29. ჯალაბაძე დ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, ფშავის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, თბილისი, 2003.
30. ჯალაბაძე დ., ჟორდანიას გ. - ქართული ხალხური სამართლის მკვლევარი, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, Volume 1, Issue 1, 04.06.2021.

ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/1623-20, 11.04.2020, 2. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.]
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/3986-19, 02.09.2019. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.]

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/2829-19, 26.12.2019. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].
4. ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე #1/471-2019, 23.08.2019. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/288-19, 05.06.2019. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].
6. ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე #1/658-17, 18.02.2019. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].
7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმე #1/5632-18, 27.12.2018. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია, საქმის ნომერი უცნობია, 04.10.2017. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, საქმე # 1/1733-16, 18.05.2016. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].
10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, საქმე # 1/7336-14, 18.06.2015. [ხელმისაწვდომი გახდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.].

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, საქმე #1/....14, 12.09.2014. [გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაში მითითებული არ არის საქმის ზუსტი ნომერი].

უცხოენოვანი ნორმატიული მასალა:

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [10.03.2023].
2. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები, გაეროს ქალთა ორგანიზაცია <<https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf>> [10.03.2023].
3. ევროპის საბჭოს წესდება, 1949 წელი, 5 მაისი. <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008db52>> [10.03.2023].
4. კანადის სისხლის სამართლის კოდექსი, 1992. <<https://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/c-46/20150226/P1TT3xt3.html>> [10.03.2023].
5. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [29.08.2017].

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. *Adoch C.*, Defining Rape: The Problem with Consent, Human Rights and Peace Center, School of Law, Makerere University, Kampala, Uganda, 72, 73, 74, 81.

2. *Anderson M.*, Marital Immunity, Intimate Relationships, and Improper Inferences: A New Law on Sexual Offenses by Intimates, *Hastings L.J.* 2003, 54.
3. *Carey J.*, *Introduction to Criminology*, Englewood Cliffs, N.J., Prentice-Hall, 1978, 197.
4. *Chalmers J.*, How (Not) to Reform the Law of Rape, *Edinburgh L. REV.*, 2002, 388.
5. *Christman J.*, Autonomy in moral and political philosophy, *The Stanford Encyclopedia of Philosophy*, 2018, 163.
6. *Clarence J.*, *Pioneers in Criminology: The Historical Development of Criminology*, *Journal of Criminal Law, Criminology, and Police Science* , Vol. 50, No. 1, Northwestern University Pritzker School of Law, 1959, 7.
7. *Erez E., Sebba L.*, From Individualization of the Offender to Individualization of the Victim: An Assessment of Wolfgang's Conceptualization of a Victim-Oriented Criminal Justice System, *The Criminology of Criminal Law, Advances in Criminological Theory*, V8, Routledge, New York, 2017, 176.
8. *Eskow L.*, Note, The Ultimate Weapon? Demythologizing Spousal Rape and Reconceptualizing Its Prosecution, *48 Stan. L. REv.* 677, 683-88, 1996, 685.
9. *Estrich S.*, *Real Rape*, Harvard University Press, 1987, 878.
10. *Ezzat A.*, *Criminology: Past, Present and Future, A Critical Overview*, Fattah School of Criminology Simon Fraser University British Columbia, Canada, 1997, 30, 38, 158.
11. *Friedman, K., Bischoff, H., Davis, R., C., Persob, A.*, *Victims an helpers: Reactens to crime*, Washington, US Department of Justice, National Institute of Justice, 1982, 1.
12. *Gibbons D.*, *Forcible Rape and Sexual Violence*, *Journal of research in Crime and Delinquency*, Volume 21, Issue 3, 1984, 251.
13. *Gibbs A., Gilmour F.E.*, *Women, Crime and Justice in Context, Contemporary Perspectives in Feminist Criminology from Australia and New Zealand*, Routledge, Taylor & Francis Group, New York, 2022, 29.
14. *Hagan F.*, *Introduction to Criminology Theories, Methods, and Criminal Behavior*, Mercyhurst College, SAGE Publications, Inc., 2017, 31.

15. *Humphreys M., Paterson J.*, The Complexities of Sexual Consent Among College Students: A Conceptual and Empirical Review, 2016, 462.
16. *Kipane A.*, Criminological Problems of Sexual Violence, Riga Stradina University, Riga, 2015, 21, 29.
17. *Kubrin C.E., and Wo C.J.*, Handbook of Criminological Theory, Social Disorganization Theory's Greatest Challenge: Linking Structural Characteristics to Crime in Socially Disorganized Communities, John Wiley & Sons, Inc, 2015, 122.
18. *Landers A.*, A Male's Theory on Date Rape, S.F. Sunday examiner/chron., Aug. 4, iggi, at C2, quoted in Lynne Henderson, Getting To Know: Honoring Women in Law and in Fact, 2 Tex. J. Women & L, 1993, 41, 46.
19. *Londras F.*, Prosecuting Sexual Violence in the Ad Hoc International Criminal Tribunals for Rwanda and the Former Yugoslavia, University College Dublin Law Research Paper No. 06, 2009, 1.
20. *Lutz-Priefert M.*, A Call for a More Permanent International Definition of Rape, Creighton International and Comparative Law Journal, 2015, 86.
21. *Marshall J.*, Personal Freedom Trough Human Rights Law? Autonomy, Identity and Integrity under the European Convention on Human Rights, International Studies in Human Rights, Volume: 98, 2009, 33, 175.
22. *McGlynn C., Munro V.*, Rethinking Rape Law International and Comparative Perspectives, Routledge-Cavendish, London, 2010, 112, 113, 177.
23. *Menachem A.*, Forcible Rape, Federal Probation, vol. 31, no. 1, 1967, 57.
24. *Miller I., Mitchell J.*, Twenty-first century criminology, HV6025.A155, 2009
25. *Mitchell M.*, 21st century criminology: a reference handbook, SAGE Publications, Inc. 2455 Teller Road Thousand Oaks, California 91320, 2009, 11, 516.
26. *Newburn T.*, Criminology, third edition, Routledge, New York, 2017, 132, 188.
27. *Newman L.*, Rape Culture, Monash University Clayton, Australia, 2021, 14.

28. *Nowrojee B.*, Your Justice is Too Slow: Will the ICTR Fail Rwanda's Rape Victims?, Boston Consortium on Gender, Security and Human Rights, 2003, 3.
29. *O'Brien M., Yar M.*, Criminology, the Key Concepts, Routledge, New York, 2008, 51, 59, 72.
30. *Pitea C.*, Rape as a Human Rights Violation and a Criminal Offence: The European Court's Judgment in M.C. v. Bulgaria, 3(2) Journal of International Criminal Justice, 2005, 454.
31. *Sartori D.*, Gap-Filling and Judicial Activism in the Case Law of the European Court of Human Rights, 29 TUL. EUR. & CIV. L.F., 2014, 70.
32. *Segal Z., Stermac L.*, A Measure of Rapists' Attitudes Towards Women, International Journal of Law and Psychiatry, Vol 7, 1984, 437.
33. *Starosolsky G. V.*, Basic Principles of Soviet Criminal Law, North Carolina Law Review, V28, 1950, 361.
34. *Terry T.*, Sex Crime, Third edition, Routledge, Typeset in Bembo by Taylor & Francis Books, New York, 2016, 22.
35. *Tripllett R.A.*, The Handbook of the History and Philosophy of Criminology, John Wiley & Sons, Inc., NJ USA, 2018, 4, 290.
36. *Vold G.*, Theoretical Criminology, New York: Oxford University Press, 1958, 39.
37. *Walklate S., Fitz-Gibbon K., McCulloch J., Maher J.*, Emerald Studies in Criminology, Feminism And Social Change, Emerald Publishing Limited, UK, 2020, 5, 10.
38. *Walklate S.*, Understanding Criminology Current Theoretical Debates, Crime And Justice Series, Cardiff University, 3rd , Open University Press McGraw-Hill Education, New York, NY 10121-2289, USA, 2007, 2.
39. *Westmarland N. and Gangoli G.*, International Approaches to Rape, University of Bristol, UK, The Policy Press, 2011, 1.
40. *Yebisi O., Balogun V.*, Marital Rape: A Tale Of Twolegal Systems, School of Law, University of KwaZulu-Natal, Pietermaritzburg, 2017, 540.

ელექტრონული ბმულები:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია,
<<https://www.un.org/en/observances/human-rights-day/women-who-shaped-the-universal-declaration>> [05.05.2021].
2. მოძრაობები ევროპული ერთიანობისთვის საერთაშორისო კომიტეტი 1947 წლის 11 ნოემბერს დაფუძნდა პარიზში,
<<https://www.cvce.eu/en/recherche/unit-content/-/unit/04bfa990-86bc-402f-a633-11f39c9247c4/0e29b667-0b3c-464d-9ab7-71f065f81a60>> [05.05.2021].
3. საქართველოს უზენაესი სასამართლო, <<https://old.supremecourt.ge/statistics/>> [05.03.2023].
4. სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო (გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის), გაეროს ქალთა ორგანიზაცია გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერებისთვის (UN Women), 2021, <<https://rm.coe.int/investigation-manual-geo/1680a3e8e5>> [05.03.2023].
5. სისხლის სამართლის საქმეები, ნაწილი 3, საქართველოს უზენაესი სასამართლო, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019-weli-wigni-sisxli.pdf>> [05.03.2023].
6. სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, სისხლის სამართლის საქმეები,
<<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika>> [05.03.2023].
7. სალექციო ჩანაწერები, <<https://www.scribd.com/user/31285230/Carl-Vincent-Quitoriano/uploads>> [10.03.2023].
8. As Tribunals for Rwanda, Former Yugoslavia Prepare to Formally Complete Mandates, Presidents, Prosecutors Brief Security Council on Achievements, Challenges, <<https://press.un.org/en/2015/sc12150.doc.htm>> [05.03.2023].

9. *Brasol B.*, Foundations of Criminology, Journal of the American Institute of Criminal Law and Criminology, Vol. 17, Issue 1, 1926, Am. Inst. Crim. L. & Criminology,
<<https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/jclc17&div=8&id=&page=>> [10.03.2023].
10. Characteristics of sexual offenders, National Association for Rational Sexual Offence Laws, <<https://narsol.org/2018/09/characteristics-of-sexual-offenders/>> [10.03.2023].
11. Devastatingly pervasive: 1 in 3 women globally experience violence,
<<https://www.who.int/news/item/09-03-2021-devastatingly-pervasive-1-in-3-women-globally-experience-violence>> [05.03.2023].
12. Elements of Crimes, 2011, მუხლები 7(1)(g)-6, 8(2)(b)(xxii)-6, და 8(2)(e)(vi)-6, ელემენტო ეროთი, <<https://www.icc-cpi.int/sites/default/files/NR/rdonlyres/336923D8-A6AD-40EC-AD7B-45BF9DE73D56/0/ElementsOfCrimesEng.pdf>> [05.03.2023].
13. Equality Now, 2019. Roadblocks to Justice: How the Law is failing survivors of Sexual Violence in Eurasia,
<https://d3n8a8pro7vhmx.cloudfront.net/equalitynow/pages/1581/attachments/original/1547485403/EN-Eurasia_Rpt_ENG_-_Web.pdf?1547485403> [20.07.2021].
14. *Lacroix R.*, Georgia: Law and services on gender-based violence are ahead of social attitudes, 2015,
<<https://blogs.worldbank.org/europeandcentralasia/georgia-law-and-services-gender-based-violence-are-ahead-social-attitudes>> [20.07.2021].
15. *LeGrand C.*, Rape and Rape Laws: Sexism in Society and Law, California Law Review, Vol. 61, No. 3, 1973, <<https://www.jstor.org/stable/3479776>> [02.02.2023].
16. National Study of Violence against Women, Summary Report, 2017, <<https://www2.unwomen.org/>-

/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/national%20study%20on%20violence%20against%20women%202017.pdf?la=en&vs=2932> [20.07.2021].

17. Rape and Sexual Offences - Chapter 7: Key Legislation and Offences, <<https://www.cps.gov.uk/legal-guidance/rape-and-sexual-offences-chapter-7-key-legislation-and-offences>> [21.05.2021].
18. Rape Cases Hard to Bring in Georgia, 2012, <<https://iwpr.net/global-voices/rape-cases-hard-bring-georgia>> [20.07.2021].
19. Scheingold O., Pershing J., Sexual Violence, Victim Advocacy, and Republican Criminology: Washington State's Community Protection Act, *Law & Society Review*, vol. 28 , no. 4, p. 729, 1994, <<https://search.ebscohost.com/login.aspx?direct=true&db=lgs&AN=9502205722&site=ehost-live>> [05.08.2022].
20. Sexual Offences Act 2003, UK, <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/2003/42/section/1>> [05.02.2023].
21. Sexual Violence Remains Unpunished due to the existing Barriers, 2019, <https://www.gyla.ge/en/post/arsebuli-barierebi-seqsualuridzaladobis-dausjelobas-itsvevs#_ftn1> [20.07.2021].
22. *Shumlich E., Flisher A.*, Affirmative sexual consent? Direct and unambiguous consent is rarely included in discussions of recent sexual interactions November, the Canadian journal of human sexuality, 2018, <https://www.researchgate.net/publication/328681365_Affirmative_sexual_consent_Direct_and_unambiguous_consent_is_rarely_included_in_discussions_of_recent_sexual_interactions> [10.03.2023].
23. *Slabbert M.*, The Development of Criminology: From Traditional to Contemporary Views on Crime And Crime Causation, *Kronos*, JSTOR vol. 12, 1987, <<http://www.jstor.org/stable/41056237>> [10.03.2023].

24. State v. Alston - 310 N.C. 399, 312 S.E.2d 470, 1984,
<<https://www.lexisnexis.com/community/casebrief/p/casebrief-state-v-alston>>
[08.08.2023].
25. Tackling Violence against Women, <<https://blogs.lse.ac.uk/vaw/landmark-cases/a-z-of-cases/aydin-v-turkey/a>> [05.05.2021].
26. The Prosecutor v. Jean-Paul Akayesu,
<<https://www.internationalcrimesdatabase.org/Case/50/Akayesu/>> [05.03.2023].
27. UN Women,
<<https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf>> [04.03.2023].
28. Understanding and addressing violence against women,
<https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/77434/WHO_RHR_12.37_eng.pdf;jsessionid=EDC6BB6952951560DB11C30157EFC51B?sequence=1> [04.14.2023].
29. Understanding sexual violence in Georgia, Equility Now,
<https://www.equalitynow.org/sexual_violence_in_georgia> [05.03.2023].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. EB. v. Romania, 2019 [ECHR] (no. 49089/10).
2. Slavcho Kostov v. Bulgaria, 2017 [ECHR] (no. 17835/07).
3. B.V. v. Belgium, 2017 [ECHR] (no. 61030/08).
4. I.P. v. the Republic of Moldova, 2015 [ECHR] (no. 33708/12).
5. W. v. Slovenia, 2014 [ECHR] (no. 24125/06).
6. O’Keeffe v. Ireland, 2014 [ECHR] (no. 35810/09).
7. Natsvlishvili and Togonidze v. Georgia, 2013 [ECHR] (no. 9043/05).
8. P. and S. v. Poland, 2012 [ECHR] (no. 57375/08).
9. I.G. v. Moldova, 2012 [ECHR] (no. 53519/07).
10. P.M. v. Bulgaria, 2012 [ECHR] (no. 49669/07).

11. M. and others v. Italy and Bulgaria, 2012 [ECHR] (no. 40020/03).
12. Rucinski v. Poland, 2005 [ECHR] (no. 33198/04).
13. MC. v Bulgaria, 2003 [ECHR] (no. 39272/98).
14. Aydin v. Turkey, 1997 [ECHR] (no. 57/1996/676/866).
15. X and Y v. Netherlands, [1985] ECHR (no. 8978/80).
16. Cyprus v Turkey, 1982 [ECHR]. (no. 6780/74 and 6950/75)

ინტერ-ამერიკული სასამართლო:

1. Fernández Ortega Et Al. V. Mexico [2010] Inter-American Court of Human Rights.